ISSN 2587-4713

VOLUME 105,
ISSUE 11 -12. 2022

DOI:10.36962/ECS

ტომი 105, 11-12. 2022

ECONOMICS

1918

# ეკონომისტი



1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

SCIENCE, PRACTICE, EXPERIENCE

**ISSN 2587-4713**
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022**

# ეკონომიკა
# ECONOMICS

ტომი 105, 11-12 2022
VOLUME 105, ISSUE 11-12 2022

ინდექსირდება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში
Indexing in International Scientific Databases:

**E-ISSN 2733-3361**

საქართველო, თბილისი 2022
GEORGIA, TBILISI, 2022

# ეკონომიკა

**ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი**

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

**ტომი 105, 11-12. 2022**
**VOLUME 105, ISSUE 11-12. 2022**
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022**

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

**რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)**

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; ა, რზეპკა (**პოლონეთი**) მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; დ. ქავთარაძე; ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; ნ. შენგელია; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ხარბედია; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

**ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)**

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гвичия М., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д., Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Мeквабишвили Э., Маршава К., Папава В., Рзепка А. (**Польша**), Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Циклаури Ж., Харбедия Л.

**REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)**

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; M. GVICHIA; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); L. KHARBEDIA; P. KOGHUASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; A. RZEPKA (**POLAND**); M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; D. QAVTARADZE; A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article.**

**თბილისი - 2022**

# შინაარსი

## ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

**იულია თედეევი -**
შშმ პირთა დასაქმების პრობლემები საქართველოში
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-07 ---------------------------------- 7**

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**ნატო ჩიკვილაძე, ელენე ბრეგვაძე -** საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის შედეგები
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-16 -------------------------------- 16**

## ეკონომისტი აუდიტორიაში

**სერგო რუხაძე -** ბიზნეს - გეგმის არსი და შედგენის მეთოდიკა
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-33 -------------------------------- 33**

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**David Nizharadze -** Academic Integrity in Business Research (Case of Georgia) –
**დავით ნიჟარაძე -** აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი ბიზნესის კვლევაში (საქართველოს მაგალითზე)
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-42 -------------------------------- 43**
**ინა მაისურაძე -** რეგიონის აგრარულ სექტორში მოქმედი მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-51 -------------------------------- 51**
**მაია ჩეჩელაშვილი, გიორგი ბექაური -**
საბაჟო ლოჯისტიკის კონცეფცია
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-67 -------------------------------- 67**

**ოთარ ბუსკივაძე -** ბიზნეს პროცესების ენტროპიული მოდელი
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-74 --------------------------------- 74**
**Revaz Revazishvili, Evgeni Baratashvili -**
Sports Management of People with Disabilities in Georgia -
achievements and Challenges - Empirical research –
**რევაზ რევაზიშვილი, ევგენი ბარათაშვილი -**
შშმ პირთა სპორტმენეჯმენტი საქართველოში -
მიღწევები და გამოწვევები (ემპირიულიკვლევა)
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-88 --------------------------------- 88**
**სერგო რუხაძე -** დაგეგმვა მენეჯმენტის სისტემაში
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-97 --------------------------------- 97**

## მსოფლიო ეკონომიკა

**ჯემალ გახოკიძე, ნუკრი გელაშვილი -** საქართველოს უმთავრესი
საგარეო საფრთხე და დამზღვევი საგარეო ორიენტირები
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-106-------------------------------106**
**გიორგი ბექაური -** საერთაშორისო ვაჭრობა
და საბაჟო ფორმალობები საქართველოში
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-127-------------------------------127**

**სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი-----136**
**ჟურნალის 2022 წლის შინაარსი ------------------------------------------139**

# CONTENTS


**ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES**

**Iulia Tedeevi -** Problems of Employment
of People with Disabilities in Georgia
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-07 ---------------------------------- 7**

**MODERN PROBLEMS OF ECONOMICS**

**Nato Chikviladze, Bregvadze -** Results of Georgia's
Real Estate Market Development Policy
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-16 -------------------------------- 16**

**THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM**

**Sergo Rukhadze -** The Essence of Business
Plan and Its Drawing Up Methods
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-33 -------------------------------- 33**

**BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING**

**David Nizharadze -** Academic Integrity
in Business Research (Case of Georgia)
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-43 -------------------------------- 43**
**Ina Maisuradze -** State Support of Small Businesses
Operating in the Agricultural Sector in Regions
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-51 -------------------------------- 51**
**Maia Chechelashvili, Giorgi Bekauri -**
The Concept of Customs Logistics
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-67 -------------------------------- 67**
**Otar Buskivadze -** Entropy Model of Business Processes
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-74 -------------------------------- 74**

**Revaz Revazishvili, Evgeni Baratashvili -**
Sports Management of People with Disabilities in Georgia -
achievements and Challenges(Empirical research)
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-88 --------------------------------- 88**
**Sergo Rukhadze -** Planning in the Management System
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-97 --------------------------------- 97**

**WORLD ECONOMY**

**Jemal Gakhokidze, Nukri Gelashvili -**
Georgia's Main External Threat and Insurance External Orientations
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-106------------------------------106**
**Giorgi Bekauri -** International Trade
and Customs Formalities in Georgia
**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-127------------------------------127**

**Publication Requirements------------------------------------------------ 136**
**Journal 2022 all Published Issues -------------------------------------- 139**

# შშმ პირთა დასაქმების პრობლემები საქართველოში

DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-07

**თედეევი იულია**
სტუ ასისტენტ-პროფესორი
irma.ted@gmail.com

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმებას საქართველოში; ბარიერებს, რომლებსაც ისინი აწყდებიან სამუშაოს ძიების პროცესში. მოყვანილია მაგალითები ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ. შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა დღემდე ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება. მათთვის ანტიდისკრიმინაციული გარემოს შექმნა, სოციალური ადაპტაცია, უმუშევრობის პრობლემის მოგვარება, ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება მათი განათლების, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და თავისუფალი არჩევანის უფლებების დაცვაში, ყველა განვითარებული ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებადაა ქცეული.

უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება წაადგება და გააუმჯობესებს ჩვენ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას შეზღუდული შესაძლებლობების და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა უფლებების დაცვის, დასაქმების და ზოგადად, ასეთი ადამიანების მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირი, დასაქმება, უმუშევრობა, უფლებების დაცვა.

## შესავალი

ყველა ადამიანისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ნებისმიერ ქვეყანაში (მათ შორის ჩვენთანაც) კანონით რეგულირდება და ეს მხოლოდ ჰუმანიზმის იდეა არაა. საკანონმდებლო ბაზა გაჯერებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული (პროფესიული სასწავლებლები) საკითხებით, მაგრამ, მეორე მხრივ, პრობლემას წარმოადგენს მისი რეალიზაცია – შშმ პირთა დასაქმება. შეზღუდული შესაძლებლობები ყოველთვის არ ნიშნავს უუნარობას. ზოგჯერ ასეთ ადამიანში იმხელა პოტენციალი დევს, როგორიც ადამიანთა უმეტესობას შეიძლება არ გააჩნდეს.

## ძირითადი ტექსტი

დღევანდელი საქართველოსთვის უმუშევრობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. მით უფრო ეს პრობლემას წარმოადგენს შშმ პირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შედარებით ამაღლდა დამსაქმებელთა და ზოგადად საზოგადოების ცნობიერება შშმ პირთა მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით, სასურველი სამუშაოს პოვნის შემთხვევაშიც კი მათ უჩნდებათ ისეთი პრობლემები, როგორიცაა ადაპტირებული სამუშაო გარემოს არსებობა, შშმ პირთა მიმართ სხვადასხვა სტერეოტიპების არსებობა და ა.შ.

კვლევების ანალიზის თანახმად, დამსაქმებლებს აქვთ მიმღებლობა შშმ პირების დასაქმების მიმართ (63%), ასევე მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შშმ პირს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ ადგილას (60%), მაგრამ როდესაც საქმე მიდგება მათ ორგანიზაციაში დასაქმებაზე, დამსაქმებლები თავს იკავებენ ყველა სახის შშმ პირის დასაქმებისგან. არგუმენტი: “გააჩნია შეზღუდვის ტიპს”. ასევე მათი უმრავლესობა (85%) ამჯობინებს, რომ დაასაქმოს ფიზიკური შეზღუდვის და არა გონებრივი ან ქცევითი აშლილობის მქონე პირი, რაც სტერეოტიპის გავლენის ან ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია, რადგან მცირე გონებრივი შეფერხების მქონე შშმ პირებს პროფესიულ სასწა-

ვლებლებში თავისუფლად შეუძლიათ სხვადასხვა პროფესიის დაუფლება. უნარშეზღუდულთა დასაქმებას დამსაქმებლები მიიჩნევენ ქველმოქმედებად და არა შშმ პირთა უფლებად. [1]

საქართველოს შრომის კოდექსში უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ 2020 წლამდე ჩანაწერი არ არსებობდა. შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც სტატუსი, მხოლოდ ერთ მუხლში იყო მოხსენიებული. ამჯერად საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა შშმ პირთა დასაქმების კუთხით თანამედროვე გამოწვევებს მეტ-ნაკლებად დადებითად პასუხობს. საკანონმდებლო კუთხით დიდი სამუშაოებია გაწეული და საქართველო თითქმის ყველა საერთაშორისო დეკლარაციასა და კონვენციას სრულყოფილად პასუხობს. პრობლემები თვით ამ საკითხის რეალიზაციაში დევს. რეალურად შშმ პირთა დასაქმება მაინც არ ხდება სრულყოფილად. ამის მიზეზად ინფრასტრუქტურის, განათლების, პროფესიული ცოდნის არ ქონა სახელდება. გასულ წლებში ჩატარებული კვლევების ანალიზის თანახმად გამოიკვეთა, რომ შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით ერთ-ერთი პრობლემა მაკავშირებელი სერვისის არ არსებობაა დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის. [2]

საჯარო სამსახურის ბიუროს 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში არსებული მონაცემებით საჯარო სამსახურში შშმ პროფესიულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა 80 დასაქმებულით შემოიფარგლება. მათ შორის ყველაზე მეტი (65) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებშია დასაქმებული. რაც შეეხება შშმ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობას, საჯარო სამსახურში 48-ს შესადგენს. მათი 50% ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე მოდის. საქართველოს მთავრობასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ასევე საქართველოს პარლამენტში მათი რაოდენობა ნულის ტოლია [6] (იხ. დიაგრამა 1)

განვითარებად ქვეყნებში შშმ პირთა 80% სიღარიბის ზღვარს მიღმაა, რაც მათი შრომის უფლებების დარღვევის შედეგია. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას თუ გადავხედავთ,

ესპანეთში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია დასაქმების სახელმწიფო სერვისი. სპეციალური შეფასების გავლის შემდეგ სახელმწიფო დასაქმების სერვისში შშმ შრომის მაძიებელი ხდება პენსიის მიღების კანდიდატი და მას თავად შეუძლია გადაწყვიტოს, თუ რა პაკეტს აირჩევს. შშმ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ მხარდაჭერით დასაქმების სერვისში ჩართვა. აღნიშნული მომსახურება შეიძლება გასწიოს თავად სახელმწიფო დასაქმების სერვისმა, თუმცა ესპანეთში ხშირ შემთხვევაში ამ ყოველივეს კერძო კომპანიები ახორციელებენ. ამჟამად ესპანეთში 300-მდე კერძო კომპანიაა, რომლებიც მხარდაჭერით კომპონენტზე მუშაობენ.

ნიდერლანდებში მხარდაჭერით დასაქმების კომპონენტი მთლიანად გადატანილია დასაქმების სახელმწიფო სერვისიდან კერძო კომპანიებში. [4]

შვედეთში სახელმწიფო თავად უზრუნველყოფს დასაქმების საკითხს და გასცემს გრანტებს იმ დამსაქმებლებზე, რომლებიც შშმ პირებს ასაქმებენ; დანიაში არსებობს სპეც. დასაქმების ცენტრი, სადაც კონსულტაციებს უწევენ შშმ პირებს; უნგრეთში საწარმოს თუ დასაქმებული ყავს 25 კაცი ან მეტი, ვალდებულია 5% შშმ პირი აიყვანოს, ასევე ის თავისუფლდება გადასახადისგან. [3]

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული მექანიზმები შშმ პირთა დასაქმების უზრუნველსაყოფად, როგორც კონკრეტული უნარების ტრენინგი, ასევე ღია შრომის ბაზარზე მხარდაჭერით დასაქმების მიდგომების დანერგვა და სხვ. ჯერ კიდევ საჭიროა დამსაქმებელთა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება, რათა შშმ პირები თანასწორ მუშაკებად იქნენ აღქმულნი. [4] (იხ. დიაგრამა 1).

მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა გაეროს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ (2006 წ.) და მოხდა მისი რატიფიცირება, ჩვენს ქვეყანას აქვს პასუხისმგებლობა მიიღოს შესაბამისი ზომები უნარშეზღუდულთა დასაქმების უფლებების დასაცავად.

## დიაგრამა 1

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა**
**NUMBER OF PROFESSIONAL CIVIL SERVANTS WITH DISABILITIES**




**საჯარო სამსახურში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა**
**NUMBER OF CONTRACT EMPLOYEES WITH DISABILITIES**



2014 წელს შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ გეგმაში, რომელიც შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობას ეხებოდა, გაწერილი იყო შემდეგი ნაბიჯები:

1. შშმ პირთათვის შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა;
2. შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობა;
3. შრომის ბაზარზე შშმ სამუშაოს მაძიებლების კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
4. შშმ პირების თვითდასაქმების ხელშეწყობა;
5. შრომის ღირსეული, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა. [5]

რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს შშმ პირთა სოციალიზაციას და საზოგადოებაში ინტეგრაციას, ასეთია:

საჭიროდ ვთვლით უფრო მეტი პროფესიული სასწავლებლის შექმნას შშმ პირთათვის, რათა უფრო მეტი პროფესიული კადრი გაიზარდოს, რაც შემდგომ მათი დასაქმების გარანტია იქნება;

უნდა მოხდეს სამუშაოს მიმცემთა დაინტერესება, მათთვის გარკვეული შეღავათების გაწევა საგადასახადო და ფინანსურ საკითხებში, რათა დამსაქმებლებმა დაასაქმონ შშმ პირები და მათთვის მაქსიმალურად ადაპტირებული გარემო შექმნან;

სახელმწიფო ძირითადად ორიენტირებულია შშმ პირების სოციალურ შემწეობაზე, რაც სრულიად არაა საკმარისი. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს ასეთი პირების დასაქმებისა და სრული ინტეგრაციისათვის. კანონმდებლობაში უნდა ჩაიდოს შშმ პირთა სავალდებულო დასაქმების მექანიზმი როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში;

უნდა არსებობდეს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც საერთაშორისო რეგულაციებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს.

## დასკვნა

დასაქმება იყო და რჩება მოწყვლადი ჯგუფების საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის ყველაზე მდგრად და შედეგიან

კომპონენტად. საქართველოში მათი დასაქმების მხრივ გარკვეული ინიციატივებია, შეიმჩნევა ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ ეს არასაკმარისია. არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზაც, მაგრამ მთავარი დილემა მისი პრაქტიკაში დანერგვა და განხორციელებაა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ი. ლალიაშვილი, მ. სულამანიძე, დამსაქმებლების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ (2015წ.) https://intermedia.ge

2. ლ. გოგიტიძე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა საქართველოში (სამაგისტრო ნაშრომი). 2021წ. https://openscience.ge/bitstream/1/2594/1/Lana%20Gogitidze%20Samagistro.pdf

3. მ. ჭანტურიძე, თ. ვერულავა, შშმპ დასაქმების პოლიტიკა საქართველოში და ალტერნატიული გზები. 2018წ. http://eprints.iliauni.edu.ge/9120/1/chanturidze.pdf

4. მ. ზაქარეიშვილი, ლ. ბარაბაძე, ვ. მიდელაური, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება (გზამკვლევი). 2015წ.

5. https://www.wvi.org/sites/default/files/WV_Toolkit_web.pdf

6. Kochlashvili N (2015). Disability Resource Mapping. Project Name: Livelihood Initiatives to Foster Employability and Entrepreneurship of IDPs and host populations in Georgia – LIFE Georgia. World Vision National Office: Georgia. http://www.csb.gov.ge/media/3306/report_2021_geo-eng.pdf

**REFERENCES:**

1. I. Laliashvili, M. Sulamanidze, Attitude of employers towards persons with disabilities. 2015. https://intermedia.ge

2. L. Gogitidze, Promotion of employment of persons with disabilities in Georgia (Master's thesis)2021. https://openscience.ge/bitstream/1/2594/1/Lana%20Gogitidze%20Samagistro.pdf

3. M. Chanturidze, T. Verulava, SMP employment policy in Georgia and alternative ways. 2018. http://eprints.iliauni.edu.ge/9120/1/chanturidze.pdf

4. M. Zakareishvili, I. Barabadze, V. Midelauri, employment of persons with disabilities (guide). 2015. https://www.wvi.org/sites/default/files/WV_Toolkit_web.pdf

5. Kochlashvili N (2015). Disability Resource Mapping. Project Name: Livelihood Initiatives to Foster Employability and Entrepreneurship of IDPs and host populations in Georgia – LIFE Georgia. World Vision National Office: Georgia.

6. http://www.csb.gov.ge/media/3306/report_2021_geo-eng.pdf

## PROBLEMS OF EMPLOYMENT OF PEOPLE WITH DISABILITIES IN GEORGIA

**Iulia Tedeevi**
GTU assistant professor
irma.ted@gmail.com

**RESUME**

The article discusses the main problems related to the employment of persons with disabilities in Georgia, barriers they face in the job search process. The examples of the current situation in some European countries are given. The inclusion of disabled people in public life remains one of the problematic issues. Creating an anti-discriminatory environment for them, social adaptation, solving the

problem of unemployment, protection of fundamental rights, which are manifested in the protection of their rights to education, healthcare, security and free choice, have become priority directions of all developed countries.

Based on foreign experience, certain recommendations are given, the implementation of which will help and improve the current situation in our country in the direction of protecting the rights of persons with disabilities and special needs, employment and, in general, raising public awareness towards such people.

Moreover, ensuring equal opportunities for all people in any country (including ours) is regulated by law, and this is not just an idea of humanism. The legislative framework is saturated with both theoretical and practical (vocational schools) issues, but on the other hand, its realization – employment of disabled people – is a problem. Disability does not always mean incapacity. Sometimes such a person has so much potential that most people may not have.

Employment has been and remains the most sustainable and effective component of ensuring the livelihood of vulnerable groups. In Georgia, there are some initiatives in terms of their employment, steps taken in this direction can be noticed, but it is insufficient. There is an appropriate legal framework, but the main dilemma is its implementation and implementation in practice.

**Key words:** disabled person, employment, unemployment, protection of rights.

# საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის შედეგები

DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-16

**ნატო ჩიკვილაძე**
სტუ-ს პროფესორი
natochikviladze34@gmail.com

**ელენე ბრეგვაძე**
სტუ-ს დოქტორანტი

**რეზიუმე**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებული რეალიზაციის განმაპირობებელი ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების სპეციფიკურ შემადგენლებსა და უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის ფაქტორებს შორის კავშირის გამოვლენა და შეფასება.

ნაშრომში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა საზოგადოებრივ ღირებულებათა საფუძველზე ხდება. ძირითად საზოგადოებრივ მიზნებს (ღირებულებებს) რომელთა საფუძველზე ყალიბდება უძრავი ქონების ბაზრის განვითარების მიზნები წარმოადგენს: თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი. ამ ღირებულებებთან პოლიტიკის შესაბამისობა განაპირობებს მის ეფექტიანობას. კვლევა განხორციელდა რესპონდენტთა გამოკითხვით ძირითად საზოგადოებრივი ღირებულებების დაკონკრეტების საფუძველზე ჩამოყალიბებულ კითხვებზე. მიღებული პასუხები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით SPSS-ით. კვლევაში განვახორციელებული საზოგადოებრივ ღირებულებათა დაკონკრეტებას გვიჩვენებს პროგრამის სა-

მიზნე მაჩვენებლები, როგორიცაა: Cronbach's Alpha, RSquare და ANOVA Sig. გამოკითხვა ძირითადად მიმდინარეობდა პროფესიულ სოციალურ ქსელ https://www.linkedin.com/-ზე. ანკეტა შეავსო 276-მა ადამიანმა. უძრავი ქონების ბაზრის პოტენციურ და რეალურ მონაწილეთა მიერ ანკეტის 15 კითხვაზე მიღებული პასუხების შეფასების შედეგად გამოვლინდა რესპონდენტთა შემადგენლობა: მათი ასაკის, შემოსავლების, საკუთრების მფლობელობის, განათლების, უპირატესობათა მინიჭებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. კვლევის შედეგთა შეფასებამ გვიჩვენა, რომ რესპონდენტებს სწორი დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკის ინსტრუმენტთა მიმართ, როგორიცაა მიწის ნაკვეთების სისტემური და სპორადული წესით დასაკუთრება. ჩატარებული კვლევის (29 კითხვაზე პასუხების მიღების შედეგად) საფუძველზე მიღებული შედეგების კომპიუტერული პროგრამით IBM SPSS Statistics 27-ით დამუშავების შედეგად მივიღეთ ჩვენს მიერ შედგენილი ოთხი მოდელის სანდოობის, თანმიმდევრულობისა და კორელაციის მაჩვენებლები. მოდელების მაჩვენებლებიდან გამოავლინდა, რომ პირველი, მესამე და მეოთხე მოდელი სანდოა, თანმიმდევრული და ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან (მოდელების პირველ კითხვებთან) მაღალი კორელაციის მქონეა. ჩატარებულმა კვლევამ დაგვიდასტურა საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის სანდოობა და ეფექტიანობა.

**ძირითადი სიტყვები:** უძრავი ქონების ბაზარი, ეკონომიკური პოლიტიკა, კომპიუტერული პროგრამა SPSS.

## შესავალი

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახეობის ეკონომიკური პოლიტიკის) მიზნების განსაზღვრა გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მაინც საზოგადოებრივ მიზანთა საფუძველზე ხდება. ამავე დროს ერის ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების სისტემა (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრ-

თხოება, პროგრესი) ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განსაზღვრაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში სისტემა იერარქიულადაა აგებული. ეს გულისხმობს, რომ უფრო მაღალ მიზანს მაშინ აღწევენ თუ განხორციელებულია მასზე დაქვემდებარებული მიზნები. ძირითად საზოგადოებრივ მიზნებს (ღირებულებებს) წარმოადგენს: თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი. ცხადია შესაძლებელია მიზნების ბევრად უფრო მდიდარი კატალოგი გვქონდეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამ ოთხ მიზანთან მივდივართ.მათი რეალიზება ყოველთვის ეფუძნება ეკონომიკურ კეთილდღეობას, ხოლო საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემის განსაზღვრა ყოველთვის ზოგად ხასიათს ატარებს. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში გადატანისას საზოგადოებრივი ღირებულებები მაქსიმალურად უნდა დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს (რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, 2008). (1)

წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებული რეალიზაციის განმაპირობებელი ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების სპეციფიკურ შემადგენლებსა და უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის ფაქტორებს შორის კავშირის გამოვლენა და შეფასება.

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის მიზნებს ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან (მიზნებთან) უნდა ჰქონდეთ კავშირი. რაც უფრო ძლიერი, მყარი და გრძელვადიანია იგი მით უფრო წარმატებით ხორციელდება უძრავი ქონების ბაზრის განვითარება.

მსოფლიოში ცნობილი სოვეტოლოგისა და ისტორიკოსის რიჩარდ პაიპსი თავის წიგნში „საკუთრება და თავისუფლება წერს: „მოსაზრება, რომ საკუთრება და თავისუფლება ურთიერთკავშირშია, ახალი არ გახლავთ - იგი მეჩვიდმეტე საუკუნიდან მომდინარეობს და გახდა ჩვეულებრივი მეთვრამეტე საუკუნეში. .... ჩემი თავდაპირველი ჰიპოთეზა იყო, რომ საკუთრების სოციალური გარანტიები და პიროვნული თავისუფლება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: თუ საკუთრება რაიმე ფორმით

არსებობს თავისუფლების გარეშე, მაშინ საპირისპირო სრულიად წარმოუდგენელია“ (რიჩარდ პაიპსი, 2000). (2)

ზოგადად სიტყვა თავისუფლება გამოიყენება სხვადასხვა კვლევებში ოთხი მნიშვნელობით: (1) პოლიტიკური თავისუფლება, ანუ პირის უფლება მონაწილეობა მიიღოს იმ თანამდებობის პირთა არჩევნებში, რომლებიც ხელმძღვანელობენ საზოგადოებას, სადაც ის ცხოვრობს; (2) სამართლებრივი თავისუფლება, ანუ პირის უფლება სხვა ადამიანებთან და სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მიმართოს კანონის წარმომადგენელ მესამე პირის სასამართლოს; (3)ეკონომიკური თავისუფლება, ანუ საკუთრების თავისუფლად გამოყენებისა და განკარგვის უფლება; (4) პიროვნების უფლებები, ანუ პიროვნების უფლება საკუთარ სიცოცხლეზე და თავისუფლებაზე და შესაძლებლობა გააკეთოს ისე, როგორც მას სურს, იმ პირობით, რომ ეს არ არღვევს სხვა ადამიანების თავისუფლებებსა და უფლებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იძულების არარსებობა. პოლიტიკური დემოკრატია სულაც არ მოიცავს ინდივიდის თავისუფლებას და უფლებებს: არ არსებობს შეუცვლელი კავშირი ინდივიდუალურ თავისუფლებასა და მმართველობის დემოკრატიულ ფორმას შორის. ძველი ათენის მოქალაქეებს ჰქონდათ პოლიტიკური, მაგრამ არა სამოქალაქო უფლებები და ზოგიერთი განმანათლებელი დესპოტის პრივილეგირებული სუბიექტები დაჯილდოვდნენ სამოქალაქო უფლებებით, მაგრამ არა პოლიტიკურით (Alfred A. Knopf, 1998). (3)

თავისუფლება არ გულისხმობს ე.წ. სახელმწიფოსგან მატერიალური დახმარების უფლებას (როგორც იგულისხმება სლოგანის ფრაზები „თავისუფლება გაჭირვებისგან“ და „საცხოვრებლის უფლება“), რადგან ეს ლახავს უფლებებს კერძოდ მათთვის, ვისაც მოუწევს გადაიხადოს ასეთი „თავისუფლებები“. ასეთი „უფლებები“ საუკეთესო შემთხვევაში მორალური მოთხოვნებია, უარეს შემთხვევაში, თუ მთავრობა მათ აღსრულებას იკისრებს, ეს დაუმსახურებელი პრივილეგიებია (Jack Ashby Holme Winter, 2015). (4)

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ეკონომისტის რობ ატკი-

ნსონის (Rob Atkinson, 2022.) მოსაზრებით: „....მაშინ როცა კეთილდღეობა (პროგრესი) ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, თავისუფლება და სამართლიანობა ისეთივე მნიშვნელოვანია.....მაგრამ კეთილდღეობას შეუძლია მხარი დაუჭიროს თავისუფლებას და სამართლიანობას“. (5)

რაც შეეხება ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირებას უსაფრთხოების ფუნდამენტურ ღირებულებაზე მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. (6)

ეროვნულ დონეზე ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის უნარს მიაღწიოს საკუთარი ეკონომიკური განვითარების მიზნებს და ხშირად პირდაპირ კავშირშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან. გლობალურად, მზარდი დაუცველობა და მის მიერ წარმოქმნილი უნდობლობა არის მთავარი დაბრკოლება კოლექტიური ძალისხმევისთვის SDG-ების (მდგრადი განვითარების მიზნების) მისაღწევად. ეკონომიკური უსაფრთხოების სურვილი არის ძლიერი, უნივერსალური გრძნობა, რომელიც ნაცნობია ადამიანების უმეტესობისთვის როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ სიღარიბით ან დანაკარგებით, არამედ ხალხის მოლოდინებსა და რეალურ მდგომარეობას შორის მზარდი უფსკრულით. კოვიდ19-სა და რუსეთ-უკრაინის ომის შემზარავი აქტივობით უკვე 7 მილიონზე მეტი ადამიანი დაზარალდა. ეკონომიკური დაუცველობის მზარდ გრძნობას შეიძლება ჰქონდეს სერიოზული პოლიტიკური შედეგები. ამდენად ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნის მიღწევის უწყვეტ პროცესთან. ახალი გლობალური შეთანხმება უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების აღიარებას, როგორც ადამიანის უფლებას, საერთო საზრუნავს და, შესაბამისად, გლობალურ პასუხისმგებლობას.

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციაБ მასში მკაფიოდაა

განხილული ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები (იხილეთ: მუხლი 4. სამართლებრივი სახელმწიფო; მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო; მუხლი 6. ეკონომიკური თავისუფლება), ხოლო მათთან კავშირი და მაქსიმალური დაახლოება ნებისმიერი სახეობის მათ შორის უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებულ შედეგებს უზრუნველყოფს. (7)

**უძრავი ქონების ბაზრის პოტენციურ და რეალურ მონაწილეთა კვლევა.** საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და მისი გატარების წარმატება დამოკიდებულია პოლიტიკის გრძელვადიანი მიზნების კავშირზე ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებზე.

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისთვის განვახორციელეთ რესპონდენტთა გამოკითხვა ძირითად საზოგადოებრივი ღირებულებების დაკონკრეტების საფუძველზე ჩამოყალიბებულ კითხვებზე. მიღებული პასუხები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით SPSS -ით. ის ფაქტი თუ რამდენად სწორად განვახორციელეთ საზოგადოებრივ ღირებულებათა დაკონკრეტება, გვიჩვენებს პროგრამის სამიზნე მაჩვენებლები, როგორიცაა: Cronbach's Alpha, RSquare და ANOVA Sig. კვლევა მიმდინარეობდა სამი თვის განმავლობაში, 2022 წლის 2 ივნისიდან 2 სექტემბრამდე. გამოკითხვა ძირითადად მიმდინარეობდა პროფესიულ სოციალურ ქსელ https://www.linkedin.com/- ზე. კვლევის კითხვარი გაეგზავნა 500-ზე მეტ რესპონდენტს, ხოლო ანკეტა შეავსო 276-მა ადამიანმა ანუ 55,2%-მა. გამოკითხულთა 54,3% იყო ქალბატონი, ხოლო 45,7% მამაკაცი. ანკეტის ზოგად კითხვებს წარმოადგენს:

1.1 რესპონდენტის სქესი; კვლევაში მონაწილეობის მიღების აქტივობით ქალები გამოირჩეოდნენ. ეს მიგვითითებს გენდერული პრობლემების არსებობის დაბალ შესაძლებლობებზე. ამავე დროს საინტერესოა, რომ ქალების მიერ შევსებული ანკეტების მეტი რაოდენობა (ვიდრე მამაკაცების მიერ შევსებული) ჩაითვალა არასრულყოფილად.

კითხვა 1.2. ანკეტირებაში მონაწილე მოქალაქეების 80,4% 60 წელზე ნაკლები წლისაა, ხოლო აქტიურ მშრომელებს რესპონდენტთა 47,8% წარმოადგენს. ეს საკმაოდ დამაიმედებელი სურათია, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ძირითადად სასოფლო სამეურნეო წარმოებასა და ზოგადად აგრარულ სექტორს უკავშირდება.

1.3. რესპონდენტის განათლება: კითხვაზე პასუხები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტთა 60.9%-ს უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო 39,1%-ს სრული ზოგადი და პროფესიული. მათ შორის პროფესიული განათლება 17,4%-ს აქვს რაც უძრავი ქონების დასაკუთრებისა და მცირე ან საშუალო ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით არასასურველი მდგომარეობაა. პროფესიული განათლების ქსელი განვითარება და საკვალიფიკაციო-პროფესიული ჩამონათვალის გაფართოება დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

1.4. რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი: რესპონდენტები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 11 რეგიონში არიან განაწილებული. მათ შორის ყველაზე მეტმა რესპონდენტმა-30,43% თბილისიდან მიიღო მონაწილეობა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან: კახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლიდან მხოლოდ 13,05% მიიღო მონაწილეობა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ეს რეგიონები განვითარებული მევენახეობისა და მეხილეობის პლანტაციების ადგილებია მაშინ მოქალაქეთა ასეთიინერტული დამოკიდებულება ონლაინ გამოკითხვის მიმართ სავარაუდოდ მათ ონლაინის მიმართ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, რაც მომავალში მიწისა და სხვა უძრავი ქონების ონლაინ აუქციონებში მათ შეზღუდულ მონაწილეობაში გამოვლინდება.

1.5.რესპონდენტების ამჟამინდელი ოჯახური მდგომარეობა: ოჯახური მდგომარეობის თვალსაზრისით რესპონდენტთა საკმაო რაოდენობა 43,48% დაოჯახებულია და დასაოჯახებელი კი 34,78%-ია, რაც იმაზე მეტყველებს, რო ამ მოქალაქეთა უმრავლესობა ოჯახს შექმნის, შვილები ეყოლებათ და უძრავი ქონე-

ბის ბაზარზე გატანილი ქონების მისაკუთრებასა და ზოგადად ყიდვა-გაყიდვებში მიიღებს მონაწილეობას.

1.6. რესპონდენტთა საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობა: კითხვაზე გაცემული პასუხები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (87%-მდე) მუშაობს რაც დამაიმედებელია ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და ეთანხმება ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს. იმ რესპონდენტებს შორის ვინც მუშაობს და სწავლობს (10,87%) სავარაუდოა, რომ რეალობაში მათი რაოდენობა ბევრად შემცირდებოდა სასწავლო პერიოდის დაწყების შემდეგ და ონლაინ სწავლების შეჩერების გამო. მიგვაჩნია, რომ პანდემიის პერიოდმა სრულად გვიჩვენა, რომ განათლების მიღება გარკვეულ სპეციალობებში რეგიონის, საცხოვრებელისა და სამუშაო ადგილის დატოვების გარეშეც შესაძლებელია. საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის ახალგაზრდების დარჩენა თავიანთ სამუშაო ადგილებზე ძალიან მნიშვნელოვანია და მათი გადაადგილება ქალაქებში განათლების მისაღებად სულაც არ წარმოადგენს აუცილებლობას, მეტიც ეს შედეგების გაუთვლელი გადაწყვეტილებაა.

1.7. რესპონდენტთა დასაქმების სფერო: რესპონდენტთა პასუხებმა გამოავლინა განსხვავება კითხვა 1.6 და 1.7. შორის. კერძოდ კითხვა 1.6.-ზე 18 მოქალაქემ გასცა პასუხი, რომ იყო უმუშევარი და არც სწავლობდა. ამავე დროს კითხვა 1.7.-ზე 30 მოქალაქემ განაცხადა, რომ არ აქვს სამსახური. სავარაუდოა, რომ 12 მოქალაქის აზრით საკუთარი ოჯახის ან თავის მომსახურება სამსახურად არ ითვლება, რადგან ისინი საჯარო დაწესებულებაში არ არიან დასაქმებული. გამოკითხვიდან იკვეთება, რომ 28,3% მოქალაქეებისა ბიზნესში არიან დასაქმებული რაც უდაოდ ძალიან მნიშვნელოვანია. რესპონდენტების გამოკითხვისას დასმული იყო შემდეგი კითხვა

1.8. რომელ საკითხებს თვლით თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვნად (აირჩიეთ 4 საკითხი)

| | Responses | | P Percent of Cases |
|---|---|---|---|
| | PN N | Percent | |
| 1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | 240 | 22.5% | 87.0% |
| 2. განათლება | 192 | 18.0% | 69.6% |
| 3.ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება | 60 | 5.6% | 21.7% |
| 4. გარემოს დაცვა | 54 | 5.1% | 19.6% |
| 5. უმუშევრობა | 113 | 10.6% | 40.9% |
| 6. სიღარიბე | 42 | 3.9% | 15.2% |
| 7. ფასების ზრდა / ინფლაცია | 84 | 7.9% | 30.4% |
| 8. პენსიები | 42 | 3.9% | 15.2% |
| 9. უთანასწორობა | 12 | 1.1% | 4.3% |
| 10.ადამიანის უფლებები | 36 | 3.4% | 13.0% |
| 11. სიტყვის თავისუფლება | 13 | 1.2% | 4.7% |
| 12. კორუფცია | 36 | 3.4% | 13.0% |
| 13. საზოგადოებრივი უსაფრთხოება | 30 | 2.8% | 10.9% |
| 14. ეკონომიკური უსაფრთხოება | 36 | 3.4% | 13.0% |
| 15.ევროატლანტიკური ინტეგრაცია | 36 | 3.4% | 13.0% |
| 16. სასამართლო სისტემა | 36 | 3.4% | 13.0% |
| 17. სხვა | 6 | .6% | 2.2% |
| Total | 1068 | 100.0% | 387.0% |

როგორც ვხედავთ საქართველოს მოსახლეობის აქტიური ნაწილისთვის (აქტიურად ითვლებიან რესპოდენტები კვლევაში თავისი სურვილით მონაწილეობის გამო) სამშობლოს ტერიტო-

რიული მთლიანობის აღდგენა და განათლება კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია, რაც მიგვითითებს, რომ საქართველოს მოქალაქეები არასდროს შეურიგდებიან მამულის დაკარგვას.

ამასთან მათ კარგად ესმით განათლების როლი ამ სფეროში, რომ მხოლოდ განათლებულ და მაღალორგანიზებულ საზოგადოებას შესწევს ძალა და უნარი დაიბრუნოს დანაკარგი. ამავე დროს რესპონდენტების 71%-სთვის შიგა ბაზრის პრობლემები, ინფლაცია და უმუშევრობა ისევ აქტუალურია. გამოვლინდა წუხილი და შიში რუსეთ-უკრაინის ომის დამანგრეველი შედეგების გამო, რაც გრძელვადიან პერიოდში უარყოფითად იმოქმედებს ყველა პოსტ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკაზე. სასურველია ჩვენმა ხელისუფლებამ და ოპოზიციურმა პარტიებმაც ერთად დაამშვიდონ მოქალაქეები და განუმარტონ პოზიტიურ ტონებში მომავლის პერსპექტივა.

1.9. რესპონდენტების მიმდინარე ყოველთვიური შემოსავალი.რესპონდენტთა პასუხებიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ საქართველოს მოქალაქეთა 67%-ს საკუთარი შემოსავალი საშუალოდ მიაჩნია და ამდენად მათ ქვეყნისა და საზოგადოების დესტაბილიზაცია და რევოლუციაში მონაწილეობა არ სურთ როგორც ამას ოპოზიციური პარტიები ვარაუდობენ.

1.10. რესპონდენტების დამატებითი შემოსავლის არსებობის შესახებ ინფორმაცია:

რესპოდენტთა 48 %-ს საქართველოში დამატებითი შემოსავლის წყარო გააჩნია რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სამეწარმეო უნარები და ბიზნეს აქტივობა ამაღლდა, რადგან საზღვარგარეთიდან გზავნილების რაოდენობა რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შემცირებულია.

1.11. რესპონდენტების შემოსავლის ცვლილება COVID19-ის პანდემიამდე არსებულ შემოსავალთან შედარებით: მიღებულმა პასუხებმა განამტკიცა საქართველოს ეკონომიკური ზრდის აღდგენისა და მომავალშიც მისი შენარჩუნების შესაძლებლობა (რასაც არც ერთი საერთაშორისო პროგნოზი არ ვარაუდობდა).

1.12. რესპონდენტთა აუცილებელი ხარჯები შემოსავლის

რამდენ პროცენტს წარმოადგენს: რესპონდენტთა პასუხები გვიჩვენებს, რომ მათ 80%-ზე მეტს აქვს დანაზოგების დაგროვების შესაძლებლობა, რაც უძრავი ქონების მომავალი შეძენისა და ცხოვრების დონის ამაღლების საშუალებას ჩამოაყალიბებს. ამავე დროს რესპონდენტთა დაგროვილი კაპიტალი უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ობიექტურ საფუძველს შექმნის და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებას ხელს შეუწყობს.

1.13. აკეთებენ თუ არა რესპონდენტები დანაზოგს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი პერიოდისთვის: პასუხებმა გვიჩვენეს, რომ რესპონდენტთა დანაზოგების 44 %-მდე გრძელვადიან პერიოდზეა განკუთვნილი რაც მათ მომავალ საპენსიო შემოსავლებს გაზრდის და სიღარიბის შეზღუდვის შესაძლებლობას შექმნის ქვეყანაში. ამავე დროს მომავალი ხელისუფლებებისთვის ამ კუთხით ნაკლები პრობლემები ჩამოყალიბდება.

1.14. რესპონდენტებისთვის დასმული იყო კითხვა: აქვთ თუ არა საფინანსო და სხვა სახის ვალდებულებები საგარანტიოთ უძრავი ქონების გამოყენების საფუძველზე (გრძელვადიანი საბანკო სესხი ან სხვა რაიმე სახის საფინანსო ვალდებულებები). პასუხებმა გვიჩვენეს, რომ გამოკითხვაში მონაწილე 174 მოქალაქეს (რესპონდენტთა 63%-ს) საფინანსო ვალდებულებები არ გააჩნია რაც განვითარებადი საბაზრო ეკონომიკისთვის არასასურველია რადგან ეს საბანკო სექტორის არასრულყოფილ, შემაფერხებელ ქმედებაზე მიგვითითებს და ეკონომიკურ განვითარებას არ უწყობს ხელს.

1.15. რესპოდენტების მიერ შეფასდა მათი ცხოვრების დონე:

რესპოდენტთა 67% თვლის, რომ მათი ცხოვრების დონე საშუალოა ეს მაჩვენებელი ეთანხმება საშუალო შემოსავლების მაჩვენებელს, რაც მის რეალურ მნიშვნელობაზე მიგვითითებს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა როგორც სჩანს ფუფუნებისადმი მიდრეკილი არ არის რაც საქართველოს კულტურული წარსულის მახასიათებელთა გაღვივებაზე მეტყველებს.

კვლევის განხორციელების საფუძველზე მიღებული შედეგები დამუშავდა შPშშ კომპიუტერული პროგრამით. რესპონდე-

ნტთა ზოგად კითხვებზე პასუხების განხილვის შემდეგ შევქმენით 4 დამოუკიდებელი მოდელი. პირველ მოდელში დასმული იქნა 8 კითხვა, ხოლო მეორე მესამე და მეოთხე მოდელში 7-7 კითხვა. ამასთან, თითოეულ მოდელში პირველი კითხვა (1.1., 2.1., 3.1. და 4.1.) შეესაბამება ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების მიზნებს (თავისუფლებას - საკუთრებას, უსაფრთხოებას, სამართლიანობას და პროგრესს - განვითარებას). გამოთვლილია Cronbach's Alpha, რომელიც გვიჩვენებს (ზომავს) მოდელის რელევანტურობას და თანმიმდევრობას აგრეთვე ANOVA-ს Sig - სანდოობას. ოთხივე მოდელში მივიღეთ შემდეგი შედეგები:

**ცხრილი №1. მოდელების სარწმუნოობის, თანმიმდევრულობისა და სანდოობის მაჩვენებლები.**

| მოდელი | Cronbach's Alpha | R Square / % | ANOVA Sig. |
|---|---|---|---|
| I მოდელი | .737 | .328 / 33% | .000[b] |
| II მოდელი | .611 | .397 / 40% | .000[b] |
| III მოდელი | .752 | .587 / 60% | .000[b] |
| IV მოდელი | .806 | .669 / 70% | .000[b] |

ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლების მიხედვით I მოდელი სარწმუნოა, თანმიმდევრული და სანდო, მაგრამ მიუხედავად უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის ასეთი მახასიათებლებისა იგი მხოლოდ 33%-ით იმოქმედებს საქართველოში მოქალაქეების მიერ ქონების (საკუთრების) შექმნის პროცესზე, რაც ცხადია ბაზრის აქტივობას ზღუდავს.

II მოდელი სარწმუნოობისა და თანმიმდევრულობის თვალსაზრისით გვიჩვენებს, რომ რამდენიმე კითხვისგან შემდგარი კითხვარი (ლაიკერტის შკალაზე) არის თუ არა მისაღები (სარწმუნო და თანმიმდევრული). Cronbach's Alpha - ს მაჩვენებელი

9 მეასედი პუნქტით დაბალია და მიგვითითებს მცირეოდენ ჩამორჩენაზე თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე დროს ANOVA Sig არის 000b რაც მოდელის სანდოობაზე მიგვანიშნებს. ამასთან მთავარ შეკითხვაზე: 3.1. როგორ მიგაჩნიათ როგორია საქართველოში უსაფრთხოების დონე? R Square მაჩვენებელი

მთავარ კითხვაზე რესპოდენტთა პასუხების ზემოქმედების 40% - იან დონეს გვიჩვენებს.III მოდელი ისევე როგორც პირველი მოდელი სარწმუნოა თანმიმდევრული და სანდო. ამავე დროს სამართლიანი გარემოს შესახებ (რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბაზრის რელევანტურობას) ძირითად შეკითხვაზე მოდელის კითხვები 60%-იან ზეგავლენას ახდენს.

ცხრილი №1-დან ჩანს, რომ IV მოდელი ყველაზე სარწმუნოა, თანმიმდევრული და სანდო, რადგან Cronbach's Alpha - ს მაჩვენებელი 806-ია, ხოლო ANOVA Sig - .000b. ამავე დროს ძირითად კითხვაზე მოდელის შემადგენელი კითხვების ზემოქმედების დონე R Square არის 669, ანუ 70%.

## დასკვნა

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის წარმატება დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა პოლიტიკის მიზნებთან. მათ შორის უმთავრეს მიზანს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს. ამავე დროს ყველა სხვა მიზანიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ღირებულებებთან: საკუთრებასთან, უსაფრთხოებასა და სამართლიანობასთან, რაც საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს;

უძრავი ქონების ბაზრის პოტენციურ და რეალურ მონაწილეთა (276 რესპონდენტი) მიერ ანკეტის 15 კითხვაზე მიღებული პასუხების შეფასების შედეგად გამოვლინდა რესპონდენტთა შემადგენლობა მათი ასაკის, შემოსავლების, საკუთრების მფლობელობის, განათლების, უპირატესობათა მინიჭებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. კვლევის შედეგთა შეფასებამ გვიჩვენა, რომ რესპონდენტებს სწორი დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკის ინსტრუმენტთა მიმართ, როგორიცაა მიწის ნაკვე-

თების სისტემური და სპორადული წესით დასაკუთრება;

ჩატარებული კვლევის (29 კითხვაზე პასუხების მიღების შედეგად) საფუძველზე მიღებული შედეგების კომპიუტერული პროგრამით (IBM SPSS Statistics 27- ით) დამუშავების შედეგად მივიღეთ ჩვენს მიერ შედგენილი ოთხი მოდელის სანდოობის, თანმიმდევრულობისა და კორელაციის მაჩვენებლები;

მოდელების მაჩვენებლებიდან გამოვლინდა, რომ პირველი, მესამე და მეოთხე მოდელი სანდოა, თანმიმდევრული და ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან (მოდელების პირველ კითხვებთან) მაღალი კორელაციის მქონეა;

ჩატარებულმა კვლევა დაგვიდასტურა საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის სანდოობა და ეფექტიანობა. ბაზრის განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის კონტენტი და შედეგები ბევრადაა დამოკიდებული რესპონდენტთა მიერ მისი აღქმის სისწორეზე, რაც პოლიტიკის ინსტრუმენტთა შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობასა და მათ მისაწვდომობაში ვლინდება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, 2008. ეკონომიკური პოლიტიკა წიგნი

პირველი. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი, 2008. გვ. 28-29;

2. Пайпс, Ричард (2000). СОБСТВЕННОСТЬ И СВОБОДА. „Московская Школа Политических Исследований“, 2000, 415 с.12; https://eponym.ru/BookImages/1411/4F2ECQP2L0H2XM181X9C6BCCI.pdf

3. Alfred A. Knopf, (1998). Property and Freedom. New York, 1999; https://www.independent.org/publications/tir/article.asp?id=237

4 . Jack Ashby Holme Winter (2015). How are Freedom, Equality and Private Property Rights Related? A thesis submitted to the University of Manchester for the degree of Doctor of Philosophy (PhD) in the Faculty of Humanities Pp.22-87;

https://www.research.manchester.ac.uk/portal/files/54577902/FULL_TEXT.PDF

5. Rob Atkinson (2022). Freedom, Fairness or Flourishing: America's Fundamental Economic

Policy Choice; https://americancompass.org/freedom-fairness-or-flourishing-americas-fundamental- economic-policy-choice/

6. United Nations. Department of Economic and Social Affairs Social Inclusion. A new global deal must promote economic security; https://www.un.org/development/desa/dspd/2021/01/a-new-global-deal-must-promote- economic-security/

7.საქართველოს კონსტიტუცია; https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

8.სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ჯინის კოეფიციენტები. https://cutt.ly/P2Lp8bU

**REFERENCES:**

1. R. Gvelesiani, I. Gogorishvili, 2008. Economic Policy, book first. ed. „Universal". Tbilisi, 2008. p. 28-29;

2. Pipes, Richard (2000). Property and Freedom. „Moscow School of Political Investigations", 2000, 415 p. 12 https://eponym.ru/BookImages/1411/4F2ECQP2L0H2XM181X9C6BCCI.pdf

3. Alfred A. Knopf, (1998). Property and Freedom. New York, 1999; https://www.independent.org/publications/tir/article.asp?id=237

4 . Jack Ashby Holme Winter (2015). How are Freedom, Equality and Private Property Rights Related? A thesis submitted to the University of Manchester for the degree of Doctor of Philosophy (PhD) in the Faculty of Humanities Pp.22-87; https://www.research.manchester.ac.uk/portal/files/54577902/FULL_TEXT.PDF

5.Rob Atkinson (2022). Freedom, Fairness or Flourishing: America's Fundamental Economic Policy Choice;

https://americancompass.org/freedom-fairness-or-flourishing-americas-fundamental- economic-policy-choice/

6. United Nations. Department of Economic and Social Affairs So-

cial Inclusion. A new global deal must promote economic security; https://www.un.org/development/desa/dspd/2021/01/a-new-global-deal-must-promote- economic-security/

7. Constitution of Georgia; https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

8. National Statistics Service. Gini coefficients. https://cutt.ly/P2Lp8bU

## RESULTS OF GEORGIA'S REAL ESTATE MARKET DEVELOPMENT POLICY

**Nato Chikviladze,**
Professor of GTU,
natochikviladze34@gmail.com

**Elene Bregvadze,**
PhD student of GTU

### RESUME

The purpose of the study was to identify and assess the relationship between the specified, specific components of the main social values and policy factors for the development of the real estate market.

The article defines the objectives of the economic policy for the development of the real estate market based on social values. The main public goals (values), on the basis of which the goals of the development of the real estate market are formed, are: freedom, justice, security and progress. The alignment of policy with these values determines its effectiveness. The study was conducted by interviewing respondents on questions formulated on the basis of the main social values. The responses received were processed by the SPSS computer program. The specification of the social values implemented in the study is shown by the target indicators of the

program, such as: Cronbach's Alpha, RSquare and ANOVA Sig. The survey was conducted mainly in the professional social network https://www.linkedin.com/. The questionnaire was completed by 276 people. As a result of evaluating the answers received by potential and real participants in the real estate market to 15 questions of the questionnaire, the composition of respondents was identified: by age, income, property status, education, preferences and other characteristics. Evaluation of the results of the study showed us that the respondents have a correct attitude towards such policy instruments as systematic and sporadic registration of land plots. Based on the answers to 29 research questions, by processing the results with the help of a computer program, reliability indicators and models were obtained. According to the indicators of the models, it was revealed that the first, third and fourth models are reliable, consistent and highly correlated with basic social values (the first questions of the models). The conducted research confirmed the reliability and effectiveness of the economic policy for the development of the real estate market in Georgia.

**Key words:** Real estate market, economic policy, SPSS computer program.

# ბიზნეს-გეგმის არსი და შედგენის მეთოდიკა

DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-33

**სერგო რუხაძე**
ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის
ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრი
sergi.imedi@gmail.com

**რეზიუმე**

ბიზნეს-გეგმა სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვის ძირითადი სახეა, ხოლო მენეჯმენტში - დაგეგმვის საპასუხისმგებლო ფუნქცია.

ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა იწყება ბიზნეს-გეგმის შედგენით.

ბიზნეს-გეგმა სინთეზური შინაარსის დოკუმენტია, სადაც მოცემულია პრაგმატული (სარგებლიანობის) ხასიათის პროგნოზები, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი ასრულებს რეკლამის ფუნქციასაც. მასში ჩადებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, დამაჯერებელი, მკითხველში აღძრავდეს ოპტიმიზმსა და შემოთავაზებული საქმისადმი ენთუზიაზმს. გეგმა, ცხადია, მოიცავს რისკის ელემენტებსაც, მაგრამ არაა მათზე ყურადღების გამახვილება საჭირო.

გეგმის ტონი უნდა იყოს საქმიანი, რათა მკითხველის მიერ იგი სერიოზულად იქნეს აღქმული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიზნეს-გეგმას ცოცხალი ადამიანები წაიკითხავენ და მათ ყურადღებას მიიპყრობს პოზიტიური და ნათელი აზრები, მაგრამ ზურგს შეაქცევენ ისეთ გეგმას, სადაც მასალა გადმოცემული იქნება ბუნდოვნად, მოსაწყენი ტონით, ბოლომდე გაუაზრებელი, არასწორად აგებული ტექსტით, ორთოგრაფიული და სარედაქციო შეცდომებით. გარდა ამისა, ბიზნეს-გეგმა არის

სახელმძღვანელო დოკუმენტი სამეურნეო ფუნქციების შესრულებისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩაფიქრებული სამეწარმეო იდეების შესამოწმებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი, გეგმა, ფირმა, ფული, სახსრები, მეწარმე.

## შესავალი

ბიზნეს-გეგმა ემსახურება სამი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტას:

1. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებების საფუძველი: განისაზღვროს ფირმის განვითარების სტრატეგია, მისი მიზნები და ამოცანები, თავიდან აცილებულ იქნეს შეცდომები, განხილულ იქნეს საქმიანობის ყოველი მხარე - ფინანსური, მარკეტინგული და საწარმოო პრობლემები;

2. ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მეწარმეს შეუძლია შეაფასოს ფირმის ან კომპანიის საქმიანობის ეკონომიკურ-სამეურნეო საქმიანობის ფაქტიური გეგმები, მაგალითად, ბიზნეს-გეგმის საფინანსო ნაწილი შეიძლება გამოვიყენოთ ფირმის სამეურნეო საქმიანობის, ბიუჯეტის შედგენისა და მისი შესრულების კონტროლის საფუძვლად, რამდენად ზუსტადაა დაცული მისი შემოსავალ-გასავალი, უფრო სრულყოფილად იქნეს შედგენილი ახალი ბიუჯეტი. მენეჯერი დროდადრო უნდა ადარებდეს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებას გასული წლების ბიუჯეტის ანალოგიურ მონაცემებს, არკვევდეს, ხომ არაა გადახვევა ბიუჯეტიდან, დროულად შენიშნოს არასასურველი ცვლილებები, დაადგინოს მიზეზები და აღკვეთოს ისინი;

3. ბიზნეს-გეგმა ხშირად ფულადი სახსრების მოზიდვის საშუალებას წარმოადგენს. სესხის გამცემი ან ინვესტორი არ დააბანდებს თავის კაპიტალს ბიზნესში, თუ წინასწარ არ გაეცნო სათანადო წესით შედგენილ ბიზნეს-გეგმას. თუ მეწარმე მიმართავს სესხის გამცემს ან პოტენციურ ინვესტორს საინტერესო იდეებით, მაგრამ შედგენილი ბიზნეს-გეგმის გარეშე, მას არ მო-

უსმენენ და შესთავაზებენ შესაბამისი ბიზნეს-გეგმის შედგენას და წარმოდგენას; ცარიელი იდეები, რაც არ უნდა საინტერესო იყოს, არ წარმოადგენს კაპიტალის დაბანდების საფუძველს. მაშასადამე, თუ მეწარმეს სურს, რომ მასთან საქმე ჰქონდეთ, მან უნდა შეადგინოს თავისი „საქმის“ ბიზნეს-გეგმა.

ბიზნეს-გეგმა უმეტეს შემთხვევებში 3-4 წელიწადზე დგება. ძირითადი ყურადღება აქ ეთმობა განვითარების პირველ თვეებს, ნაკლები დეტალიზაციით წარმოდგენილია შემდგომი წლები. ბიზნეს-გეგმა იშვიათად დგება 5 წელიწადზე ნაკლები პერიოდისათვის.

ბიზნეს-გეგმა გამოიყენება მოლაპარაკებათა და საქმიან გარიგებათა ინსტრუმენტად. გეგმის მომზადების დროს მეწარმემ კონკრეტულად უნდა მიუთითოს, რის მიღებას ითხოვს ინვესტორისაგან ან კრედიტორისაგან და ამავე დროს ნათლად აღნიშნოს, სანაცვლოდ რას სთავაზობს დამფინანსებელს. ბიზნეს-გეგმას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს - იგი კონფიდენციალური დოკუმენტია. იგი უნდა გადაეცეს მხოლოდ სპეციალისტთა განსაზღვრულ ჯგუფს: მენეჯერებს, პროფესიონალურ კონსულტანტებს, დაფინანსების პოტენციურ სუბიექტებს. არაა საჭირო გეგმის მრავალ ეგზემპლარად ბეჭდვა თუნდაც იმიტომ, რომ პოტენციურ დამფინანსებელს არ მოსწონს, როდესაც დაინახავს, რომ იგი ფინანსების წყაროს პირველი და ერთადერთი ვარიანტი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ გეგმა მოხვდეს ყველაზე კომპეტენტურ პიროვნებასთან.

## ძირითადი ნაწილი

ბიზნეს-გეგმა შეიცავს შემდეგ თავებსა და ქვეთავებს:

I. სატიტულო ნაწილი;

II. განსახორციელებელი პროექტის რეზიუმე;

III. ფირმის (კომპანიის) შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

IV. პროდუქცია და მომსახურეობა;

V. ინფორმაცია ბაზრის შესახებ;

VI. ძირითადი პერსონალი;

VII. ფულის მიმოქცევის პროგნოზი;

VIII. გასაყიდი ერთეულების რაოდენობის ანალიზი;
IX. პირველი წლის მოგება-ზარალი, ბალანსი;
X. დამატებითი ფინანსური ინფორმაცია;
XI. ინვესტიციები, რომლებიც უკვე დაბანდებულია;
XII. დამატებითი კაპიტალდაბანდება;
XIII. კაპიტალდაბანდებათა წყაროები;
XIV. კაპიტალდაბანდებათა გეგმა;
XV. სხვა ინფორმაცია.

სატიტულო ნაწილზე იწერება ფირმის სახელწოდება და საწარმოო მიმართულება; ბიზნეს-გეგმის შემსრულებლის გვარი, სახელი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა, სამეცნიერო წოდება.

განსახორციელებელი პროექტის რეზიუმის ნაწილში ძალზე მოკლედ მოცემულია განსახორციელებელ ღონისძიებათა მიზანი და შინაარსი. მართალია, რეზიუმე ბიზნეს-გეგმის დასაწყისშია წარმოდგენილი, მაგრამ იგი იწერება მას შემდეგ, რაც დამთავრებულია ბიზნეს-გეგმის შედგენა.

რეზიუმე უნდა იწვევდეს რეცენზენტის (ამ შემთხვევაში სესხის მიმცემის, დამფინანსებლის) ინტერესს, უფრო ვრცლად გაეცნოს წარმოდგენილ გეგმას, ხოლო თუ ისიც მოეწონა - დააკმაყოფილოს გეგმის წარმომდგენლის თხოვნა შემოთავაზებულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე. ამიტომ რეზიუმე დგება საქმიანი ტონით, ხაზგასმით უნდა იყოს ნაჩვენები ღონისძიების კონცეფცია, მოსალოდნელი მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლები, ყველაზე საყურადღებო და ხელსაყრელი მხარეები. სულ რამდენიმე ფრაზით ან აბზაცით უნდა იყოს ნაჩვენები საფინანსო გეგმის არსი, ანუ საქონლის ყიდვისა და გაყიდვის ძირითადი არხები და ამის ფინანსური შედეგები, თვითგამოსყიდვაზე და მაღალრენტაბელურ ეკონომიკაზე გადასვლის მოსალოდნელი ღონისძიებების მოკლე დახასიათება. აღნიშნული ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.

ფირმის (ან კომპანიის) ზოგადი აღწერა არ უნდა აღემატებოდეს 2-3 გვერდს. აქ უნდა იყოს ასახული ფირმის საწარმოო მიმართულება: ეწევა რაიმე პროდუქციის წარმოებას, საშუამავლო-სავაჭრო საქმიანობას, თუ მუშაობს მომსახურეობის

სფეროში, რას შესთავაზებს თავის კლიენტებს, სად არის იგი გადაადგილებული, რა გეოგრაფიულ საზღვრებში აპირებს თავისი ბიზნესის განვითარებას (ქალაქის, რაიონის, ქვეყნის თუ საერთაშორისო მასშტაბით). იმის გამო, რომ მეწარმე, როგორც წესი, უკეთესად ერკვევა საქმიანობის მის მიერ არჩეულ სფეროში, ვიდრე ინვესტორი, ძალზე მნიშვნელოვანია, რათა გეგმაში მარტივი და გასაგები ფორმით იყოს აღწერილი პროდუქციის (ან მომსახურეობის) დამახასიათებელი მხარეები. ამ განყოფილებებში შემდეგი ხასიათის ინფორმაციაა:

1. საქონლის ფიზიკური აღწერა;
2. საქონლის გამოყენება და მისი მიმზიდველი მხარეები;
3. პროდუქციის შექმნა და განვითარება.

მარკეტინგ-გეგმა, ანუ ინფორმაცია ბაზრის შესახებ მნიშვნელოვანია, ვინაიდან აქ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია ბიზნესის ხასიათის, მეთოდებისა და გზების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკური წარმატება.

განყოფილებაში განიხილება პრობლემათა შემდეგი ჯგუფები:

1. საქონელზე მოთხოვნილებისა და ბაზრის შესაძლებლობანი;
2. კონკურენცია და ბაზარზე მოქმედი სხვა ფაქტორები;
3. მარკეტინგის სტრატეგია;
4. ბაზრის გამოკვლევა ემსახურება ბაზრის შესაძლებლობათა და თავისებურებათა განსაზღვრას, კერძოდ, როგორია საქონელზე მოთხოვნილება, როგორია საქონლის ან მომსახურეობის კონკრეტული სახეების მიმართ ბაზრის ტევადობა;
5. რეალიზაციის მოცულობათა პროგნოზი;
6. დამატებითი მასალები.

დამატებით ნაწილში, ანუ გეგმის დანართში, სასურველია მოცემული იყოს ისეთი მონაცემები, რომელთაც შეუძლიათ მეტი დასაბუთება და დამაჯერებლობა მიანიჭონ შედგენილ გეგმას.

საწარმოო გეგმაში უმეტეს წილად განიხილება შემდეგი საკითხები:

1. პროდუქციის დაპროექტება;

2. დამზადება და სერიული წარმოება;

3. წარმოების მომსახურეობა და სერვისი;

4. ზემოქმედების გარეგანი ფაქტორები;

5. იურიდიული დაცვის ღონისძიებები.

ბიზნესი, რომელიც ორიენტირებულია პროდუქციის წარმოებაზე, თავის გეგმაში ადგილს უთმობს რესურსებით უზრუნველყოფას, წარმოების პროცესების ორგანიზაციას, წარმოების მოცულობის განსაზღვრას.

ბიზნეს-გეგმაში მოკლედ უნდა იყოს წარმოდგენილი ფირმის სამართლებრივი დაცვის საკვანძო საკითხებიც.

**მენეჯერები და ფირმის მართვის ორგანიზაცია.** ბიზნეს-გეგმის ამ ნაწილში უნდა იყოს წარმოდგენილი იმ პირების შესახებ ცნობები, რომლებიც რეალურ როლს თამაშობენ ბიზნესის წარმატებაში, აქვთ მაღალი ავტორიტეტი საქმიან წრეებში, კერძოდ:

1. საქმის დამფუძნებელი მეწარმეები;

2. აქტიური ინვესტორები;

3. ფირმის წამყვანი სპეციალისტები;

4. დირექტორი დ კონსულტანტები.

**კაპიტალი და კომპანიის (ფირმის) იურიდიული ფორმა.** ბიზნეს-გეგმის ან ნაწილში მოცემული უნდა იყოს ფირმის მიერ კაპიტალის მართვის პრობლემები. მეწარმეობაში მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია შემდეგი:

1. ვადიანი სესხი,

2. საკრედიტო ხაზი,

3. კონვერტირებული ობლიგაცია,

4. პრივილეგირებული აქცია,

5. კუმულატიური პრივილეგირებული აქცია ბიზნესში,

6. კონვერტირებული პრივილეგირებული აქცია,

7. ჩვეუულებრივი აქცია - წარმოადგენს ნაწილობრივ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება საკუთარი კაპიტალის გადასაცვლელად კორპორაციაში ჩადებულ წილზე. ამ შემთხვევაში აქციების ღირებულება იცვლება საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად. არსებობს ჩვეულებრივი აქციების ორი სახე:

ა) „ხმის უფლების მქონე აქციები“, რომლის მფლობელებს აქვთ ხმის უფლება აქციონერთა კრებაზე,

ბ) „ხმის უფლების არმქონე აქციები“, რომელთა მფლობელებს არა აქვთ ხმის ასეთი უფლება.

ბიზნესის სტრუქტურის განსაზღვრა ნიშნავს ბიზნესში მონაწილე კაპიტალის მფლობელთა რიცხვს და შემადგენლობას. ბიზნეს-გეგმის ამ ნაწილის შედგენის დროს მეწარმემ უნდა მოიწვიოს იურისტები და ბუღალტრები, რომლებიც ამ საქმეში კვალიფიციურ რეკომენდაციებს მისცემენ. მეორე - უნდა ვერიდოთ ბიზნესის რთულ სტრუქტურებს, შემთხვევას, როდესაც ბიზნესის მონაწილეთა რიცხვი ძალზე მრავალრიცხოვანი, ხოლო მათი ინტერესები - მრავალფეროვანია. მარტივი, „სწორხაზოვანი“ სტრუქტურა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ადვილად მართვადი და ყველაზე ეფექტურიც არის.

კაპიტალზე მოთხოვნილების ზუსტი განსაზღვრა, როგორც წესი, ეფუძნება ფირმის საქმიანობის ანალიზს, ინტუიციას, მოსალოდნელი მოვლენებისა და პროცესების სწორ პროგნოზირებას.

რაც შეეხება კაპიტალის წყაროებს, ბიზნესისათვის საჭირო კაპიტალის ოდენობისა და მისი გამოყენების განსაზღვრის შემდეგ, მეწარმემ უნდა მიუთითოს კაპიტალის მიღების სავარაუდო წყაროები.

**საფინანსო გეგმა.** ბიზნეს-გეგმის საფინანსო ნაწილის მიზანს წარმოადგნეს კომპანიის განვითარების პროექტი, სადაც ასახულია საქმიანობის მოსალოდნელი საბოლოო ფინანსური შედეგები. თუ ეს მონაცემები სათანადოდაა დასაბუთებული, მაშინ გეგმის ეს ნაწილი ხდება ბიზნესის შეფასების (მოწონების) ძირითადი კრიტერიუმი.

საფინანსო გეგმაში აუცილებელია ვაჩვენოთ მოგების მოსალოდნელი მაჩვენებლები პირველი ხუთი ან არანაკლებ სამი წლის პერიოდისათვის. პირველი ორი წლისთვის ფულადი სახსრების შემოსავლის გეგმა, კარგი იქნება, თუ შესრულდება ყოველთვიური პერიოდებით, შემდგომი პერიოდისათვის კი საკმარისი იქნება მათი კვარტალების მიხედვით წარმოდგენა.

ბიზნეს-გეგმაში მომავალი კრედიტორის ან ინვესტორის ყურადღებას იქცევს ფირმის უზარალო მდგომარეობის ანალიზის მონაცემები. უზარალობის დონის შეფასებისათვის საჭიროა შემდეგი გაანგარიშების ჩატარება:

1. ყველა სახის ფულადი ვალდებულებები უნდა დაიყოს უცვლელ და ცვალებად ვალდებულებებად;

2. გაანგარიშებულ იქნეს უცვლელი და ცვალებადი დანახარჯების მთლიანი ჯამი. ასეთ შემთხვევაში უცვლელ ვალდებულებათა მთლიანი თანხა უნდა წარმოვიდგინოთ აბსოლუტურ სიდიდედ.

## დასკვნა

საფინანსო გეგმის მასალა უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი ცხრილების სახით:

1. წლიური შემოსავლების (მოგების მიღების) გეგმის ცხრილი;
2. გასული წლების საფინანსო მაჩვენებლების ცხრილი;
3. საფინანსო ბალანსი ბიზნეს-გეგმის შედგენის მომენტისათვის;
4. ფულადი სახსრების ნაკადების შემოსავლის გეგმა-ცხრილი;
5. საფინანსო ბალანსი და ცალკეული საფინანსო კოეფიციენტების და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;
6. ფინანსური კოეფიციენტებისა და სტატისტიკური მაჩვენებლების პროექტირება.

ბიზნესის დაწყებისათვის გეგმას თან ერთვის ე.წ. დაწყებითი ანუ „სასტარტო“ ბალანსი, ანუ ბალანსი, რომელიც კომპანიას (ფირმას) უნდა ჰქონდეს ბიზნესის დაწყების მომენტისათვის. ასეთი მასალა გვიჩვენებს, თუ როგორ იქნება გახარჯული სესხად მიღებული კაპიტალი და როგორ იქნება იგი მიღებული (ვალის დაფარვის წყაროების და საკუთარი კაპიტალის მიღების ჩვენებით).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ. ასათიანი, მენეჯმენტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი 1995.

2. გ. ბაბუნაშვილი, ბ. მღებრიშვილი, გ. შუბლაძე, მენეჯმენტი, თბილისი, 1998.

3. ე. ბარათაშვილი, გ. მესტვირიშვილი, გ. ჯავახაძე, მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა „ზედაშე“, თბილისი, 1993.

4. ე. ბარათაშვილი, გ. მესტვირიშვილი, გ. ჯავახაძე, მენეჯმენტის საფუძვლები, თსუ „ცოდნის წყარო“, თბილისი, 1997.

5. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი 2010.

6. ო. გოგიაშვილი, ო. ველიჯანაშვილი, გ. ჯოლია, მენეჯმენტის საფუძვლები, თანამედროვე მენეჯმენტი, ნაწილი I, თბილისი, 1999.

7. თ. ხომერიკი, მენეჯმენტი, თბილისი, „ინოვაცია“, 2006.

**REFERENCES:**

1. R. Asatiani - Management, Georgian Agrarian University, Tbilisi, 1995;

2. G. Babunashvili, B. Mghebrishvili, G. Shubladze - Management, Tbilisi, 1998;

3. E. Baratashvili, G. Mestvirishvili, G. Javakhadze - Foundations of Management, Zedashe Publishing, Tbilisi, 1993;

4. E. Baratashvili, G. Mestvirishvili, G. Javakhadze - Foundations of Management, Tbilisi State University, “Tsodnis Tskaro”, Tbilisi, 1997;

5. E. Baratashvili, L. Takalandze - Foundations of Management, Tbilisi, 2010;

6. O. Gogiashvili, O. Velijanashvili, G. Jolia - Foundations of Management, Modern Management, Part I, Tbilisi, 1999;

7. T. Khomeriki - Management, “Innovation”, Tbilisi, 2006.

# THE ESSENCE OF BUSINESS PLAN AND ITS DRAWING UP METHODS

**Sergo Rukhadze**
Technical University of Kutaisi
sergi.imedi@gmail.com

**RESUME**

Business Plan is the basic form for planning an entrepreneurial activity and the management - responsible function of the planning.

Any entrepreneurial activity begins with creation of Business Plan.

Business Plan is a document with synthetical content where prognosis with pragmatic (beneficial) nature are given, but in all cases, it plays the advertisement function as well. The included information there should be precise, convincing, and it should provoke optimism of a reader and enthusiasm towards the opportunity offered. It`s obvious that the plan consists of some risky elements as well, but it is not necessary to focus on them.

Furthermore, the tone of plan should be business in order to be seriously perceived by reader. We should foresee that Business Plan will be read by many persons and their attention will be attracted by positive and bright opinions. However, they will turn their back the plan, where the material will be obscurely expressed with the boring tone, with fully unrealized, incorrectly structured text full of orthographical and editorial errors. Besides, the Business Plan is the manual document for fulfilment of business functions. It may be used to check for some entrepreneurial ideas intended.

**Keywords**: business, plan, firm, money, funds, entrepreneur.

# ACADEMIC INTEGRITY IN BUSINESS RESEARCH (CASE OF GEORGIA)

DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-43

**David Nizharadze**
International Black Sea University,
Doctor of Business Administration
Affiliated Associate Professor
Email: dnizharadze@ibsu.edu.ge

**RESUME**

At the present stage, the Georgian higher education system has faced several challenges. Academic Integrity is one of the deeply rooted problems and has a long history in many countries and communities and Georgia is no exception. Generally, the business research results help companies determine which products or service is most profitable for them. When we speak about business research it means asking some research questions to know where the money can be spent to increase profits, assets, or market share. So, Business research is a very important issue in making effective decisions.

Academic Integrity is a type of intellectual theft, and it can take many forms, from deliberate cheating to accidentally copying from a source without acknowledgment. Consequently, whenever you use the words or ideas of another person in your work, you must acknowledge where they came from.

Therefore, the successful implementation of well-crafted anti-plagiarism policies can have a positive impact on the quality of business research and at the same time improves the academic reputation of business researchers.

The present paper aims to explore attitudes towards and aware-

ness of academic Integrity in business research in Georgian's higher education institutions.

**Keywords: Academic** Integrity, Business research, Anti-plagiarism policies, Copyright, Review.

**MAIN TEXT**

Academic Integrity involves the act of using others' work (Research) and trying to pass it off as your own original work [9]. Essentially, Plagiarism may take place in any scientific journal despite currently employed anti-plagiarism tools and along with fabrication and falsification, it is classed as research misconduct [10].

The quality and integrity of the scientific, including in business research have recently become the subject of heated debate among scientists. Due to an apparent increase in cases of plagiarism (scientific fraud) and irreproducible research, some have claimed science to be in a state of crisis [4]. In this sense, program "Turnitin" solutions promote academic integrity, streamline grading, deter plagiarism, and improve student and researcher outcomes [8].

There are several studies about plagiarism. Some studies indicate that the concept of academic integrity is culturally different and has been in a way problematic in post-Soviet countries, including Georgia. The understanding of academic integrity in the Post-Soviet academic community often does not correspond to its contemporary counterparts. In terms of combating plagiarism, in Georgia existing rules and practices often do not match each other. When it comes to the definition and detection of plagiarism or sanctions for plagiarism, the Authors of scientific papers usually act according to their own, often subjective common sense [7, 4,16].

Although plagiarism detection programs have been used in Georgia in recent years, including of the business-management field, the protection of intellectual property in the field of scientific research is facing challenges and several related issues need to be refined.

Regarding the plagiarism, the Protection of intellectual property rights is a very important issue worldwide and in Georgia. Geor-

gia must undertake more actions through the current European integration process, to bring the national legislation and practice to international standards and low [5, 7]. The DCFTA (The Deep and Comprehensive Free Trade Areas) requires Georgia to modernize its intellectual property rights system. These reforms will contribute to a stable legal environment in Georgia for the protection of intellectual property rights. The DCFTA lays down rules on copyrights and parties must comply with several international conventions and agreements in the mentioned direction and issues [3, 98-99].

The main legislative act regulating copyright relations in Georgia is the ''Law of Georgia on Copyright and Related Rights (1999)''. In Georgia intellectual Property applies to works of science, literature, and art, regardless of their quality, genre, volume, form, and means of expression [6].

The quality and integrity of scientific literature have recently become the subject of heated debate. Due to an apparent increase in cases of scientific fraud and irreproducible research, some have claimed science to be in a state of crisis.

Due to the problems with plagiarism and copyright issues In terms of business research, it's important to adhere to the standards of scientific research review. The quality of scientific research must be critically reviewed before publication. The research should be justifiable for publication, meaning sufficiently important and free from flaws, including plagiarism [2, 6-7].

The present research aims to explore attitudes towards and awareness of plagiarism in business research in Georgia. In the research, both quantitative and qualitative data analysis methods were used, and the target groups of the research were business students of universities accredited in Georgia. Overall, 157 respondents (Students from Tbilisi State University (TSU) and International Black Sea University (IBSU)) participated in the survey (See charts I, II).

Chart I -Target By universities (2021) / TSU -IBSU




Chart II -Distribution of Participants by Study Level (2021)




**CONCLUSION AND KEY FINDINGS**

1. Results of the student survey show that 77.8% of the student respondents are aware of whether their universities have anti-plagiarism policies (See chart III).

Chart III - Does your university have a policy/document to combat plagiarism? (2021)




2. By plagiarism awareness on a five-point scale you are varying among students (See chart IV).

Chart IV - Histogram of How would you rate plagiarism awareness of the following groups on a five point scale (5 - means very high) (2021)



3. It is noteworthy that the regulations in the university are not students' source of information about plagiarism. For 44.4% of the respondents, the main source of information is the professor [11].

Different types of peer review formats will be preferred in business research, depending on which of these expectations take precedence, as not all of these expectations can be easily combined [4].

The results of our paper indicate that the problems of academic integrity are a critically important component in business research, which requires appropriate measures, even in the form of implementation of an effective anti-plagiarism policy.

**REFERENCES:**


1. Chokheli E, Nizharadze D, Tikishvili M, THE IMPACT OF THE PANDEMIC ON THE QUALITY OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA, 7th International Scientific Symposium "Economics, Business & Finance", 4 the International Multidisciplinary Academic Conference (IMAC), Jarmal, Latvia, proceedings, 2021

2. Dochy F., A guide for writing scholarly articles or reviews for the Educational Research Review, January 2006, https://www.elsevier.com/

3. Emerson., Kovziridze T., Deepening EU–Georgian Relations What, why, and how? Second edition, CEPS, 2018

4. Horbach S. P. J. M., Halffman W, The changing forms and expectations of peer review, Research Integrity and Peer Review, https://www.biomedcentral.com/, 2018

5. Intellectual Property Rights, Field Analysis, CSRDG, 2018

6. Law of Georgia on Copyright and Related Rights,1999

7. The Problem of Plagiarism and Its Perceptions in Georgia, A research report, Open Society Georgia Foundation, Erasmus+, 2016

8. https://www.turnitin.com/

9. https://www.sciencedirect.com (Cassandra J. Smith, in Ethical Behavior in the E-Classroom, Rules of conduct: plagiarism, 2012)

10. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5494318/ (Plagiarism in the Context of Education and Evolving Detection

Strategies, J Korean Med Sci. 2017 Aug;32(8):1220-1227)
11. Dnizharadze D., Plagiarism and Peer Review Issues in Business Research (Case of Georgia), www.researchgate.net, 2022.

# აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი ბიზნესის კვლევაში (საქართველოს მაგალითზე)

**დავით ნიჟარაძე**
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
აფილირებული ასოცირებული პროფესორი
E-mail: dnizharadze@ibsu.edu.ge

## რეზიუმე

დღესდღეობით, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორისაა აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული, ღრმად ფესვგადგმული პრობლემა. პლაგიატს მრავალ ქვეყანაში და საზოგადოებაში, დიდი ხნის ისტორია გააჩნია და ამ თვალსაზრისით, არც საქართველოა გამონაკლისი. როგორც წესი, ბიზნესის კვლევის შედეგები კომპანიებს ეხმარება განსაზღვრონ, რომელი პროდუქტი ან მომსახურებაა მათთვის ყველაზე მომგებიანი. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კომერციული დანიშნულების გამოკითხვის ჩატარებაზე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურს დავადგინოთ, თუ რა მიმართულებით შეიძლება დაიხარჯოს ორგანიზაციის ფულადი სახსრები მოგების, აქტივების ან ბაზრის წილის გასაზრდელად. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, ორგანიზაციებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

პლაგიატი არის ინტელექტუალური ქურდობის სახეობა და მას შეუძლია მრავალი ფორმით გამოვლინდეს, მათ შორის წყაროს მიზანმიმართული თუ უნებლიე კოპირებით, ავტორის

შრომის აღიარების გარეშე. შესაბამისად, როდესაც ხდება სხვა ადამიანის ინტელექტუალური შრომის ან იდეების გამოყენება საკუთარ ნაშრომში, აუცილებელია პირველწყაროს სათანადო წესით მითითება. ამ თვალსაზრისით, უმაღლესი განათლების სისტემაში, ეფექტიანი ანტიპლაგიატის პოლიტიკის გატარება, დადებით გავლენას იქონიებს, როგორც კვლევების ხარისხზე, ასევე, მეცნიერთა აკადემიურ რეპუტაციაზე.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, კეთილსინდისიერების მიმართ, ბიზნესის მიმართულების სტუდენტთა აღქმის, დამოკიდებულებისა და ცნობიერების შესწავლას საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** აკადემიური კეთილსინდისიერება, ბიზნესის კვლევა, ანტიპლაგიატის პოლიტიკა, საავტორო უფლება, რეცენზირება.

# რეგიონის აგრარულ სექტორში მოქმედი მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა

**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-51**

**ინა მაისურაძე**
სტუ დოქტორანტი
inachkainachka@yahoo.com

**რეზიუმე**

მიმოხილულია და არგუმენტებით გამყარებული რეგიონული ბიზნესის მართვის მეთოდები, კრიზისის მართვის პრობლემები, საერთაშორისო გამოცდილი პარტნიორებისგან მიღებული რეკომენდაციები და თანამედროვე გამოწვევები. ჩამოყალიბე-ბულია ზოგადად რეგიონის განვითარებაზე მოქმედი ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები. განსაზღვრულია შესაძლებლობე-ბისა და საფრთხეების სხვადასხვა კრიტიკული შეფასება.

ჩვენს ქვეყანაში რეგიონული ბიზნესი არაერთხელ აღმოჩე-ნილა მეტად რთულ მდგომარეობაში. ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც თითქმის მთლიანი ეკონომიკური სეგმენტი მოი-ცვა, საგანგებო კვლევის საკითხად იქცა. ასეთი პრობლემის გამოკვლევის შედეგად უნდა შემუშავდეს არგუმენტებით და-საბუთებული განვითერბის სტრატეგია. საჭიროა ღონისძიე-ბათა სისტემა, რომელიც დღევანდელი საქართველოს ბიზნე-სის სექტორის დახმარებას და მათზე მორგებულ პირობებს გულისხმობს. ეს უკანასკნელი, თავისთავად, ქვეყნის ხელახალ წინსვლას გამოიწვევს. ზოგადად, ქვეყნისათვის კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზად აღიარებულია რეგიონების, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი რგოლის, გაძლიე-რება.ნაშრომში სწორედ ამ პრობლემებზეა საუბარი. კერძოდ, თუ რა გავლენას ახდენს იგი ეკონომიკაზე და დემოგრაფიაზე, ასახულია მისი გადაჭრის გზები. ამ ყველაფრიდან გამომდი-ნარე, ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგიონის, როგორც დამოუ-კიდებელი ერთეულის, როლის გაძლიერებას. ეს აქტივობები მე-ტად მნიშვნელოვანია. ხდება რეგიონის ბიზნესის რესურსების

უზრუნველყოფა და მათი მართვის ოპტიმალური ინსტრუმენტის შექმნა, რაც შემდგომ ხელს შეუწყობს მართვის ხარისხის ეფექტიანობას და გაუმჯობესებას, რეგიონული ბიზნესის და ინფორმაციული განვითარების უზრუნველყოფას მაღალი დონის პირობებში. ასევე მნიშვნელოვანია ბუნებრივი ნედლეულის ბაზები და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მათ შორის ურთიერთობების ოპტიმიზაცია. არსებული მეთოდების, გამოცდილების დახვეწის, განვითარების და მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება, ხელს შეუწყობს ახალი კანონმდებლური ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, განვითარებას და ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ძირფესვიან გარდაქმნას.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი, რეგიონი, სოფლის მეურნეობა, სახელმწიფო ხელშეწყობა.

## შესავალი

დღეს მცირე ბიზნესის განვითარების თემა მეტად აქტუალურია, მთავრობაში ბევრს საუბრობენ ამ სექტორის ხელშეწყობაზე და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტადაც კი აქვთ დასახული. მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივმა ფონდმა საკმაოდ სოლიდური თანხები დახარჯა მცირე ბიზნესის განვითარებაზე იმისათვის, რომ მოსახლეობას მეტი სტიმული და მოტივაცია ჰქონოდა ახალი იდეებისთვისა და ინიციატივებისთვის. ხელისუფლება მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი გათავისუფლდებოდნენ გადასახადებისგან. წამახალისებელი შეღავათიანი პირობები საქართველოში 2011 წლიდან მოქმედებს. ხელისუფლებამ საგადასახადო კოდექსში გამოყო მიკრო და საშუალო ბიზნესის დეფინიცია. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება ცდილობს სხვადასხვა არხებით დაეხმაროს მცირე ბიზნესის განვითარებას, ამ სექტორის წილი სამეწარმეო ბაზარზე დღითიდღე მცირდება.

**დისკუსია.** დღეს, როდესაც ქვეყანაში გვაქვს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, ქვეყნის ეკონომიკას სასიცოცხლოდ

საჭიროდება სხვადასხვა მცირე სამეწარმეო ობიექტები, მცირე ბიზნესები და მათი განვითარება. ამ დროს მოსახლეობას საშუალება ეძლევა, რომ დასაქმდეს, განახორციელოს იდეები, გაიჩინოს დამატებითი შემოსავალი და ნაკლებად იყოს დამოკიდებული სახელმწიფოს დახმარებებზე. როდესაც მოსახლეობის ნაწილი საქმდება და შემოსავლები ეზრდება, სახელმწიფო ნაკლებ ფულს დახარჯავს ამ სეგმენტის სუბსიდირებაში და თანხებს სხვა ალტერნატიულ საშუალებებში იყენებს, რაც ქვეყანას განვითარებაში ეხმარება.

როდესაც ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური საქმიანობის 80%-ზე მეტი მსხვილ ბიზნესს უჭირავს, ეს იმის ნიშნია, რომ მცირე ბიზნესი არ არის განვითარებული.

ჩვენი აზრით, ამ სეგმენტის წახალისებისთვის საჭიროა მეტად მკვეთრი და რადიკალური ნაბიჯების გადადგმა. კარგი იქნება თუ სახელმწიფო ცვლილებეს შეიტანს საგადასახადო სისტემაში, ხოლო ბანკები კი გაზრდიან მცირე ბიზნესისთვის ფინანსურ სახსრებზე წვდომას. იმის მაგივრად, რომ მსესხებელისთვის, რომელთაც სურვილი აქვთ, განავითარონ საკუთარი მცირე წარმოება, პროცენტები იყოს დაბალი, პირიქით, ისინი უფრო მაღლია, ვიდრე მსხვილი ბიზნესებისთვის. აქედან გამომდინარე, მსესხებელს უწევს უფრო დიდი თანხის გადახდა, რომლის გამოც არ უღირს შესაბამისი საქმიანობის წამოწყება.

უამრავი ეკონომისტი აკრიტიკებს სახელმწიფოს არასწორი ნაბიჯების გადადგმის და მოზიდული სახსრების არამიზნობრივად გახარჯვის გამო. კრიტიკის ერთერთი ობიექტი გახდა იაფი დაკრედიტების პროგრამა, რომელმაც პროფესიონალების შეფასებით, ვერ გაამართლა. მათი თქმით, სწორი არ არის როდესაც სახელმწიფო „თანამონაწილეობის" დახმარებებს გასცემს, ასევე აღნიშნავენ, რომ მცირე ბიზნესისთვის საჭირო არ არის დამატებითი სუბსიდირება, რადგან მცირე ბიზნესს დიდ ფინანსებზე მეტად შესაბამისი გარემო განავითარებს, სადაც მცირე საწარმოებს ექნებათ თავისუფალ ბაზარზე გასვლის საშუალება და მიეცემათ მეტი არეალი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისთვის.

სეგმენტები, რომლებშიც მოქმედებს მცირე ბიზნესი, არის სოფლის მეურნეობა, ხოლო მცირე ბიზნესმენებს შესაბამისად რეგიონებში დასახლებული ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს. მათ აქვთ მცირე ბიზნესის წარმოების უფრო ფართო და მიზნობრივი არეალი, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამუშავება, მცირე მრეწველობა, მეთევზეობა და თევზის წარმოება, ნედლეულის დამზადება, საოჯახო ტურიზმი და ა. შ. ეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკმაოდ მომგებიანია და მეტად ამყარებს მათ შემოსავლებს, ასევე ეხმარება ქვეყნის ეკონომიკას, სხვადასხვა მონათესავე სექტორების განვითარებაში, მაგალითად: საკურორტო ზონები, სხვადასხვა კულტურული ძეგლები, თუ ღირსშესანიშნაობები მთელი ქვეყნის მასშტაბით და სხვა. ყოველივე ამის რეაბილიტაცია, პირვანდელი სახის აღდგენა და ქვეყნისთვის ღირებული ადგილების შენარჩუნება, სხვადასხვა რეგიონებში გაზრდს ტურისტულ ნაკადებს, ქვეყანაში შემოსული უცოხური ვალუტის ნაკადს, რაც დაგვეხმარება ეროვნული ვალუტის გამყარებაში. ამას გარდა, ძალზე მნიშვნელოვანია იმ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა, რომლებიც საქართველოს ისტორიის წარუშლელი ნაწილს შეადგენს.

ბიზნესის ხელშეწყობა შეიძლება რამოდენიმე ფაქტორისგან შედგებოდეს. მეწარმესთვის პირველ რიგში, საჭიროა ადმინისტრაციული და ტექნიკური საკითხების მოგვარება, თუმცა საქართველოში ამ მხრივ პროცესი გამარტივებულია, რადგან ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ დროს შეუძლია დააარსოს ნებისმიერი იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა და განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა.

დაარსების შემდეგ იწყება მეწარმისთვის მთელი რიგი პრობლემები, რადგან კრედიტების ხელმისაწვდომობა არ არის დაბალი დიდი საპროცენტო განაკვეთების გამო, ხოლო საკუთარი სახსრებით და წარმოებისგან მიღებული შემოსავლით რთულია კრედიტის დაფარვა.

თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ მხარი დაუჭიროს

მცირე ბიზნესის განვითარებას, მას დასჭირდება შეიმუშაოს ერთობლივი მოდელი, რომლის მიხედვითაც მეწარმეებს გაუმარტივდებათ კრედიტებზე წვდომა. არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით შეძალოა გაიხსნას 250,000-მდე მცირე სამეწარმეო ობიექტი 4-5 წელიწადში, რაც შეადგენს ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის 20-25%-ს.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ რომ მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობა უფრო გამართლებულია, რადგან მსხვილი ბიზნესი უფრო მდგრადი და ქვეყნისთვის დიდი ეკონომიკურ შემოსავლების მომტანია. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება მცდარია, რადგან მსხვილი ბიზნესების რესურზები არის შეზღუდული, და ისინი ვერ შეძლებენ მაღალი დასაქმების მაჩვენებლის მიღებას. შედეგად, გაჩნდება მეტი უმუშევარი ადამიანი და ეს გააუარესებს ეკონომიკურ მდგომარეობას. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის შემთხვევაში კი, ადამიანები პროდუქციას იძენენ სხვა მცირე მეწარმისგან, ხარჯავენ ფინანსებს მცირე ბიზნესის წარმოებულ პროდუქტსა თუ მომსახურებაში და ამით მეტი მოსახლეობაში ფულის მასის ბრუნვა უფრო დაჩქარებულად ხდება. შესაბამისად იზრდება დასაქმების მაჩვენებელი, ბრუნვის რაოდენობა, და ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას მნიშვნელოვნად დაეხმარება.

საქართველოში დასაქმებული მოსახლების პროცენტულობა ასე ნაწილდება:

- 65% დასაქმებულია მსხვილ ბიზნესში;
- საშუალო ბიზნესშია დასაქმებულთა 15%;
- მცირე ბიზნესში- 17%;
- 3% კი არაოფიციალური შემოსავლებია.

მცირე ბიზნესში დასაქმებულმა ადამიანება შეიძლება რამდენიმე როლი შეითავსონ, მაგალითად, ბიზნესის მფლობელები ამავე ბიზნესის მენეჯერებიც არიან და მარკეტოლოგებიც, მაშინ როდესაც მსხვილ კომპანიებს ამ თანამდებობებზე ცალკე კადრები ჰყავს. ამიტომ თითოეულ მვირე საწარმოში დასაქმებული ადამიანების რიცხოვნობა მკვეთრად ჩამოუვა-

რდება მხვილ ბიზნესში მოღვაწე ადამიანების რაოდენობას. იმისათვის, რომ მცირე და მსხვილ ბიზნესებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა თანაბარი იყოს, საჭიროა მეტი მცირე საწარმოს გახსნა. დღეს მცირე ბიზნესი მალე კოტრდება, რადგან ბაზარზე ვერ უწევს სხვა კომპანიებს კონკურენციას, არასათანადო ფინანსური სახსრებისა თუ კვალიფიციური ადამიანური რესურსის არქონის გამო. გარდა ამისა, მცირე ბიზნესს უჭირს ბაზარზე ოპერირება, როდესაც მსხვილი ბიზნესი თუ კორპორაციები თითქმის მონოპოლებად არიან ჩამოყალიბებულნი, ანუ ბაზარზე ასპარეზობისთვის მცირე ბიზნესს არ აქვს ჯანსაღი კონკურენტული გარემო.

რაც შეეხება ანაზღაურებას, საქართველოში საშუალო თვიური შემოსავალი 1200 ლარია. საწარმოების სიდიდის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი ასეთია: მსხვილი ბიზნესი - 832; საშუალო ბიზნესი - 510; მცირე ბიზნესი - 505. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ფაქტად რჩება, რომ დღეს მცირე ბიზნესს კვლავ უჭირს და სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის შემუშავება სჭირდება ამ სფეროს წახალისებისა და სტიმულირებისთვის.

ყველა ზემოთ ხსენებულ პრობლემებს არ ექნებოდათ მნიშვნელობა, რომ არა მცირე ბიზნესის გადამწყვეტი როლი და გავლენა, სხვადასხვა უამრავ მნიშვნელოვან საკითხზე. მაგალითისთვის განვიხილოთ რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის მოდელი ჩვენი ქვეყნის მაგალითზე. როდესაც მოსახლეობას აქვს სურვილი, მაგრამ არ აქვს სათანადო ხელშეწყობა მცირე ბიზნესის განხორციელებისთვის, ის იძულებულია იფიქროს ალტერნატივებზე. დღეს სოფლის მეურნეობის სექტორს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო განვითარებისთვის, ამიტომ სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს დასაქმებას და იძულებულები არიან მიატოვონ სახლები გადმოვიდნენ ქალაქებში საცხოვრებლად და ეძებონ ახალი სამუშო ადგილები. მსგავსი მაგალითები იყო საქართველოს უამრავ სოფელში, როდესაც არ არის შესამაბისი არა თუ საქმის წარმოების არამედ, საარსებო პირობებიც კი. უამრავმა ოჯახმა მიატოვა თვიანთი საცხოვრებლები, ასე ნელ ნელა ცარიელდება ერთ დროს სიცოცხლით

სავსე სოფლები და მიტოვებულ ადგილებად იქცევა.

დღეს ერთადერთი ყველაზე აქტუალური სფერო, რაც რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობას ინარჩუნებს, არის ტურიზმი. საქართველო მდიდარია სხვადასხვა პერიოდის კულტურული ძეგლებით და ისტორიამ საქართველოს უამრავი ღირსშესანიშნაობა შემოუნახა, რომლის ნახვის მსურველიც საკმაოდ ბევრია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ასე რომ, ეს ერთერთი ბერკეტია, რომელიც უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ, რათა ხელი შეუწყოს ტურისტული ზონების კიდევ უფრო მეტ განვითარებას და ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარ მიწებზე საქმიანობის განხორციელების მეტი სტიმული გაუჩნდეს.

ბოლო ათწლეულში უამრავი რეფორმა განხორციელდა, ტურისტული ზონების ხელშეწყობის მხრივ და სტატისტიკამაც ნათლად გვაჩვენა ტურისტული ნაკადების მკვეთრი ზრდა. 2020 წელს მომხდარმა პანდემიამ კი მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ქყვეყანას როგორც ეკონომიკური, ისე ტურისტული და დასაქმების კუთხით. შეჩერდა უამრავი წარმოება, ჩაიკეტა საზღვრები და მოქალაქეები ველარ ახერხებენ ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილებას. უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი. ეს წელი განსაკუთრებულად რთული იყო ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, რადგან არც თუ ისე სახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობას დაემატა პანდემიისგან გამოწვეული ზარალი და საბოლოო ჯამში ქვეყანამ დიდი დანაკარგი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მოვიზიდეთ უამრავი დაფინანსება და ხელისუფლება ფულს ხარჯავს გაჭირვებულთა სხვადასხვა ფენის საარსებო მინიმუმის სუბსიდირებაში, ჯერ ჯერობით მაინც ვერ ვახერხებთ პროგრესის გზით სხვლას. ამასთან ერთად, ქვეყანას გაეზარდა საგარეო ვალი, რომელიც მომავალში დასაბრუნებელია და სახელმწიფოს სჭირდება განსაკუთრებულად სპეციფიური პოლიტიკა, რომ ქვეყნის ეკონომიკამ ქვედა ნიშნულიდან ნელ ნელა პროგრესი განიცადოს.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებები ბოლო 4-5 წელიწადის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გულისხმობს სხვადასხვა „სტარტაპ“ იდეების დაფინანსებას.

ბოლო წლების განმავლობაში, წელიწადში რამდენჯერმე აქტიურად ტარდება სხვადასხვა ფორუმები, სადაც ახალგაზრდები თავიანთ იდეებსა და ბიზნეს გეგმებს წარადგენენ. კომპეტენტური ჯგუფი ავლენს რამოდენიმე საუკეთესო „სტარტაპ" იდეას და აპლიკანტები, თავის მხრივ, ღებულობენ დაფინანსებას თავიანთი იდეების განსახორციელებლად.

რეგიონული ბიზნესის მართვაზე დამანგრეველ გავლენას ახდენს დეპრესიული, ჩამორჩენილ მდგომარეობაში მყოფი რეგიონების და სხვა ტერიტორიული ერთეულების არსებობა. პრობლემათა დაძლევისათვის, უპირველესად, საჭიროა ასეთი რეგიონების გამოვლენა. შემდგომ, სახელმწიფოებრივი რეგულირების ისეთი კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმების შემუშავება, რომლებიც შეამსუბუქებენ, ან სულაც აღმოფხვრიან ამ ფაქტორის ნეგატიურ გავლენას ქვეყნის განვითარებაზე. ჩამორჩენილი რაიონების და სხვა ტერიტორიული ერთეულების სიმრავლე და მათი განვითარებისათვის ხელშემწყობი მექანიზმების არარსებობა, გამოუსწორებელი შედეგებით შეიძლება დასრულდეს. ამის გამო, ჩამორჩენის პირობათა დაძლევა მუდმივი ზრუნვის და გადაუდებელი ჩარევის ობიექტი უნდა იყოს.

ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულში, ერთიანი, მძლავრი საქართველოს არსებობის მაგალითი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ მისი რეგიონების მაღალგანვითარებულობა. როგორც ცნობილია, თითოეულ მხარეს, თავის მხრივ, უდიდესი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის მთლიანობის უზრუნველყოფასა და სიძლიერეში. სწორედ მას შემდეგ, რაც შესუსტდა რეგიონების მიმართ მზრუნველობა და ყურადღება, ფეოდალური ხანის შემდგომ პერიოდში, საქართველო როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად, დაკნინებისაკენ წავიდა. რეგიონების ეკონომიკურ-კულტურულ დეგრადაციას მოჰყვა მთელი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დეგრადაცია, მოსახლეობის მკვეთრი შემცირება და ტერიტორიების დაკარგვა. რეგიონების მიმართ არასწორი პოლიტიკის გატარებამ, მათ განვითარებაში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვიეს მოსახლეო-

ბის ქვეყნის ცენტრში ცხოვრებისაკენ სწრაფვა, ამ რეგიონების ქართველი მოსახლეობისაგან მთლიანი დაცლა ან იქ უცხოტომელთა ჩანაცვლება და ბოლოს ტერიტორიების დაკარგვა.

**ცხრილი 1. საქართველოს რეგიონული განვითარების პერსპექტივა (წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021)**

**ეკონომიკა / ბიზნესი**

1. საწარმოთა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მხარდაჭერა. ადგილობრივი მეწარმეობისა და ადგილობრივი სამიმწოდებლო ბაზის განვითარების დონე წარმოადგენს კერძო ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას. ამდენად, მიზანშეწონილია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დაბალი ეკონომიკური აქტივობის დონით გამორჩეულ რეგიონებზე.

2. ინოვაციური კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და ინოვაციურ პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, ბიზნესთან ერთად, არსებული სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტების ჩართულობის გაზრდა (ამჟამად ეს საჭიროება მხოლოდ თბილისსა და რამდენიმე სხვა ქალაქში იკვეთება).

3. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ზრდის მიზნით, საქართველომ უნდა გაზარდოს მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქციის ექსპორტის მოცულობა. რეგიონების დიდი ნაწილის პოტენციალი არ არის სათანადოდ გამოყენებული. შესაბამისად, რეგიონულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ტერიტორიული ნიშნით გამოკვეთილ და შედარებით უპირატესობებზე დაყრდნობილ ექსპორტის ბაზის განვითარებას. მათ შორის, ეს მოითხოვს „გონივრული სპეციალიზაციის“ (smart specialisation) უახლესი მიდგომების გამოყენებას, შესაბამისი სექტორებისა და პროდუქციის განსაზღვრისთვის.

4. ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს ორი სექტორი, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა, სადაც უკვე შემუშავებულია ბრენდული ტიპის პროდუქცია. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ამ სექტორებში ბაზრის განვითარებისა და შემოსავლების ზრდის პოტენციალი.

5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და რეგიონების ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის, რისთვისაც საჭიროა გეოგრაფიულად უფრო დაბალანსებული ინვესტიციების განხორციელება. აღნიშნული მოითხოვს თბილისს გარეთ სტიმულირების ახალი ფაქტორების (სავაჭრო და საინვესტიციო ზონების) შექმნას.

მარტო ის ფაქტი, რომ XI საუკუნეში 12-მილიონიანი მასახლეობა 111 ათასი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიით XX საუკუნის ბოლოსათვის 5 მილიონამდე შემცირდა და მხოლოდ 44 ათასი კვადრატული კილომეტრილა შემორჩა, ნათლად მიგვანიშნებს ქვეყნის ცალკეული ტერიტორიების განვითარებაში არსებულ პრობლემებზე, მათი განვითარებისათვის არახელსაყრელ ეკონომიკურ გარემოზე.

რეგიონების ჩამორჩენილობა, მათი არათანაბარი განვითარება განსაკუთრებით გამოიკვეთა დღეს, როდესაც ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად დაადგა საბაზრო ურთიერთობების ფორმირების გზას. თუმცა ეს გზა ავტომატურად ვერ გადაწყვეტდა, ვერ გამოასწორებდა რეგიონების განვითარებაში არსებულ დისპროპორციებს. რეგიონებში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოვლენები პირიქით განვითარდა, საბაზრო მექანიზმებმა პრაქტიკულად ვერ უზრუნველყვეს მოკლე პერიოდში პოზიტიური შედეგების მიღება და სოაცილურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა.

რეგიონული უთანაბრობის კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ანალიზმა, SWOT ანალიზმა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს აქვთ მსგავსი საჭიროებები და გამოწვევები, ბიზნესის ხელშეწყობის სქემები და აუცილებელი საჯარო სერვისები. ამავდროულად, თითოეული რეგიონი და მისი განვითარების დაგეგმვა ხასიათდება მრავალი უნიკალური ნიშან-თვისებით, რომელიც სპეციფიკურია მოცემული ტერიტორიის ან რეგიონების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობითსთვის.

ცხრილში (1) მოცემულია ის კონკრეტული ბარიერები, რომლებიც დაძლეულ უნდა იქნეს თითოეული რეგიონის დონეზე, აგრეთვე, ის შესაძლებლობები და პოტენციალი, რომელთა გამოყენება აუცილებელია მათი შემდგომი განვითარებისათვის. აგრეთვე ანალიზი იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს რამდენიმე რეგიონი, სადაც ევროკავშირის მხარდაჭერით, ამ ეტაპზე,

ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამების განხორციელება. ეს რეგიონებია: სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი.

## დასკვნა

რა დასკვნები შეგვიძლია გამოვიტანოთ საქართველოში ბიზნესის განვითარების კუთხით ჩამორჩენილი რეგიონების გაჯანსაღებისთვის? დასკვნები შეიძლება იყოს შემდეგი: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი კრიზისული სიტუაციებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დეპრესიული რეგიონების გაჯანსაღებისთვის განხილული ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმები უფრო კარგ შედეგებს მოგვიტანს, თუ მათ გამოყენებას კომპლექსური ხასიათი ექნება. ცალკე აღებული რომელიმე ერთი მათგანის გამოყენებამ შეიძლება უარყოფით შედეგებამდეც კი მოიტანოს, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დადებითი მომენტების შემცველი მექანიზმი. მათი კომპლექსური გამოყენება საშუალებას იძლევა შეერთდეს ყოველი ცალკეული მექანიზმის დადებითი მხარეები და საერთო ჯამში მიღებულ იქნას სასურველი პოზიტიური შედეგები. ბიზნესის განვითარების დონით საქართველოს ჩამორჩენილობის საერთო ფონზე, როდესაც ყოველი ცალკეული რეგიონი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დეპრესიული, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად გვესახება რეგიონული ინტერესების ოპტიმალური შეხამება საერთო-ეროვნული ინტერესებთან. ვთვლით რა რეგიონული ბიზნესის მართვისათვის დახმარების სისტემას აუცილებლად, უნდა გამოვიდეთ საერთო-ეკონომიკური ზრდის სტაბილიზაციისა და დაჩქარების პრიორიტეტულობიდან. სხვანაირად საფუძველს გამოვაცლით ბიზნესის განვითარებას, რეგიონების ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებას და ხელს შევუშლით მათი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას.

როგორც აღვნიშნეთ, დეპრესიული რეგიონების გაჯანსაღება უკეთეს შედეგებს იძლევა, როდესაც რეკომენდებული

ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმები კომპლექსურად არის გამოყენებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ მათ ცალ-ცალკე გამოყენებაზე. კონკრეტული პირობებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შეიძლება მათი ცალ-ცალკე გამოყენება და კონკრეტულ ბიზნესზე მორგებაც. სასარგებლოა აგრეთვე დეპრესიული რეგიონებისათვის საერთო ტრანსფერის ცალკე ფონდის ფორმირება.

მიზნობრივი (სპეციალური) რეკომენდაციების გამოყენების პრაქტიკა საჭიროებს შესაბამისი რეფორმების გატარებას. უნდა შეიქმნას სხვადასხვა მიმართულების ხარისხობრივად ახალი სისტემა, რომელსაც ექნება მყარი ბიზნეს სამართლებრივი ბაზა და კონტროლის ეფექტური მექანიზმები. შეიძლება კარგი შედეგი მოგვცეს დეპრესიული რეგიონების მხარდაჭერის ისეთმა მეთოდმა, როგორიცაა სპეციალური ინვესტიციური ტრანსფერების ფონდი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ცენტრალური ბიუჯეტისა და მძლავრი რეგიონების ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს საქართველოში განსაკუთრებული ბიუჯეტური რეჟიმების მეთოდმაც. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იგი ისეთ რეგიონებში, სადაც მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-ეთნიკური პრობლემები და მეურნეობრიობის არახელსაყრელი პირობებია. თუმცა, ამ მეთოდის რეკომენდირებისას უნდა გავითვალისწინოთ ის ერთგვარი საშიშროება, რომელიც გამოიხატება რეგიონული ბიზნესების გარკვეული რაოდენობით შემცირებაში და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მხრიდან რეგიონების ფუნქციათა შევიწროებაში, ანუ ცენტრიდან რეგიონების მიმართ მარეგულირებელი ეკონომიკური ფუნქციების გატარებაში.

საჭიროა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების დეტალური შესწავლა, მათი შეწონასწორება და საბოლოო გადაწყვეტილებების ისე მიღება.

## ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. კოლუაშვილი 2014: კოლუაშვილი პ., რამიშვილი ბ., რამდენი ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს და საქმიანობდეს სოფლად? ბიზნესი და კანონმდებლობა. აგვისტო- სექტემბერი, 2014. №4. - საბოლოო გადამოწმების თარიღი - 13.02.2021

2. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა. რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2009. საბოლოო გადამოწმების თარიღი - 12.02.2021ბიზნესი და კანონმდებლობა 2009 №3 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=periodika&cl=CL1.12&d=HASH01a1bb460dc9d746bbf59c71.12.1

3. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი 2008: მუნიციპალური ლექსიკონი, ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, თბილისი, 2008 - საბოლოო გადამოწმების თარიღი - 12.02.2021

4. მელუა 2013: მელუა დ. დეცენტრალიზაციის, რეგიონული განვითარების, სივრცითი მოწყობის ასპექტები და პოლიტიკის ორიენტირები საქართველოსთვის. თბილისი, 2013 - საბოლოო გადამოწმების თარიღი - 11.02.2021

5. მიხანაშვილი 2013: მიხანაშვილი ნ., რეგიონალიზმი და თვითმმართველობა. ბიზნესი და კანონმდებლობა. მაისი 2013. №2 - საბოლოო გადამოწმების თარიღი - 13.02.2021

6. ბურდული ვ., სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეზე, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2006 - საბოლოო გადამოწმების თარიღი - 11.02.2021

7. ერქომაიშვილი გ. 2013: საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2013;

8. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/2018-2021_clebis_sakartvelos_regionuli_ganvitarebis_programa_0.pdf

**REFERENCES:**

1. Koghuashvili P., Ramishvili B., How many people can live and work in rural areas? Business and legislation. August-September, 2014. No. 4. - Final verification date - 13.02.2021

2. Baratashvili E., Zarandia J., Abralava A. Regionalism: theory and practice, Vol. 2009. Date of final verification - 12.02.2021 Business and Legislation 2009 No. 3 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about ---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=periodika&cl=CL1.12&d=HASH01a1bb460dc9d746bbf59c71.12.1

3. Effective Governance System and Territorial Organization Reform Center 2008: Municipal Dictionary, Effective Governance System and Territorial Organization Reform Center, Tbilisi, 2008 - date of final verification - 12.02.2021

4. Melua 2013: Melua d. Aspects of decentralization, regional development, spatial arrangement and policy orientations for Georgia. Tbilisi, 2013 - date of final verification - 11.02.2021

5. Mikhanashvili N., Regionalism and self-government. Business and legislation. May 2013. No. 2 - date of final verification - 13.02.2021

6. Burduli V., Coordination of social and economic development at the regional and local level, "Meridian" publishing house, Tbilisi, 2006 - date of final verification - 11.02.2021

7. Erkomaishvili G. 2013: Economic development priorities of Georgia. "Universal" publishing house, Tbilisi, 2013;

8. Regional Development Program of Georgia 2018-2021 http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/2018-2021_clebis_sakartvelos_regionuli_ganvitarebis_programa_0.pdf

# STATE SUPPORT OF SMALL BUSINESSES OPERATING IN THE AGRICULTURAL SECTOR IN REGIONS

**Ina Maisuradze**
PhD student of the GTU
inachkainachka@yahoo.com

## RESUME

Regional business management methods, crisis management problems, recommendations received from internationally experienced partners, experience, and modern challenges are reviewed and supported by arguments in the article. The topic outlines the main strengths and weaknesses affecting the development of the region in general. Various critical assessments of opportunities and threats are identified.

The article notes that regional business in our country has repeatedly found itself in a very difficult situation. The economic crisis, which has covered almost the entire economic segment, has become the subject of extraordinary research. As a result of the investigation of such a problem, a problem and strategy based on arguments should be developed. There is a need for a system of measures, which involves the support of today's Georgian business sector and the conditions adapted to them. The latter, by itself, will lead to the re-advance of the country. In general, one of the ways for the country to get out of the crisis is to strengthen the region as one of the main links of the economy.

The paper talks about these problems. In particular, how it affects the economy, demography, and ways of solving problems. Based on all this, we should pay attention to strengthening the main, independent role of the region. These activities are very important. The business resources of the region are provided and the optimal tool for their management is created. This will further contribute to the efficiency and improvement of the quality of management, in conditions of a high level of promotion of regional business and provision

of informational development. Natural raw material bases and the socioeconomic development of society are also important, as well as the optimization of relations between them. The development of existing methods, improvement of experience, development, and management information system will support and develop the development of new legal economic relations in the society, formation, and structural and fundamental transformation of the national economy.

**Keywords**: small business, region, agriculture, state support.

# საბაჟო ლოჯისტიკის კონცეფცია

**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-67**

**მაია ჩეჩელაშვილი**
სტუ ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ბექაური**
სტუ დოქტორანტი
mr.beqauri@gmail.com

## რეზიუმე

თანამედროვე ბიზნეს პროცესები ფართოდ უკავშირდება სერვისების და საქონლის გადაადგილებას ქვეყნებს შორის. საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი თანამედროვე ბიზნეს საქმიანობაში მოიცავს არამხოლოდ საქონლის გადაზიდვის დაგეგმვას, არამედ დიდი ყურადღება ეთმობა ტვირთის განბაჟების პროცედურებს. საბაჟო ორგანოების როლის ზრდა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა Covid-19 პანდემით გამოწვეული საერთაშორისო სატრანსპორტო კოლაფსის დაძლების დროს. რომ არა დროული და სწორი მოქმედება კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი იქნებოდა იმაზე ბევრად დიდი, ვიდრე დღეს სახეზე გვაქვს.

საერთაშორისო ტვირთბრუნვის ზრდამ და სხვადასხვა კრიზისულმა ფაქტორებმა დააჩქარა ლოგისტიკის ახალი მიმართულებების ჩამოყალიბება. მათგან მნიშვნელოვანია საბაჟო ლოჯისტიკა.

საბაჟო ლოჯისტიკა მოიცავს მოქმედებების სპეციფიკურ ჯგუფს. საბაჟო ორგანოები აკონტროლებენ ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ადამიანების გადაადგილებას. იყენებენ რა სატარიფო და არასატარიფო კონტროლის მექანიზმებს განსაზღვრავენ ქვეყანაში დაშვების უფლების მქონე საქონელს და გადასახადების მოცულობას. ასევე საქონლის განბაჟების პროცედურები ხორციელდა საბაჟო კონტროლის ზონებში.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო გადაზიდვა, მიწოდების ჯაჭვი, საბაჟო ლოჯისტიკა, განბაჟების პროცედურები.

## ძირითადი ტექსტი

ბიზნეს საქმიანობის განვითარებასთან ერთად ლოჯისტიკის სხვადასხვა ელემენტების მიმართ ყურადღება სულ უფრო იზრდება, რადგან თანამედროვე ბიზნეს საქმიანობაში მისი როლი დიდია. ბოლო დეკადების განმავლობაში ბიზნესმენებმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა გააანალიზეს, რომ სწორად დაგეგმილი ლოჯისტიკა უზრუნველყოფს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

ბიზნეს ლოჯისტიკის ჩამოყალიბება ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგია. შეიძლება ითქვას რომ, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია ბოლო ორი საუკუნის ფენომენია. მწარმოებლურობის უწყვეტი ზრდის და ეკონომიკური ინტეგრირების პარარელურად, ეკონომიკის სექტორები ზრდიან საკვების, ნედლეულის, ვალუტის და დანაზოგების სიდიდეს, და ზრდიან მანუფაქტურინგის (და სერვისების) ბაზარს. სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის წარმოებაში და დასაქმებაში მცირდება.[1] ასევე კაპიტალი იზრდება და გადაადგილდება კაპიტალ-ინტენსიურ სექტორში.[2] სოფლის მეურნეობის როლი წამყვანი ეკონომიკის სექტორის მაგივრად ხდება ცხოვრების სტანდარტების კონვერგენცია. კონვერგენცია ზრდის ფერმერთა პროდუქტიულობას (ე.ი. დამატებულ ღირებულებას), და ახდენს დიფერენცირებას, როგორც პროდუქციისას, ისე საქმიანობისას, რომელიც უკავშირდება მანუფაქტურინგს და სერვისების სექტორს. [3]

სოფლის მეურნეობის ზრდა ხელს უწყობს ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. როგორც კი ეკონომიკური განვითარება

**1 Francisco J. Buera, Joseph P. Kaboski, Can traditional theories of structural change fit the data? Journal of the European Economic Associesion, volume 7, April-May 2009, Pages 469-477**

**2 Acemoglu, D. and Guerrieri, V. (2008) Capital Deepening and Nonbalanced Economic Growth. Journal of Political Economy, 116, 467-498. Available at: https://doi.org/10.1086/589523**

**3 The World Bank Annual Report 2008: Year in review**

მიმდინარეობს, სოფლის მეურნეობის წილი წარმოებაში და დასაქმებაში მცირდება. ეკონომიკური განვითარების ეს გზა შემუშავებული იყო სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდით გამოწვეული ინდუსტრიალიზაციის პროცესის დასაჩქარებლად. წარმოების დონის ზრდის კვალდაკვალ სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდა წარმოებული პროდუქციის წარმოების ადგილიდან მომხმარებლამდე მიტანის საკითხს. ზემოთ აღწერილი პროცესები პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, მე-19 საუკუნეში, დაიწყო. წარმოებული ინდუსტრიული პროდუქციის დისტრიბუციისათვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიმუშავა და განავითარა საქონლის მომხმარებლამდე მიწოდების და განაწილების სისტემები. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ, რომ ლოჯისტიკის მენეჯმენტის სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბება 1964 წელს მოხდა. [1]

ტრენდული სამეცნიერო ლიტერატურა განიხილავს ბიზნეს ლოჯისტიკას, მენეჯმენტის ლოჯისტიკას, მარკეტინგის ლოჯისტიკას და ასევე ინდივიდუალური, სპეციფიკური არეალების მართვის ლოჯისტიკას. თანამედროვე ლოჯისტიკა ცდილობს ფეხი აუწყოს სხვადასხვა გამოწვევებს. ის მოიცავს არა მხოლოდ მოგების მაქსიმიზაციას და დანახარჯების მინიმიზაციას საქონლის გადაადგილების პროცესის მართვისას, არამედ ორიენტირებულია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა.[2] ამ გამოწვევებიდან გამომდინარე ლოჯისტიკას ობიექტების ფართო სპექტრი გააჩნია. მათი ერთი ნაწილი მოიცავს საქონლის ტრანსპორტირებას, მეორე - სასაწყობო მეურნეობებს, ხოლო მესამე საქონლის გაყიდვას. სხვადასხვა ოპერაციისათვის განსხვავებული ინსტრუმენტი გამოიყენება.[3] შესაძლებელია,

**1 JWD GROUP, THE ORIGIN AND HISTORY OF LOGISTICS WICH YOU MIGHT NOT HAVE HEAD OF. Available at: https://jwd-group.com/en/knowledge_bases/aboutlogistics/**

**2 Gargasas A. Logistikos reikšmė įmonės konkurencingumui [Importance of logistics for the competitiveness of an enterprise] // Ekonomika ir vadyba-2000: Conference material. Kaunas: Technologija, p. 131-133.**

**3 Dr. Alvydas JABLONSKIS, Dr. Mara PETERSONE, Dr. Karlis KETNERS, INSIGTH INTO THE DEFINICION OF CUSTOMS LOGISTICS, ResearchGate, Februaly 2019**

რომელიმე ოპერაციის განხორციელებისათვის რამოდენიმე ინსტრუმენტის ერთად გამოყენებაც კი გახდეს აუცილებელი. ქვეყნები ცდილობენ განავითარონ ის ლოგისტიკური ინსტრუმენტები, რომლებიც მათი ეკონომიკისათვის ყველაზე უფრო შედეგიანი იქნება.

საერთაშორისო ტვირთბრუნვის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საქონლის და მომსახურების გლობალურ ბაზარზე სწრაფი დისტრიბუცია. საერთაშორისო გადაზიდვების დროს ლოჯისტიკაზე ხარჯები ორი მიმართულებით გაედინება. ერთი ეს არის საქონლის შესყიდვის ხარჯები, რომლებიც მოიცავს არა მხოლოდ საქონლის ღირებულებას, არამედ მის ტრანსპორტირებასაც. რიგ შემთხვევებში დაზღვევის ხარჯებს. ფულადი ნაკადების მეორე ნაწილი მიემართება საბაჟო გაფორმების პროცედურებზე. რომელიც კონტროლდება სახელმწიფოს მიერ.

სწორედ ამიტომ საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი განიხილავს საქონლის განბაჟების პროცედურებს. შესაბამისად ბიზნეს ლიტერატურაში გამოჩნდა ახალი ტერმინი- საბაჟო ლოჯისტიკა. საბაჟო ლოჯისტიკა-ლოჯისტიკის უკანასკნელი ფენომენია, რომელიც მოიცავს ორ განსხვავებულ, თუმცა ურთიერთდამოკიდებულ საქმიანობის არეალს -ლოჯისტიკას და საბაჟოს.[1]

ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს დამოკიდებულება ბიზნესის მიმართ შეიცვალა. საბაჟო პროცედურების განმახორცილებელი სახელმწიფო სტრუქტურები უფრო ორიენტირებულები არიან დანერგონ ინსტრუმენტები, რომლებიც გაამარტივებს საქონლის გაფორმების პროცედურებს. მართვის სტილი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქონლის საერთაშორისო დონეზე სწრაფ და შეუფერხებელ გადაადგილებას.

ნაციონალური ლოჯისტიკური გეგმის შემუშავება სახელ-

---

**1 Valentina Kalinicheva, Sergey Dmitriev, Mikhail Drigo, Natalia Kazimirova, Alla Nikitina, Inna Igolnikova, Features Logistic Custom Warehouses in the Integration of the World Economy and the Globalization of Business, International Rewiev of Management and Marketing. pages 148-152, Available at www.econjournals.com**

მწიფოს მხრიდან ყველაზე სწორი ნაბიჯია. აღნიშნულმა დოკუმენტმა თავი ერთად უნდა მოუყაროს რეგიონალურ, ნაციონალურ, სახელმწიფო და კერძო ინიციატივებს. განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს სამ ძირითად მიმართულებას: ვაჭრობის ხელშეწყობას, ლოჯისტიკას და ინფრასტრუქტურას. დოკუმენტი უნდა დაიწეროს იმ მიზნით, რომ სამომავლოდ ხელი შეეწყოს გადაზიდვების ღირებულების შემცირებას, ახალი ბაზრების ათვისებას, ინოვაციების შემუშავებას და დანერგვას.

## დასკვნა

საერთაშორისო გადაზიდვების ზრდამ ქვეყნების მთავრობები აიძულა მეტი ყურადღება დაეთმოთ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. მნიშვნელოვნად განვითარდა საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს არამხოლოდ მაღალხარისხიანი საგზაო საფარის დაგებას, არამედ თავის თავში მოიაზრებს გზებზე მძღოლთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას. განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობდა გზებზე კრიმინალის დონის შემცირებისაკენ მიმართული პოლიტიკის წარმოება.

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ლოჯისტიკური კრიზისებიდან გამომდინარე სახელმწიფო ორგანოებმა მეტი ყურადღება დაუთმეს საქონლის ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილების გამარტივების მექანიზმების შემუშავებას და დანერგვას. სერვისების მრავალფეროვნებამ გამოიწვია ლოჯისტიკის სპეციფიკური მართვის სახეობის ჩამოყალიბება, მაგალითად როგორიცაა საბაჟო ლოჯისტიკა. ტვირთბრუნვის გაზრდილი მოცულობის კვალდაკვალ აუცილებელია სახელმწიფო საბაჟო ორგანოების პროდუქტიულობის გაზრდა. რისთვისაც მიზანშეწონილია, რომ გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან საქონლის მიერ საზღვრის კვეთის სწრაფ გადაადგილებას. ამ მიზნით აუცილებელია, რომ განხორციელდეს აღნიშნული ფაქტორების მუდმივი მონიტორინგი და ხელი შეეწყოს საქონლის საერთაშორისო დანიშნულების ადგილამდე უსაფრთხო ტრანსპორტირებას.

საქონლის გაფორმების პროცედურები არ სრულდება საბაჟო საზღვარზე. მათი ძირითადი ნაწილი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონებში. საბაჟო ლოჯისტიკის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საბაჟო საწყობების ინფრასტრუქტურის განვითარება, განსაკუთრებით საპორტო ქალაქებში.

ასევე მნიშვნელოვანია საბაჟო ფორმალობების გამარტივება, აქ იგულისხმება არა საბაჟო კონტლოლის გამარტივება, არამედ პროცედურების წარმოების გაციფროვნება, რაც გაზრდის ოპერატიულობას.

**გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:**

1. Francisco J. Buera, Joseph P. Kaboski, Can traditional theories of structural change fit the data? Journal of the Europian Economic Associesion, volume 7, April-May 2009, Pages 469-477

2. Acemoglu, D. and Guerrieri, V. (2008) Capital Deepening and Nonbalanced Economic Growth. Journal of Political Economy, 116, 467-498. Available at: https://doi.org/10.1086/589523

3. The World Bank Annual Report 2008: Year in review

4. JWD GROUP, THE ORIGIN AND HISTORY OF LOGISTICS WICH YOU MIGHT NOT HAVE HEAD OF.

5. Available at: https://jwd-group.com/en/knowledge_bases/aboutlogistics/

6. Gargasas A. Logistikos reikšmė įmonės konkurencingumui [Importance of logistics for the competitiveness of an enterprise] // Ekonomika ir vadyba-2000: Conference material. Kaunas: Technologija, p. 131-133.

7. Dr. Alvydas JABLONSKIS, Dr. Mara PETERSONE, Dr. Karlis KETNERS, INSIGTH INTO THE DEFINICION OF CUSTOMS LOGISTICS, ResearchGate, Februaly 2019

8. Valentina Kalinicheva, Sergey Dmitriev, Mikhail Drigo, Natalia Kazimirova, Alla Nikitina, Inna Igolnikova, Features Logistic Custom Warehouses in the Integration of the World Economy and the Globalization of Business, International Rewiev of Management and Marketing. pages 148-152, Available at www.econjournals.com

# THE CONCEPT OF CUSTOMS LOGISTICS

**Maia Chechelashvili,**
Doctor of Economics (Ph.D.),
Associate Professor of Georgian Technical University

**Giorgi Bekauri,**
Doctor of Economics,
PhD student of GTU
mr.beqauri@gmail.com

**RESUME**

Along with the increasing pace of globalization, the volume of passenger and cargo movement between countries is steadily increasing. International supply chain in modern business activities includes not only the planning of shipment of goods, but much attention is paid to cargo clearance procedures. The growing role of customs authorities has become particularly striking in the face of the international transport collapse caused by the Covid-19 pandemic. If not for timely and correct action, the economic losses caused by the crisis would be much greater than what we are facing today.

Modern business processes are widely related to the transfer of services and goods between countries. Logistics includes a specific group of activities. One part of them includes process supervision. Customs authorities control the movement of goods, vehicles and people across the economic border. What tariff and non-tariff control mechanisms are used to determine the amount of goods and taxes that have the right to enter the country.

These factors accelerated the formation of new directions of logistics.

**Keywords:** international shipping, supply chain, customs logistics, customs clearance procedures.

# ბიზნეს პროცესების ენტროპიული მოდელი

**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-74**

**ოთარ ბუსკივაძე**
სტუ დოქტორანტი
oto.otar@gmail.com

**რეზიუმე**

შემოთავაზებულია ბიზნეს პროცესების მონიტორინგის პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომა მოქმედი ბიზნეს სისტემის ინფორმაციული სივრცის ენტროპიის მახასიათებლებზე დაყრდნობით, რომელიც განიხილება ღია სისტემების ქცევისა და მოდელირების კუთხით. მხედველობაში მიიღება პროცესის დროითი კომპონენტი. გარდა ამისა, ნაშრომში აღწერილია ბიზნეს პროცესის დინამიური სტრუქტურის სტაბილურობის შეფასების მეთოდიც. შემოთავაზებულია ბიზნეს სისტემისა და მისი პროცესების ენტროპიული მონიტორინგის ამოცანის განხორციელებისადმი ენტროპიული მიდგომა. სტატიაში აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სისტემური თეორიები, რომლებიც განიხილავს ურთიერთქმედების ბიზნეს პროცესების მთლიანობას, როგორც დიდ ინტეგრალურ სისტემას. მეტიც, ამ მთლიანობას ახასიათებს სამმაგი ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ, მისი თითოეული მნიშვნელოვანი ნაწილის ურთიერთდამოკიდებულება, მისი თითოეული ნაწილის დამოკიდებულება მთელ სისტემაზე (ამ შემთხვევაში სისტემის შერჩეულ ფაზის სასაზღვრო პირობები მხედველობაშია მისაღები) და ბოლოს, მთელი სისტემის დამოკიდებულება მის კონკრეტულ ნაწილზე, ან მათ კომბინაციებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ურთიერთობის სინთეზი მიგვიყვანს პროცესების რთული არაწრფივობის გათვალისწინების აუცილებლობამდე.

**საკვანძო სიტყვები**: ენტროპია, მეთოდოლოგია, ბიზნესის ადმინისტრირების სისტემა.

## შესავალი

მოდელირებისა და ბიზნეს პროცესების აღწერის 30 წლიანი გატაცების შემდეგ, როგორც ჩანს, მსოფლიო მივიდა გარკვეულ სტაბილიზაციამდე და გადაწყვეტილებების ბაზრის დაყოფამდე მძიმე, საშუალო და მსუბუქ სახეებად, როგორც ფასის, ასევე ფუნქციონალური თვალსაზრისით. თუმცა, ამ განხორციელებების 85% ეფუძნება აქტივობების აღწერის ტრადიციულ „მიზეზობრივ" მიდგომას, დანარჩენებს უპირატესობას ანიჭებენ როლურ და სიტუაციურ მოდელირებას. ისინი, ვინც ზრუნავს ინფორმაციის კომპონენტზე, ამას წმინდად პრაგმატულად უდგება, რათა ააგონ, დანერგონ ან მიყიდონ IT სისტემები ბიზნეს სტრუქტურებს. სინამდვილეში, სწორედ IT პრაქტიკის თვალსაზრისით მიიღო ტერმინმა „საწარმოს არქიტექტურა" წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა და არა სისტემის მოდელირების გლობალური ჰოლისტიკური მიდგომის გამო, რომლითაც იგი დაიწყო.

## შედეგები და მათი განსჯა

დღევანდელ წმინდა პრაგმატულ სამყაროს არ ჰქონდა დრო ან სურვილი შეემჩნია, რომ ბიზნეს სისტემები, რომელთა მოდელირება იყო საჭირო, არსებითად ეგრეთ წოდებული დიდი კომპლექსური სისტემებია და მათ აღწერისა და მოდელირების აპარატი მთლიანად არის მზად. ჩვენს საუკუნეში, როგორც წესი, ბიზნეს სისტემა ევრისტიკურად არის შეზღუდული ან ხაზგასმული, ე. ი. ამის გადასაჭრელად აქსიომური მიდგომის ჩამოყალიბება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ასეთი ევრისტიკურად გამორჩეული სისტემები გვაქვს მოდელირებული აღწერითი ან ნორმატიული თვალსაზრისით.

**აღწერითი** მიდგომით შესწავლილია სისტემის თვისებები. შესწავლის მიზანს კი ამ თვისებების გამოვლენის შაბლონების იდენტიფიცირება და მათი კონტროლის გზების გამოვლენა იყო.

**ნორმატიული** მიდგომით, სისტემის დიზაინის პროცესში ხდება გარკვეული თვისებების მოდელირება. ამ თვალსაზრი-

სით, ბიზნეს სისტემების მოდელირების ყველა არსებული მეთოდიდან, ARIS მეთოდოლოგია (IDS Scheer) ყველაზე სრულად შეესაბამება დიდი სისტემების თეორიულ საფუძვლებს.

აკადემიკოსმა ი.ფრანგიშვილმა ჩამოაყალიბა ძალიან მნიშვნელოვანი აქსიომა: ***დიდი სისტემის ენტროპია არის შენახული სიდიდე*** [1]. ამ აქსიომის არსი აშკარაა, ვარაუდობენ, რომ დიდი სისტემის (მაგალითად, ბიზნესის) მოქმედება ხდება ინტელექტუალურ გარემოში, რომელიც იდენტიფიცირებულია ვირტუალურ კონტინუუმთან. ეს არის ბიზნეს გარემოს ინტელექტუალიზაციის ხარისხი, რომელიც განსაზღვრავს ენტროპიის დრეიფს. ამ დებულებას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა ბიზნეს სისტემებზე.

საკითხის მრავალმხრივი შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. ბიზნეს სისტემის სიცოცხლის ხანგრძლივობა შემოიფარგლება მისი საკუთარი ინტელექტის დონით, რომელიც დაკავშირებულია სისტემის მიერ დროის ერთეულში შესრულებული ოპერაციების რაოდენობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბიზნეს სისტემა ყურადღებას არ აქცევს უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესებას საოპერაციო საქმიანობაში და სტრატეგიულ მენეჯმენტში, ის განადგურებისათვისაა განწირული;

2. ბიზნეს სისტემის მენეჯმენტი უნდა ეფუძნებოდეს შერჩეული ვირტუალური კონტინუუმის ენტროპიის უწყვეტ შეფასებას;

3. ვირტუალური კონტინიუუმის ენტროპიის ნებისმიერი გადახრა (ცვლილება) მიუთითებს სიმკვრივის ცვლილებაზე, რაც, თავის მხრივ, არის ფუნქციონირების გარემოს სემანტიკური თანმიმდევრულობის (ოპერაციული შეცდომის) დარღვევის ნიშანი.

თანამედროვე მოდელირების აპარატი საკმაოდ კარგად აღწერს ბიზნეს სისტემებსა და სტრუქტურებს. თუმცა ეს მოდელები ძირითადად განკუთვნილია სტრუქტურული ანალიზისთვის და სისტემური ანალიზის სისრულისთვის საჭიროა ბიზნეს პროცესების დინამიური, მათ შორის არაწრფივი, რეჟი-

მების მოდელირება. აქ არაწრფივი სტრუქტურა არის პროცესის ევოლუციის ტიპი, რომელშიც სისტემის დინამიკა არსებითად დამოკიდებულია მის მდგომარეობაზე დროის მიმდინარე მომენტში. კერძოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა სწრაფი პროცესების ევოლუციის აღწერა, რომლებშიც, როგორც წესი, შემთხვევითი ფაქტორების გავლენამ მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს მათ ქცევაზე.

სწორედ ეს პროცესები წარმოადგენს ბიზნეს პროცესების მონიტორინგის მთავარ ამოცანას, მაგრამ ისინი გაურბიან თანამედროვეს კონტროლისა და მართვის მეთოდებს, რომლებიც, მთელ სისტემაზე ზემოქმედების შედეგების მიხედვით, არიან უკიდურესად დიდი ზეგავლენის მქონე და ზოგიერთ შემთხვევაში დამღუპველიც კი. ასეთ სისტემებში, როგორც წესი, ვლინდება ურთიერთქმედების სტოქასტური ბუნება და ხშირად დისიპაციური ფაქტორი არის გავლენის ის ფაქტორი, რომლის არსებობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს პროცესის მიმდინარეობა.

ბიზნეს სისტემის მონიტორინგის სემანტიკური განმარტება ასეთია: ***ბიზნეს სისტემის მონიტორინგი არის სტოქასტურ გარემოში მოქმედი ბიზნეს სისტემის მიმდინარე მდგომარეობაზე უწყვეტი დაკვირვება და ანალიზი მისი ეფექტურობის, ხარისხისა და მდგრადობის გასაუმჯობესებლად, რისკების ზემოქმედების შესამცირებლად, აგრეთვე შემდგომი პროგნოზირებისათვის როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში.*** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფუნქციონალური გარემოს უკუკავშირის დანერგვის პროცესი მისი სტაბილურობის გაზრდის მიზნით, ფაქტობრივად, არის ბიზნეს სისტემის მონიტორინგი.

აქ უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება:

- ჯერ ერთი, ნებისმიერი ბიზნეს სისტემა ეფუძნება რაიმე პროექტს, რომელიც მის განხორციელებამდე არსებობდა და სწორედ მის საფუძველზე იქმნება ბიზნეს სისტემა. ფორმალურად, პროექტი არის მონიტორინგის ამოცანის საწყისი მონაცემები.

- მეორე, სისტემის განვითარების რეგულარული ტრაექტორია არის მისი ფუნქციონირების ტრაექტორია პროექტის შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი რეალური ბიზნეს სისტემა არ მოძრაობს რეგულარული ტრაექტორიით. ამიტომაც მენეჯმენტის მთავარი ამოცანის, ე.ი. მონიტორინგის, მნიშვნელობა მცირდება მოძრავი სისტემის განვითარების ტრაექტორიის გარკვეულ არეალში დაბრუნებით. აქ არის პირდაპირი ანალოგია მანქანის მართვასთან, უფრო დეტალური შემოწმების შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მძღოლი მოძრავ მანქანას მრავალჯერად აბრუნებს გარკვეულ საპროექტო ტრაექტორიაზე, როგორც მცირე გადახრებით, ასევე მარშრუტის (ტრაექტორიის) მნიშვნელოვანი ცვლილებებით, მაგალითად, საცობების გამო.

ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერი სისტემა ყოველთვის, ამა თუ იმ ხარისხით, ემორჩილება თავის ელემენტებს, განსაზღვრავს მათ ქცევას, ამიტომ, თუ კონკრეტული ელემენტი ვითარდება სისტემის განვითარების ზოგადი მიმართულების გათვალისწინების გარეშე, მაშინ ეს უკანასკნელი მაინც გამოასწორებს დინამიკას. ასეთი სისტემატური მიდგომა პრაქტიკაშიც გამოიყენება რთული სისტემების ქცევის გაანალიზებისას [2].

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სისტემური თეორიები, რომლებიც განიხილავს ბიზნეს პროცესების ურთიერთქმედების მთლიანობას, როგორც დიდ ინტეგრალურ სისტემას. მეტიც, მთლიანობას ახასიათებს სამმაგი ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ:

ა) მისი თითოეული მნიშვნელოვანი ნაწილის ურთიერთდამოკიდებულება;

ბ) მისი თითოეული ნაწილის დამოკიდებულება მთელ სისტემაზე;

გ) მთელი სისტემის დამოკიდებულება მის კონკრეტულ ნაწილზე, ან ნაწილების კომბინაციებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ურთიერთობის სინთეზი მიგვიყვანს პროცესების რთული არაწრფივობის გათვალისწინების აუცილებლობამდე.

ნებისმიერი რეალური სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც ტრივიალური სისტემის ან ქვესისტემების ელემენტების გარკვეული ნაკრები. მაგრამ ეს ნაკრები, რა თქმა უნდა, უნდა შეიცავდეს ელემენტებს, რომლებიც სცილდებიან სტრუქტურის საზღვრებს ან საზღვრებს, რომლებიც წარმოადგენენ გაფანტული ფაქტორის წყაროს. თავის მხრივ, ეს არის ინფორმაციის მთავარი წყარო, რომელიც ასე აუცილებელია სისტემის ფუნქციონირებისთვის. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სისტემის შიგნით ინფორმაციის ნაკადების განაწილების სტრუქტურა და ამ ნაკადების ურთიერთქმედების სტოქასტური ბუნება.

ნაშრომში ვეცადეთ, რთული ბიზნეს პროცესების სტრუქტურებში ენტროპიისა და ენტროპიის ბალანსის თვალსაზრისით აღგვეწერა ქცევისა და კონტროლისადმი ახალი მიდგომა. ამგვარი არჩევანი განპირობებულია იმით, რომ რთულ სისტემებში (ბიზნეს პროცესებში) წინა პლანზე მოდის არა პროცესის მატერიალური, არამედ ინფორმაციული კომპონენტი, როგორც ცალკეული ელემენტებისა და თვისებრივი უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით. [2] [3] [4]

ბიზნეს პროცესის სირთულის პრობლემა, პირველ რიგში, ბიზნეს პროცესის სტრუქტურული ორგანიზაციის პრობლემაა. სირთულის შემდეგი პრობლემა ეხება გადაწყვეტილების მიღების ან დავალების შესრულების ამოცანის ინფორმაციულ სირთულეს. ამ შემთხვევაში პროცესი შეიძლება იყოს პრიმიტიული სტრუქტურის მხრივ და ამავდროულად უკიდურესად რთული მისი განსახორციელებლად მრავალმხრივი ინფორმაციის გამოყენების თვალსაზრისით. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი თავის ნამუშევრებში განიხილავს დინამიური პროცესების ენტროპიას ბიზნეს პროცესის მოდელის შესრულების გაურკვევლობის გაზომვის საფუძველზე. ეს გაურკვევლობა განისაზღვრება სამუშაო პროცესის შესრულებაში გადასვლების თვალსაზრისით. პროცესი ამ შემთხვევაში დაყოფილია პრიმიტიულ სცენარებად, რომელთაგან თითოეულისთვის განხორციელების ალბათობა განისაზღვრება პროცესების შესრულები-

სას წარსული ქცევის ანალიზის საფუძველზე. თანმიმდევრული გადასვლების ალბათობების და მათი შემდგომი გამრავლების გაანგარიშების საფუძველზე, შეიძლება მივიღოთ პროცესის ალბათობა და, შესაბამისად, პროცესის მოდელის გაურკვევლობის საზომი [5]. ენტროპიის პირობებში (სისტემის სტრუქტურაში გარდაუვალი სუსტად კონტროლირებადი ცვლილება), წარმოიშვება ბუნებრივი რღვევა, რეორგანიზაცია ან ახალი კავშირების ფორმირება, ელემენტების გამოჩენა ან გაქრობა.

სისტემა არის ინფორმაციის გენერირების ან გაქრობის ამოცანა, რაც თავის მხრივ ცვლის მთელი სისტემის ენტროპიას. სისტემაში გაურკვევლობის აღწერის ენტროპიული მიდგომა საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ ენტროპიის წონასწორობის შაბლონები და გავამართლოთ არასტაბილურობისა და „კატასტროფების" წარმოშობა ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა ბიზნეს პროცესის სუბიექტების გავლენა მის ნაკადზე, ისევე როგორც სტრუქტურაზე და ბიზნეს პროცესზე.

ეს არის ენტროპიის შესწავლა, როგორც ბიზნეს პროცესების შესწავლის მიდგომა, რომელიც არის ამ კვლევის მთავარი მიზანი, რადგან ნებისმიერი არასტაბილურობის შედეგად ენტროპიის უკონტროლო ზრდა იწვევს გაურკვევლობის ან ქაოსის ზრდას, რომელმაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს სისტემის განადგურება. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს განვითარების სხვა დარგების - ბიზნეს პროცესების ბიფურკაციების[1] გაჩენა. ფაქტობრივად, ბიზნეს პროცესის მართვის ყველა არსებული პრაქტიკა ერთი მთავარი ამოცანის გადაჭრამდე მიდის, ეს არის მართულ სისტემაში გადაწყვეტილების მიღებისას გაურკვევლობის აღმოფხვრა.

ზოგიერთი მკვლევარი ბიზნეს პროცესის ბიფურკაციების ასეთი გაზომვისთვის იყენებს ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრავს ენტროპიას ტექსტების კორპუსში საკვანძო სიტყვების სიხშირით, რითაც განსაზღვრავს დროთა განმავლობაში

**1 ბიფურკაცია (ლათ. bifurcus „გაორება") - სხვადასხვა ობიექტის ყველა სახის თვისებრივი მეტამორფოზა, როდესაც იცვლება პარამეტრები, რომლებზეც ისინი არიან დამოკიდებულნი.**

ბიზნეს პროცესების ცვლილებას. ენტროპიის ინტერვალის საზომის ფუნქცია განსაზღვრავს დროის ინტერვალებს, რომლის დროსაც საკვანძო სიტყვებს აქვთ არათანაბარი განაწილება: მათ აქვთ ხსენების მაღალი სიხშირე. აკადემიკოსი ფრანგიშვილის მიერ TDT-Pilot-ისა და Enron-ის ტექსტური კორპუსებისთვის ინტერვალის ენტროპიის გამოთვლის შედეგების გამოყენების დროს აღმოჩნდა, რომ გაზომილი ენტროპიის საზომი, რომელიც დაფუძნებულია საკვანძო სიტყვების სიხშირის განაწილებაზე დროის ინტერვალში, ძალიან ეფექტურია ბიზნეს პროცესების ცვალებადობის, დროითი ტენდენციების, მოვლენების კორელაციების დასადგენად. სატესტო კორპუსები [6].

უნდა აღინიშნოს, რომ ენტროპიის ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს ორი ფაქტორით: ა) ენტროპიის ცვლილება რთული სისტემის შემადგენელი ელემენტების შინაგანი ურთიერთქმედების შედეგად და ბ) ენტროპიის ცვლილება სისტემის გარე გარემოსთან ურთიერთქმედების გამო, ანუ ინფორმაციის შემოდინება ან გადინება გარედან ან, დისიპაციური სისტემებისთვის[1], განსახილველი სისტემის მიმდებარე სივრციდან. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისტემის ენტროპიის ნებისმიერი ცვლილება არის ინფორმაციის სიმკვრივის ცვლილების შედეგი, ე. ი. სისტემის განვითარების ტრაექტორიიდან შიდა ან გარე გადახრები.

ამრიგად, ბიზნეს პროცესების დინამიკის შესწავლასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა ამ სიტყვის ფართო გაგებით არის ამ პროცესების ევოლუციის შაბლონების გაგება, მათი სტრუქტურის, შიდა კავშირების, აგრეთვე სტოქასტური[2] და დისიპაციური ფაქტორები.

იზოლირებული სისტემების ევოლუციის ნიმუში, რომლებ-

**1 დისიპაციური სისტემა (ლათ. dissipatio - „ვფანტავ“) არის სტაბილური მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება დაუბალანსებელ გარემოში გარედან შემოჭრილი ენერგიის გაფანტვის პირობებში.**

**2 სტოქასტური (შემთხვევითი) პროცესი არის ცვლილება სისტემაში, რომელსაც აქვს არადეტერმინისტული ქცევა: ასეთი სისტემის შემდგომი მდგომარეობა შეიძლება აღწერილ იქნას როგორც პროგნოზირებადი, ისე შემთხვევითი სიდიდეებით.**

შიც გარე გავლენები ინფორმაციის გაცვლის სტრუქტური-თაა გამორიცხული, გასაანალიზებლად ყველაზე მარტივია. ამ სისტემებში შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ისეთი დინამი-ური ფენომენები, რომლებშიც დროთა განმავლობაში ენტრო-პია კი არ მცირდება, არამედ იზრდება და, შესაბამისად, მათი სტრუქტურის ცვლილება მხოლოდ გაურკვევლობის გაზრდის მიმართულებით შეიძლება წავიდეს. მათი სტაციონარული მდგომარეობა არის სტაბილური წონასწორობა მაქსიმალური ენტროპიით.

დისიპაციური სისტემები, თავის მხრივ, უფრო სტაბილუ-რია, მაგრამ მათი ევოლუციის ამოცანა სულაც არ არის ტრი-ვიალური, რადგან მდგრადი ბიზნეს პროცესების სფეროები გაცილებით ვიწროა, რაც ნიშნავს, რომ ამ პროცესების მართვა უფრო რთული ამოცანაა. დისიპაციურ სისტემებს ასევე ახასი-ათებს გავლენის გარკვეული ბარიერის არსებობა, რომლის გა-დალახვამდე სისტემა გარე ფაქტორების გავლენაზე უბრალოდ არ „რეაგირებს". ამასთან, ღირს კიდევ ერთი ფაქტის აღნიშვნა - დისიპაციურ სისტემებს აქვთ პარამეტრების დისკრეტული ნა-კრები, რომლის მიხედვითაც სისტემა არსებობს, რაც პროცესე-ბის ევოლუციას გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. [7] ამრიგად, საინფორმაციო ველის ძლიერი გაურკვევლობის პირობებში პროცესების მდგრადი განვითარებისათვის ასეთი პარამეტრე-ბის ნაკრების იდენტიფიცირება შემდგომი კვლევების მთავარ ამოცანად რჩება.

## პრობლემის ფორმულირება

თანამედროვე მიდგომებში ყველა დროითი დამოკიდებუ-ლება ახასიათებს ბიზნეს პროცესების ცალკეულ ინდიკატო-რებს, თუმცა თავად პროცესების დინამიკა და მათი ხისტი დროითი დამოკიდებულება რჩება კვლევის ფარგლებს გარეთ. ასეთი გამარტივება ხდება კრიტიკული, თუ საჭიროა გავითვა-ლისწინოთ შემთხვევითობა ან გაურკვევლობა სისტემის ელე-მენტებს შორის ბიზნეს პროცესებში ინფორმაციის აღქმასა და გადაცემაში, რაც, თავის მხრივ, ყველაზე დამახასიათებელია

ქართული რეალობის პირობებისთვის. გარდა ამისა, გარე აგზნებას ხშირად შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ინფორმაციის გაცვლის ქაოტურ სტრუქტურაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მკვეთრ ზემოქმედებას ეხება. ასეთი ზემოქმედების მაგალითია საფონდო ბირჟებზე აქციების ფასების მკვეთრი კოლაფსი, როდესაც „მოთამაშეების“ მდგომარეობა პანიკას უახლოვდება და იწყება გრძელვადიანი პროგნოზების აგება. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ექსტრემალური ასახვა გარემოს ენტროპიის მაღალ დონეზე აუცილებლად იწვევს სტაბილურობის დაკარგვას, შეცდომებს ან გამოტოვებულ რისკებს.

ბიზნეს პროცესის აღწერისთვის საჭიროა მათემატიკური მოდელის მკაფიო შერჩევა, რომელიც ასახავს სისტემის ყველა შინაარსობრივ მახასიათებელს, მის სტრუქტურას, შიდა კავშირებს, ქაოსისა და ენტროპიის ხარისხს, სემანტიკურ სტრუქტურას და კონკრეტული აქტივობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამ მოდელმა უნდა გაითვალისწინოს როგორც მთელი სისტემის, ისე მისი ყველა ელემენტის ცალ-ცალკე ევოლუცია დროში, რაც საშუალებას გვაძლევს, აღვწეროთ ინტეგრალური ბიზნეს პროცესი, შევაფასოთ მისი ფუნქციონირების ხარისხი და რისკები, ვიპოვოთ გაუმჯობესების შესაძლო გზები და, იდეალურ შემთხვევაში, სისტემა მივიყვანოთ თვითგანვითარების მდგომარეობამდე.

ასეთი მოდელის პირობითი სქემა შეიძლება გულისხმობდეს ევოლუციის სამ მნიშვნელოვან ეტაპს მარტივი სტრუქტურიდან დროის მომენტში, შემთხვევითობის „დამატებით“ (ნახ. 1ბ), რომელიც იწვევს გაურკვევლობის, არასტრუქტურირებულობის და, შესაბამისად, ენტროპიის ზრდას, უფრო ორგანიზებულ ოპტიმალურ სტრუქტურამდე მინიმალურ დროში (ნახ. 1).

აღსანიშნავია, რომ ეს სქემა მოქმედებს ნებისმიერი სტრუქტურის რესტრუქტურიზაციის, რეფორმირების, გაუმჯობესების, რეინჟინერიის, რესტრუქტურიზაციის თითქმის ყველა სიტუაციისთვის, მათ შორის ახლიდან შექმნილი სისტემებისთვისაც. მდგომარეობა 1a შეიძლება ჩაითვალოს მიზნის და-

სახვის ან სამოქმედო გეგმად, ე. ი. ეს არ უნდა იყოს სისტემის ორიგინალური არქიტექტურა. საკითხის უახლეს ისტორიაში ჩანს, რომ ამ მოდელის მიზანშეწონილობა მოქმედებს ერთადერთი გამონაკლისით, რომ რეალობა ჩერდება 1b ფაზაში 1c მდგომარეობაზე გადასვლის უკიდურესად დუნე, სუსტი მცდელობებით.




**ნახ.1 აქტივობის არქიტექტურის სტრუქტურული ევოლუცია**

ასეთი საქმიანობის არქიტექტურის მოდელის აღსაწერად აუცილებელია ვიპოვოთ შესაბამისობა რეალურ სივრცეს, რომელშიც ფუნქციონირებს ბიზნეს გარემო და ვირტუალურ კონტინუუმს შორის.

ვირტუალური კონტინუუმი არის აბსტრაქტული ობიექტი, რომელშიც შეიძლება აღინიშნოს სამი მნიშვნელოვანი თვისება. პირველ რიგში, იგი მოქმედებს ფაზურ სივრცეში, რომელიც განისაზღვრება კოორდინატთა სისტემით (q, p), სადაც q არის განზოგადებული კოორდინატი, p არის ვირტუალური საშუალე-

ბის განზოგადებული იმპულსი. მეორე, ვირტუალური გარემო ვითარდება t დროში. მესამე, ვირტუალური კონტინუუმი ხასიათდება მდგომარეობების სიმკვრივით.

სიმკვრივე ამ შემთხვევაში წარმოდგენილია მატრიცის სახით და, როგორც ეს ჩვეულებრივ კვანტურ მექანიკაშია მიღებული [7], განსაზღვრავს სისტემის მდგომარეობას დროის მოცემულ მომენტში და სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთქმედების სტრუქტურას.

დაბოლოს, ენტროპიის კონცეფცია მნიშვნელოვანი ხდება ვირტუალური გარემოსთვის, სადაც ინტეგრაცია ხორციელდება მთელ ფაზურ სივრცეში Ω. ამრიგად, ვირტუალური კონტინუუმის მეოთხე ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ხდება ***საინფორმაციო ველი,*** რომელიც ახასიათებს რეალური გარემოს აქტივობის არეალს, რომელიც წარმოადგენს ვირტუალური და რეალური გარემოს სინქრონიზაციის ფაქტორს.

## დასკვნა

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მენეჯმენტის კატეგორიების ურთიერთობათა სისტემას აქვს შემდეგი თვისება: სისტემის კუთვნილი ცოდნა ხარისხის პროპორციულია და რისკების უკუპროპორციულია. თუ ცოდნა და ხარისხი არის კონტროლის ბერკეტის ერთი მკლავი, მაშინ რისკი და ენტროპია საპირისპირო მკლავი იქნება. ამრიგად, ამ საკითხზე მსჯელობისა და კვლევების გაგრძელებამდე, აუცილებელია განვსაზღვროთ ისეთი ყოველდღიური და თვისებრივი ცნებები, როგორიცაა ცოდნა, ხარისხი და, რა თქმა უნდა, რისკი და ენტროპია. აქვე ალვნიშნავთ, რომ ენტროპიის განმარტებები სემანტიკურია, მაგრამ ისინი შესაძლებელს ხდის უფრო მკაცრ, მათემატიკურ ფორმულირებაზე გადასვლას და ამ ცნებებს შორის უფრო აშკარა კავშირის დადგენას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Прангишвили И. Энтропийные и другие системные закономерности: вопросы управления сложными системами. – М. Наука, 2013

2. Jae-Yoon Jung, Chang-Ho Chin, Jorge Cardoso An entropy-based uncertainty measure of process models.- Information Processing Letters 13 111 (2011) 135–141

3. Neslin S., Gupta P., Kamakura W., Lu J. Mason K, C., Mark J. Res. 43, 204 (2006).

4. Larose D. T., Discovering Knowledge in Data: An Introduction to Data Mining, Wiley, Hoboken 2014.

5. Seo D., Ranganathan C., Babad Y., Telecommunication Policy 32, 182 (2010).

6. Прангишвили И. В. Системный подход и системные закономерности. – М.: СИНТЕГ, 2010

7. Parvathi Chundi Rui Zhang, Entropy Based Measure Functions for Analyzing Time Stamped Documents, Proceedings of the Fourth Workshop on Text Mining, Sixth SIAM International Conference on Data Mining, Hyatt Regency Bethesda, Bethesda, Maryland, April 22, 2016

**REFERENCES:**

1. Prangishvili I., V., Entropy and other systemic patterns: Issues of management of complex systems, Moscow, Nauka, 2013

2. Jae-Yoon Jung, Chang-Ho Chin, Jorge Cardoso An entropy-based uncertainty measure of process models.- Information Processing Letters 13 111 (2011) 135–141

3. Neslin S., Gupta P., Kamakura W., Lu J. Mason K, C., Mark J. Res. 43, 204 (2006).

4. Larose D. T., Discovering Knowledge in Data: An Introduction to Data Mining, Wiley, Hoboken 2014.

5. Seo D., Ranganathan C., Babad Y., Telecommunication Policy 32, 182 (2010).

6. Prangishvili I., V., System approach and sistemic patterns. SINTEG, 2010

7. Parvathi Chundi Rui Zhang, Entropy Based Measure Functions for Analyzing Time Stamped Documents, Proceedings of the Fourth Workshop on Text Mining, Sixth SIAM International Conference on Data Mining, Hyatt Regency Bethesda, Bethesda, Maryland, April 22, 2016.

## ENTROPY MODEL OF BUSINESS PROCESSES

**Otar Buskivadze,**
PhD student of GTU
oto.otar@gmail.com

### RESUME

The article proposes an approach to solve the problem of monitoring business processes based on the entropy characteristics of the information space of an existing business system, which is considered from the point of view of the behavior and modeling of open systems. The time component of the process is taken into account. In addition, the paper describes a method for assessing the stability of the dynamic structure of a business process. An entropy approach to the implementation of the task of entropy monitoring of a business system and its processes is proposed. The article points to the expediency of using system theories that consider the totality of interacting business processes as an integral large system. At the same time, the whole is characterized by a triple interdependence, namely, the interdependence of each of its most important parts, then the dependence of each of its parts on the entire system (in this case, the boundary conditions of the system in the selected phase of space) and, finally, the dependence of the entire system on its specific part or parts from combinations. It should be noted that the synthesis of all these relationships leads to the need to take into account the complex nonlinearity of processes.

**Keywords:** entropy, methodology, business administration system.

# SPORTS MANAGEMENT OF PEOPLE WITH DISABILITIES IN GEORGIA - ACHIEVEMENTS AND CHALLENGES (EMPIRICAL RESEARCH)

**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-88**

**Revaz Revazishvili,**
Georgian Technical University, PhD student,
revaz.npcgeorgia@gmail.com

**Evgeni Baratashvili,**
Georgian Technical University, Professor

**RESUME**

The work discusses the problems of sports management of persons with disabilities in Georgia and the role of the Paralympic Committee of Georgia in the issues of integration of persons with disabilities into society through the management of sports activities of persons with disabilities. For this purpose, a reliable and valid empirical study of Georgian Para-athletes and Para-sport-related professionals was conducted through an unstructured open questionnaire. As a result of the research, it has been identified the strengths and weaknesses of Para-athletes, their efforts to develop their strong sides and overcome weaknesses, motivation factors, expected difficulties in the path of their future spiritual and physical development; It has been evaluated the role of sports and the Paralympic Committee of Georgia in the life of Para-athletes, the specific problems of Para-sport management, existing gaps and directions for improvement.

**Keywords:** Disabled person, Para-athlete, Para-sport management, Paralympic Committee of Georgia, reliable and valid research, unstructured open questionnaire, strong and weak sides of Para-athlete, motivation of Para-athlete, National Anthem of Georgia.

## INTRODUCTION

***Relevance of research.*** Among the fundamental values of the civilized world, one of the most important is the care of persons with disabilities. Sports activities of disabled people can play one of the serious roles in the way of full integration of disabled people in the society. Accordingly, special importance is given to sports organizations of Georgia, including sports management of disabled people. In Georgia, many organizations deal with sports management issues: the Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia, numerous sports federations, but none of them directly cares about the sports activities of disabled people. On the other hand, there are also many non-governmental organizations in Georgia that take care of disabled people, although this care is mainly of a social nature. At the same time, as numerous studies confirm, sports management of disabled people plays a special role in the full integration of disabled people into society. [1,2,3]. Participation of persons with disabilities in physical education and sports is not only a means of treatment and rehabilitation, but also a necessary condition for raising self-esteem of persons with disabilities, forming themselves as potentially useful members of society. The only organization in Georgia that organizes and manages the sports activities of disabled people is the Paralympic Committee of Georgia [4], which is directly involved in the sports management of disabled people and achieves significant results in this direction. But challenges still abound. Thus, discussion of issues of sports management of disabled people is very relevant.

**Research news.** The issue of the effectiveness of disabled people's sports management should first of all be considered from the point of view of those who are directly involved in Para-sports. These are Paralympic athletes and Para-sports related professionals. They should determine what achievements and shortcomings Georgia's Paralympic movement has. Empirical research is conducted in the work - a survey of Para-athletes and professionals related to Para-sport. As a result of analyzing their opinions, the necessary directions for the development of Para-sport in Georgia, the ways of

eliminating existing shortcomings and the possibilities of improving the management of Para-sport have been established.

***Objectives of research.*** Identifying the challenges facing the management of Para-sports in Georgia and developing an appropriate strategy in order to increase the effectiveness of the management of sports activities of persons with disabilities.

**DATA COLLECTION**

145 Para-athletes are registered in Georgia, but from different kinds of Para-sports 127 Para-athletes were interviewed. Among the 44 professional respondents of different Para-sports (Sitting Volleyball, Para-Skiing, Para -Table Tennis, Para-Archery, Para-Athletics, Para-Olympic Shooting, Para-Taekwondo, Para-Swimming, Para-Judo, Para-Diving, Wheelchair Fencing, Bocce) there are the head coaches, trainers, assistants of athletes, instructors, medical personnel (including physiotherapists), as well as the leadership and managers of the Paralympic Committee.

Based on the objectives of the research, an unstructured open questionnaire was made for both Para-athletes and professionals in accordance with modern recommendations of business research methods [5]. Together with the questionnaire data, we tried to determine the positive achievements and existing difficulties of **Para-sport management** carried out by the Paralympic committee, the role of the Paralympic committee in developing strengths and overcoming weaknesses by Para-athletes, the ways of their spiritual and physical development and their motivation factors (the obtained information is stored in the author's "primary data" file).

The questions are formulated as follows:

- How do you think: What are your strengths?
- What are you doing to develop your strengths?
- What is the role of the Paralympic Committee in developing your strengths?
- How do you think: What are your weaknesses?
- What do you do to overcome your weaknesses?

• What is the role of the Paralympic Committee in helping you overcome your weaknesses?

• In general, what opportunities do you see for your spiritual and physical development?

• How does sports activity help you in your spiritual and physical development?

• What is the role of the Paralympic Committee in your spiritual and physical development?

• What difficulties do you see in the way of your future development?

• How does sports activity help you overcome your possible difficulties?

• What is the role of the Paralympic Committee in overcoming your possible difficulties? Overcoming your personal and/or family problems?

• How would you evaluate the work of the Paralympic Committee for the development of sports activities of people with disabilities in Georgia?

• In your opinion, what are the shortcomings in the activities of the Paralympic Committee?

• What aspects of the activities of the Paralympic Committee would you like to improve?

• What factors of motivation are important for you?

• What is the role of the Paralympic Committee in motivating you?

*Note* that some personal questions (what are your strengths and weaknesses, etc.) do not seem to be directly related to the topic of sports management, but when the respondent indicates his own characteristics and the problems he faces, and in other answers he evaluates the role of the Paralympic Committee, it becomes clear what is the **quality of managing** the sports activities of disabled people, what achievements and what gaps exist in the activities of the Paralympic Committee from the point of view of sports management.

Finally, we found out the achievements and shortcomings of the

work of the Paralympic Committee in order to **better manage** the sports activities of disabled people in Georgia. The mentioned information will help the Paralympic Committee of Georgia to improve the **management** of sports activities of people with disabilities

**ANALYSIS OF THE RESULTS**

The vast majority of Para-athletes believe that their **strengths** are: purposefulness, the desire to seek new things, the drive to achieve success, determination and the ability to set a goal, spiritual fortitude, a sense of responsibility and hard work. To develop their strengths, Para-athletes note that they work on themselves, often daily, never giving up on difficulties. The role of the Paralympic Committee is very important in developing the strengths of Para-athletes. According to Para-athletes, the Paralympic Committee empowers them, gives them incentives, helps them develop their physical skills and gives them the opportunity to be more integrated into society.

Para-athletes correctly assess their **weak sides,** among which are excessive emotionality, physical weakness of some of them, sedentary lifestyle, impaired reaction and physical abilities, etc. In order to overcome the problems, Para-athletes try to get involved in sports and cultural activities as much as possible; they work on themselves every day, both physically and psychologically. From this point of view, the role of the Paralympic Committee is also important and positive, which, with the support of coaches and the help of psychologists, allows Para-athletes to get to know their abilities better and does not allow them to be depressed.

According to Para-athletes, an active and healthy lifestyle, news, motivation to achieve success and intensive training are necessary for their **spiritual and physical development**. An active sports life raises the mood and helps to establish a healthy lifestyle, which also affects their spiritual state.

Despite the serious and impressive results, the Paralympic movement is accompanied **by difficulties**, most of which are mainly re-

lated to the financial situation. As a result of financial problems, the motivation of Para-athletes decreases.

Para-athletes unanimously note that **sports activities help them as much as possible**, moreover, they believe that sports are the best way to overcome various difficulties.

According to the actual data, the Paralympic Committee of Georgia has achieved **impressive success**, which is the **merit of the committee's good management**. Since the establishment of the Paralympic Committee (2003) until now, the types of Paralympic sports have developed in Georgia, the Paralympic movement is becoming more and more popular, the accessibility of participation in sports for people with disabilities has increased, and their full integration into society has been strengthened through sports activity. Listening to the Georgian national anthem at international competitions, unity and equality in the team is a special factor motivating Para-athletes.

As it can be seen from the survey of **professional respondents**, the Paralympic Committee of Georgia correctly implements the sports management of disabled people and is focused on using the latest methods of sports management in our country, for developing both Para-sports and existing personnel, for establishing a healthy lifestyle among disabled people and a harmonious spiritual and physical existence for them. The Paralympic Committee of Georgia ensures the physical activity of Para-athletes, participation in local and international tournaments, which increases the motivation of both Para-athletes and the staff as a whole to work better and with more effort to achieve common goals.

At the same time, it is necessary to take into account the challenges and shortcomings that exist in the activities of the committee, and which need to be corrected. Certain **shortcomings** in the activities of the Paralympic Committee are mainly manifested by small funding, lack of individual coaches and personal assistants, obstacles in organizing tournaments. It is noted that there is a need for more tournaments, more activities, more PR and regional development.

Therefore, it is necessary to further improve the activities of the

Paralympic Committee: first of all, it is a question of financial provision, better management of holding more tournaments and participation in international events. It is also necessary to develop more kinds of sports, more communication with Para-athletes.

**CONCLUSION**

A reliable and valid empirical study of Para-athletes and sports management professionals has shown that the sports management of disabled people is effective, the Paralympic Committee is doing a great job of getting people with disabilities interested in sports and, through their involvement in sports activities, promotes the full integration of disabled people into society.

First of all, it is necessary to find the possibility of increasing funding not only from the state, but also through the sponsorship of businesses and charitable foundations. For this, it should be strengthened the PR of the Paralympic movement and its achievements; should be developed the regions, more kinds of sports, more tournaments, more activities and participation in tournaments, more communication with Para-athletes, better understanding and promotion of individual needs; should be organized demonstrative games.

There are shortcomings in terms of training infrastructure for Para-athletes. More efforts are needed to develop proper gyms and training spaces. The personnel policy also needs to be adjusted, individual coaches, including foreigners, should be attracted more intensively. All types of Para-sport should be given equal attention, no Para-athlete should be left without any attention, which can be achieved by raising the professional level of management of the Paralympic Committee

**REFERENCES:**

1. Revazishvili R. Management of sports for disabled people in Georgia. Globalization and modern challenges of business. Proceedings of the VI International Scientific Conference. Tb. 2022

2. Revazishvili R. Sport in the lives of people with disabilities "Government and Society" # 4 (60), 2021

3. Revazishvili R. Abroad experience of managing integration of disabled people into society. International Scientific Conference "Global Challenges of the World" 2022, Proceedings

4. Georgian Paralympic Committee. http://paralympic.ge/.

5. Baghaturia G., Tutberidze G., Chiloglu I., Khoshtaria T. Business Research Methods 2nd Completed and Revised Edition European University, Tbilisi, 2020.

# შშმ პირთა სპორტმენეჯმენტი საქართველოში - მიღწევები და გამოწვევები. (ემპირიული კვლევა)

**რევაზ რევაზიშვილი,** სტუ დოქტორანტი
revaz.npcgeorgia@gmail.com
**ევგენი ბარათაშვილი,** სტუ პროფესორი

**რეზიუმე**

პარასპორტსმენთა და სპორტმენეჯმენტის პროფესიონალთა სანდო და ვალიდური ემპირიული კვლევით დაგინდა, რომ შშმ პირთა სპორტმენეჯმენტი ეფექტიანია, პარალიმპიური კომიტეტი აკეთებს ძალიან დიდ საქმეს შშმ პირთა სპორტით დაინტერესების მიზნით და მათი სპორტულ საქმიანობაში ჩართულობის გზით ხელს უწყობს მათ საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრირებას.

პირველ რიგში საჭიროა დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობის მოძიება არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან, არამედ აგრეთვე ბიზნესის და საქველმოქმედო ფონდების სპონსორობით. ამისათვის უნდა გაძლიერდეს პარალიმპიური მოძრაობისა და მისი მიღწევების პიარი (PR), რეგიონების განვითარება, საჭიროა მეტი სპორტული სახეობის განვითარება, მეტი ტურნირი,მეტი აქტივობები და ტურნირებში მონაწილეობა, მათი უკეთესი მართვა მეტი კომუნიკაცია პარასპორტსმენებთან,

ინდივიდუალური საჭიროებების უფრო კარგად გააზრება და ხელშეწყობა, საჩვენებელი თამაშების ჩატარება.

ნაკლოვანებებია პარასპორტსმენთა სავარჯიშო ინფრასტრუქტურის მხრივ. საჭიროა მეტი ძალისხმევა სათანადო დარბაზებისა და სავარჯიშო სივრცეების განვითარებისთვის. მოწესრიგებას მოითხოვს საკადრო პოლიტიკაც, უფრო მეტი ინტენსიურობით უნდა იქნას მოზიდული ინდივიდუალური მწვრთნელები, მათ შორის უცხოელები. პარასპორტის ყველა სახეობას უნდა დაეთმოს თანაბარი ყურადღება, არცერთი პარასპორტსმენი არ უნდა დარჩეს დატოვებული ყურადღების გარეშე, რაც შეიძლება იქნას მიღწეული პარალიმპიური კომიტეტის მენეჯმენტის პროფესიონალური დონის ამაღლებით.

**საკვანძო სიტყვები:** შშმ პირი, პარასპორტსმენი, პარასპორტის მენეჯმენტი, საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტი, სანდო და ვალიდური კვლევა, არასტრუქტურირებული, ღია კითხვარი.

# დაგეგმვა მენეჯმენტის სისტემაში

**DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-97**

**სერგო რუხაძე**
ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის
ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრი
sergi.imedi@gmail.com

**რეზიუმე**

დაგეგმვა განსაზღვრავს წარმოების სისტემის, როგორც მართვის ობიექტისა და სუბიექტის, განვითარების პერსპექტივას, მართვის სისტემაზე აქტიურ მმართველობით ზემოქმედებას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება წარმოების მთელი სისტემის განვითარების ფორმების განსაზღვრა დასახული მიზნის მისაღწევად.

დაგეგმვა ემყარება შემდეგ პრინციპებს: მეცნიერულობა, კომპლექსურობა, ბალანსური გაანგარიშება, პროგნოზირება, გადაწყვეტილებათა მრავალვარიანტობა, ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ნორმატიულობა, რეზერვების შექმნა საწარმოო რისკის შემცირების მიზნით, პროგრამის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელთა აპრობირება, შესრულების სავალდებულო ხასიათი და გეგმის შესრულებაზე გაპიროვნება.

გეგმის შექმნისა და შემუშავების შემდეგ სასარგებლოა მისი მოდელი პრაქტიკის პოზიციებიდან იქნეს გაანალიზებული. შეიძლება წარმოვიდგინოთ შესაძლო პირობები და ვნახოთ, რამდენად არის ის გათვალისწინებული და როგორ მუშაობს გეგმა ასეთ პირობებში.

შემდგომ საჭიროა და აუცილებელი, რომ გეგმა მოყვანილ იქნეს მოქმედებაში, გაკონტროლებული იქნეს მისი რეალიზაციის პროცესი, შეტანილი იქნეს მასში კორექტივები, თუ კი ამის აუცილებლობა წარმოიშვება.

**საკვანძო სიტყვები:** დაგეგმვა, წარმოება, გადაწყვეტილება, ორგანიზაცია, სტრატეგია, ტაქტიკა, რესურსები.

## შესავალი

დაგეგმვა, როგორც ფუნქცია, აუცილებელი კომპონენტია მართვის სისტემის იერარქიის ყველა დონისათვის, ეს იქნება ქვეყნის მეურნეობა, დარგი, გაერთიანება თუ საწარმო, საამქრო, უბანი და ა.შ.

უბნის დაგეგმვის ფუნქციების შესრულებისათვის საკმარისია ერთი თანამდებობრივი პირი - მენეჯერი ან ოსტატი. ამ ფუნქციის შესრულებისათვის რამდენიმე ტიპის გაერთიანებისათვის იქმნება დაგეგმვის ორგანოთა და შემსრულებელთა მთელი სისტემა. მაგრამ დაგეგმვის ტექნოლოგია ერთნაირია მართვის ყველა ობიექტისათვის.

დაგეგმვის დროს განისაზღვრება მისი შესრულებისათვის საჭირო საშულებები და რესურსები. დაგეგმვა გვიჩვენებს არა მარტო იმას, რაც უნდა შესრულდეს საბოლოოდ, არამედ იმასაც, თუ როგორ და როდის უნდა შესრულდეს იგი მთლიანად ან მისი ცალკეული ნაწილები.

გეგმა ყოველთვის დირექტიული დოკუმენტის სახეს უნდა ატარებდეს.

გეგმის საყოველთაოდ მიღებული სახეებია: ხანგრძლივი, 2-3 წლიანი, წლიური და ოპერატიული - უფრო მოკლე პერიოდზე გათვლილი (ერთთვიანი, დეკადური, ერთდღიანი გეგმა - განრიგები და ა.შ.).

დაგეგმვა, როგორც ფუნქცია, მოიცავს:

- წარმოების განვითარების განსაზღვრას;
- დასმული მიზნებისა და ამოცანების გზებსა და მეთოდებს;
- მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

ყოველმხრივ დასაბუთებული დაგეგმვა შესაძლებელია მხოლოდ სრული და სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე, ვინაიდან დაგეგმვა განსაზღვრავს მართვის ობიექტის, საწარმო სისტემის განვითარების ტენდენციებსა და მის მომავალ მდგომარეობას, ინფორმაციაც უნდა იყოს პერსპექტიული და პროგრესული, ყოვლისმომცველი, ზუსტი და სარწმუნო; ასახავდეს საწარმოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომი-

კური მხარეების როგორც ცალკეულ ნაწილებს, ასევე მას, როგორც მთლიან სისტემას.

წარმოების ორგანიზაცია უშუალოდაა დაკავშირებული დაგეგმვასთან.

## ძირითადი ნაწილი

მეცნიერული მართვა ეყრდნობა განვითრების ტენდენციებს, პროგნოზირებას, მოდელირებას. პროგნოზირება და მოდელირება დაგეგმვის ურთიერთდაკავშირებული სახეებია. პროგრამირება კი უნდა განვიხილოთ როგორც საწარმოო სისტემის სისტემური გადაყვანა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, გეგმა-პროგნოზებისა და გეგმა-მოდელების მონაცემების შესაბამისად. პროგრამირების შედგენით გეგმა იღებს გეგმა-პროგრამის სახეს. მასში კონკრეტულადაა წარმოდგენილი საწარმოო სისტემის ყველა მხარის მიზანმიმართული განვითარება, მყარდება სრული შესაბამისობა და კომპლექსურობა. წლიური გეგმა არის გეგმა-პროგრამის ერთ-ერთი სახე, რომელიც განაპირობებს უფრო ხანგრძლივი გეგმების მუდმივ შესრულებას.

საწარმო კოლექტივი მაშინ ასრულებს მის წინაშე დასმულ ამოცანას, როცა იგი დაიცავს გეგმა-პროგრამის დავალებებს.

ორგანიზაცია განიხილება როგორც წარმოების მართვის ერთ-ერთი ფუნქცია. როდესაც საუბარია ორგანიზაციაზე, იგულისხმება ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს გეგმის (პროგრამის) შესრულება ან მისი მიღების სათანადო პირობების შექმნა.

ორგანიზაციის ფუნქციის მიზანია, მოახდინოს სამართავი და მმართველი სისტემების ფორმირება, მათ შორის მყარი კავშირების მიღწევა; ადამიანთა მიერ მანქანა-მოწყობილობების ოპტიმალური გამოყენება. ორგანიზაციის ფუნქციის თავისებურება ისაა, რომ იგი ერთადერთი ფუნქციაა, რომელიც უზრუნველყოფს მენეჯმენტის სხვა ფუნქციების ურთიერთკავშირსა და განხორციელების მაღალ ეფექტს.

წარმოების მატერიალური კომპონენტების გაერთიანება, როგორც წესი, ექვემდებარება წარმოების განსაზღვრული ამო-

ცანების შესრულებასა და მართვის კანონების მოქმედებას.

ორგანიზაციული მუშაობა შეიძლება შევადაროთ წარმოების მართვის სისტემის პროექტირებას, როდესაც იქმნება მართვის პერსპექტიული სისტემის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფორმები. ორგანიზაციის ფუნქცია ქმნის საწარმოს ელემენტე-ბის ურთიერთკავშირის ისეთ წესს, როდესაც მათ შორის ინ-ფორმაციის გაცვლა თვითმიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ გადაწყვეტილების მიღებისა და შემსრულებლამდე დაყვანის საშუალებაა.

ორგანიზაციის ფუნქციის შინაარსში შედის მმართველო-ბითი (მენეჯერის) საქმიანობის შემდეგი სახეები: საწარმოო ქვედანაყოფებისა და მმართველობითი ორგანოების, ქვედა-ნაყოფების ჯგუფების შექმნა; სტრუქტურული ელემენტების (განყოფილებების, სამსახურების, ჯგუფების) ურთიერთმოქმე-დების უზრუნველყოფა; მართვის ორგანოების საქმიანობაში ნორმატივებისა და რეგლამენტირების ნორმების დანერგვით მმართველობით ქვედანაყოფების ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების სისტემის დადგენა.

ეს ფუნქციებია:

1. საკუთრივ წარმოების ორგანიზაცია;
2. მართვის სისტემის ორგანიზაცია;
3. მენეჯმენტის სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიე-რთობათა ორგანიზაცია.

წარმოების სფეროში ორგანიზაციის ფუნქციების შეს-რულება იწვევს საწარმოო ქვედანაყოფების, ანუ საწარმოო სტრუქტურების წარმოქმნას, საწარმოო ქვედანაყოფებს შო-რის ურთიერთკავშირის დადგენას, კადრების გადაადგილებას წარმოების პროცესების თავისებურებათა, აგრეთვე შემსრუ-ლებელთა კვალიფიკაციის და პროფესიული მომზადების დო-ნის მიხედვით.[1]

მართვის ორგანოები იქმნება ორგანიზაციის ფუნქციის შეს-რულების პროცესში. მუშავდება დებულებანი ქვედანაყოფების

**1 ევგენი ბარათაშვილი, ლარისა თაკალანძე, მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2010, გვ. 173.**

შესახებ, დგინდება ურთიერთკავშირები მმართველობით ქვედანაყოფებს შორის, ხდება მენეჯერთა კადრების განაწილება ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით, მმართველობით შრომაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების დაჩქარება, მუშავდება თანამედროვე ინსტრუქციები, დგინება მართვადობის ნორმა თითოეული შემსრულებლისა და მენეჯერისათვის.

ორგანიზაციის ფუნქცია მოიცავს წარმოების ორგანიზაციული ხასიათის პრობლემების კვლევას, მენეჯმენტში პარალელიზმისა და დუბლირების შემთხვევების გამოვლენასა და აღმოფხვრას, მენეჯერთა შრომის მუდმივ სრულყოფას.

გეგმა შეიძლება იყოს მარტივი ან რთული, დეტალიზებული ან ზოგადი. ყველაფერი დამოკიდებულია მიზანზე და კონკრეტულ საქმიანობაზე. დაგეგმვა ბიზნესში, ჩვეულებრივ, საკმაოდ რთული ფაქტორების სიმრავლეს მოიცავს. თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, რა უნდა გაკეთდეს მიზნის მისაღწევად, ხოლო შემდეგ შესაბამისად უნდა იქნეს აღწერილი ეს მოქმედებები ან ოპერაციები. ასეთი აღწერის ფორმას ხშირად მონაცემები წარმოადგენენ. მაგრამ გეგმა ყოველთვის არაა მონაცემების ერთობლიობა, როგორც ამას ზოგჯერ მიიჩნევენ.

გეგმაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რა სახსრებით ხდება რესურსების შეძენა და როგორ გამოიყენება იგი შემდგომში. აქ აუცილებელია ბაზრის მოთხოვნის შეფასებაზე ორიენტირება. სწორედ ეს უნდა გახდეს დაგეგმვის განმსაზღვრელი ფაქტორი. ასეთი ინფორმაციის მიღება სწრაფად და იოლად არ ხერხდება, მას საკმაო ძალისხმევა სჭირდება. მაშასადამე, დაგეგმვის დაწყებამდე ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს, რაც კი აუცილებელი და შესაძლებელია საქმიანობაში, ხოლო, თუ რა იქნება გათვალისწინებული, როგორი დეტალები და ფაქტორები - ეს გამოცდილებაზე, ცოდნაზე, ინტუიციაზე და მიზნის დამუშავების სიღრმეზეა დამოკიდებული. გეგმაში ჩართული ყველა მოქმედება, რომლებსაც მიზნის მიღწევისკენ მივყავართ, საგულდაგულოდ უნდა იყოს მოფიქრებული და გააზრებული.

ჩვეულებრივ, დაგეგმვა ორ ტიპად იყოფა. პირველი ტიპი -

სტრატეგიული დაგეგმვაა. სტრატეგიულ გეგმებს ხშირად განიხილავენ როგორც ზოგადს, გეგმის უმაღლეს დონეს. სტრატეგიული დაგეგმვა გულისხმობს კონკურენციის, რესურსების, ტექნოლოგიის დონის, ახალი ნაწარმის დამატებითი ეფექტიანობის სერიოზულ ანალიზს.

ტაქტიკური დაგეგმვა სტრატეგიულ დაგეგმვას მოსდევს და შეიძლება განიხილებოდეს დაგეგმვის საერთო პროცესის მეორე ეტაპად. ტაქტიკა ნიშნავს, თუ როდის უნდა მოვახდინოთ სტრატეგიული გეგმის რეალიზების ღონისძიებების შექმნა და შემუშავება.

მენეჯერი ყოველთვის რისკს ეწევა. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც მას ყოველდღიურად უწევს, ხელს უწყობს მის წარმატებას ან წარუმატებლობას. მენეჯერი, რომელიც ბევრ შეცდომას უშვებს, სავარაუდოდ, მალე დაკარგავს თავის სამუშაოს. დაგეგმვის უუნარობა მენეჯერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაკლია.

რესურსების დაგეგმვა მენეჯერის საქმიანობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სამწუხაროდ, მენეჯერი ყოველთვის არ ფლობს სრულ ინფორმაციას სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ის მუდმივად აგროვებს მას, მაგრამ არასდროს არ გააჩნია მომავლის აბსოლუტური ხედვა.

მენეჯერს უნდა ჰქონდეს ურთიერთდამოკიდებულება უამრავ ადამიანთან, რათა მან შეძლოს გეგმის შესამუშავებლად ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება. როგორც წესი, მენეჯერი ეყრდნობა მარკეტინგის განყოფილებას, რათა გაიგოს, თუ რას წარმოადგენს ბაზარი. ასევე ეყრდნობა საფინანსო განყოფილებას, ფინანსებზე სრული ინფორმაციის მიღების მიზნით, საწარმოო განყოფილებას, რომელიც მას უზრუნველყოფს მონაცემებით საწარმოო სიმძლავრეზე და დანახარჯებზე, ასევე ეყრდნობა ბუღალტერიას და რიგ სხვა სამსახურებს და ქვედანაყოფებს.

დანახარჯებს, როგორც წესი, აანალიზებს საფინანსო განყოფილება და ბუღალტერია. ფაქტიურად, ეს სამსახურები აწარმოებენ ყველა გაანგარიშებას, რომელიც ახასიათებს ციფრებში გეგმის განხორციელების შესაძლებლობას.

## დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, დაგეგმვა არის მოქმედებების განსაზღვრის პროცესი, რომელიც აუცილებელია მიზნების მისაღწევად. ეს პროცესი ერთი შეხედვით, მარტივი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში დაგეგმვის პროცესი ძალიან ღრმა და რთულია. ცხადია, თუ მას მივუდგებით ისე, როგორც საჭიროა. გეგმა აუცილებელია როგორც ფირმის სამართავად, ასევე თითოეული ადამიანის საქმიანობისთვის, თუ მას რეალურად სურს წარმატების მიღწევა ცხოვრებაში. გეგმა - ეს არის საქმიანობის ორგანიზება დასახული მიზნის მისაღწევად.

დაგეგმვის პროცესი ზედმიწევნით რთული და ძნელი ამოცანაა, მაგრამ არცერთ კომპანიას არ შეუძლია იმოქმედოს მის გარეშე. წარმატებული მენეჯერი ყოველთვის რთავს თანამშრომლებს დაგეგმვის პროცესში. დაგეგმვის პროცესში საჭიროა ადამიანების ჩართვა, რათა მათ ესმოდეთ გეგმა და აღიქვამდნენ მას, როგორც საკუთარ შემოქმედებას, ავლენდნენ მზადყოფნას მის მხარდასაჭერად. ეს არა მარტო გეგმის შეცნობის, არამედ აგრეთვე პირადი მონაწილეობის და მოტივაციის პრობლემაა, რაც ასე აუცილებელია გეგმის რეალიზაციისათვის.

გეგმის შემუშავებაში თანამშრომლების მონაწილეობა განსაზღვრავს გეგმის ხარისხს, რამდენადაც იგი პრობლემებში ჩაღრმავების, სხვადასხვა მოსაზრების გათვალისწინების, ამა თუ იმ ამოცანების მიმართ დამოკიდებულების განჭვრეტის საშუალებას იძლევა.

გეგმის შექმნისა და შემუშავების შემდეგ სასარგებლოა მისი მოდელი პრაქტიკის პოზიციიდან იქნეს გაანალიზებული.

შემდგომ საჭიროა და აუცილებელი გეგმა მოყვანილ იქნეს მოქმედებაში, გაკონტროლებული იქნეს მისი რეალიზაციის პროცესი, შეტანილი იქნეს მასში კორექტივები, თუ კი ამის აუცილებლობა წარმოიშვება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ. ასათიანი, მენეჯმენტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი 1995.

2. ე. ბარათაშვილი გ. მესტვირიშვილი, გ. ჯავახაძე, მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა „ზედაშე“, 1993.

3. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება, გამომცემლობა „ინოვაცია“, თბილისი 2007.

4. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2010.

5. მ. გოცირიძე, მენეჯმენტის სამრეწველო ფირმის მართვის საფუძვლები, ნაწილი I, თბილისი, 1995.

6. ც. ლომაია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი, 2009.

7. გ. ნაკაიძე, საინოვაციო მენეჯმენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2004.

8. მ. ტულუში, ნ. ყირიმლიშვილი, მენეჯმენტი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინტიტუტი, თბილისი, 2002.

9. თ. ხომერიკი, მენეჯმენტი, „ინოვაცია“, თბილისი, 2006.

**REFERENCES:**

1. R. Asatiani - Management, Georgian Agrarian University, Tbilisi, 1995;

2. E. Baratashvili, G. Mestvirishvili, G. Javakhadze - Foundations of Management, Zedashe Publishing, Tbilisi, 1993;

3. E. Baratashvili, L. Takalandze, A. Abralava - Management and Administration, Innovation Publishing, Tbilisi, 2007;

4. E. Baratashvili, L. Takalandze - Foundations of Management, Tbilisi, 2010;

5. M. Gotsiridze - Foundations of the management of manufacturing company, Part I, Tbilisi, 1995;

6. L. Tsomaia - Human Resources Management, Tbilisi, 2009;

7. G. Nakaidze - Innovative Management, Georgian Technical University, Tbilisi, 2004;

8. M. Tugushi, N. Kirimlishvili - Management - Tbilisi State Institute of Economic Relations, Tbilisi, 2002;

9. T. Khomeriki - Management, “Innovation”, Tbilisi, 2006.

## PLANNING IN THE MANAGEMENT SYSTEM

**Sergo Rukhadze, MS**
Niko Muskhelishvili Technical
University of Kutaisi
sergi.imedi@gmail.com

### RESUME

Planning determines the development perspective of manufacturing system as an object and subject of the management, active managerial impact over the management system, by means of which the determination of whole manufacturing system`s development forms is implemented to reach the goal set.

The planning relies on the following principles: scientific character, complexity, balance calculation, projecting, multiple variants of decisions, adjustment of optimal variant, normativity, formation of reserves in order to decrease the manufacturing risks, approval of quantitative and qualitative indicators of the program, mandatory character of fulfilment and personification for fulfilment of the plan.

Since the creation and development of the plan, it is beneficial to analyze its model from the position of practice, we may imagine the possible condition and see if how much it is foreseen and how the plan works under such conditions. Then it is necessary to put the plan in action, control its realization process, implement corrections in it (in case of necessity).

**Keywords**: planning, manufacture, decision, resolution, organization, strategy, tactics, resources.

# საქართველოს უმთავრესი საგარეო საფრთხე და დამზღვევი საგარეო ორიენტირები

DOI:10.36962/ECS105/11-12/2022-106

**ჯემალ გახოკიძე**
პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
პროფესორი, სენატის თავმჯდომარე
**senati@gtu.ge**

**ნუკრი გელაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის დოქტორანტი
nogelashvili@gmail.com

**რეზიუმე**

კაცობრიობის დასაბამიდან, გადარჩენაზე და შესაბამისად უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი იყო. ისტორიას ახსოვს სახელმწიფოები და იმპერიები, რომლებმაც არსებობა სწორედ ომებისა და დაპყრობის შედეგად შეწყვიტეს. უახლესი წარსული ცხადყოფს, რომ საქართველოსათვის უმთავრესი საფრთხე იმპერიალისტური ზრახვების მქონე არაკეთილმოსურნე მეზობელი რუსეთის ფედერაციაა. ეს ფაქტი ჩვენი ქვეყნის კონცეპტუალურ დოკუმენტებში მკაფიოდაა დაფიქსირებული.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მე-15 საუკუნიდან მოყოლებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპები და ის პრობლემები, რაც ამ ურთიერთობებმა მოუტანეს საქართველოს. აღწერილია რუსეთის დამპყრობლური

პოლიტიკა და მისწრაფებები, სულ მუდმივად გააფართოვოს საზღვრების ბუნებრივ-გეოგრაფიულად დაცული ტერიტორიების დაუფლების ხარჯზე.

ავტორები მიმოიხილავენ სამეცნიერო ლიტერატურაში გადმოცემულ, რუსული პოლიტიკის ტრადიციულ კონცეფციებს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში იღებენ სათავეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ევრაზიონიზმზე“ მეტად რადიკალურ და ექსტრემისტულ მიმართულებას „რუსიზმს“, იგივე „რაშიზმს“, რომელიც ბოლო პერიოდში რუსეთის მმართველი რეჟიმის პოლიტიკური იდეოლოგიის არაოფიციალური სახელწოდებაა.

რუსეთის თანამედროვე იდეოლოგების ხედვებში დევს სამართლის უარყოფა და ძალის პრიორიტეტულობის მტკიცება, უპატივცემულობა მეზობლების სუვერენიტეტის მიმართ და თვითდამკვიდრება განუკითხაობისა და ძალადობის ხარჯზე. რუსიზმის იდეოლოგიის ცენტრს წარმოადგენს ნაციონალური ლიდერის კულტი, რომელსაც შესწევს ძალა დაუბრუნოს რუსეთს დიდება. ეს დიდება „ისტორიული რუსეთის“, ანუ საბჭოთა კავშირის საზღვრებში მის აღდგენაში მდგომარეობს, რაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

რუსეთის ხელმძღვანელობა იყენებს ჯარს, როგორც ერთ-ერთს უამრავ ინსტრუმენტთა შორის, რათა ჩამოაყალიბოს თავისი „ახლო საზღვარგარეთული“ და გლობალური პოზიციები. მას ფართო ინტერესები აქვს სამხრეთ კავკასიაში სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ენერგეტიკული თვალსაზრისით. მაგრამ, რუსეთის ფედერაციის დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ობიექტურად, მოქმედებს ნატოს მიმართ სამხედრო და ეკონომიკური არასრულფასოვნების პოზიციიდან. ცხადია, რომ მოცემულ ეტაპზე „რუსიზმის“ და შესაბამისად რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს შემაკავებელ ძალად სწორედ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია გვევლინება.

ავტორების თანახმად, იქ სადაც მსოფლიო წესრიგის განმსა-

ზღვრელი, ძლიერი სახელმწიფოები მიილტვიან შექმნან ალიანსი, რომელიც მათი ცივილიზაციური არჩევანის დაცვის, მათი თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტი იქნება, საქართველოს მიერ მკაფიო საგარეო ორიენტირის განუცხადებლობა დამღუპველი აღმოჩნდება. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ საქართველო ვალდებულია მკაფიოდ გამოხატოს მისი საგარეო კურსი. ე. წ. დაბალანსებული პოლიტიკა და დიდი ქვეყნების ურთიერთსაპირისპირო ინტერესების საკუთარ სამსახურში ჩაყენების სურვილი ილუზორული მიდგომაა, რომელიც შესაძლოა ოდესღაც მუშაობდა კიდეც.

**საკვანძო სიტყვები:** უსაფრთხოება, აგრესია, რუსეთის ფედერაცია, რუსიზმი, ნატო.

## შესავალი

კაცობრიობის დასაბამიდან, გადარჩენაზე და შესაბამისად უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი იყო. ისტორიას ახსოვს სახელმწიფოები და იმპერიები, რომლებმაც არსებობა სწორედ ომებისა და დაპყრობის შედეგად შეწყვიტეს. ამ ისტორიების გაანალიზება ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევებში, ასეთი ბედის გაზიარების უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი, მათი გეოპოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული შეცდომები იყო.

მოსალოდნელი უნიპოლარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საფარქვეშ, რუსეთმა ბოლო პერიოდში მთელი რიგი აგრესიული ქმედებები განახორციელა, რამაც გარკვეული კორექტივები შეიტანა კონტინენტის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში და დღის წესრიგში დააყენა უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების აუცილებლობა. 1992-1993 წლებში, რუსეთის მხრიდან ინსპირირებულმა ე. წ. აფხაზეთის ომმა, ასევე 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან საქართველოსადმი განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ და ჯამში საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციამ; 2014 წელს რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიამ და დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების ოკუპაციამ; და ბოლოს 2022 წელს თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და ომის

დაწყებამ უკიდურესად გააუარესა უსაფრთხოების გარემო რეგიონში. რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების არაერთგზის დარღვევამ, ადამიანის უფლებათა უხეშმა უგულვებელყოფამ, ეთნიკური დისკრიმინაციისა და სხვადასხვა უკანონო შეზღუდვების ხელშეწყობამ, სამხედრო ძალის და ჰიბრიდული ომის პოლიტიკურ იარაღად გამოყენებამ საფრთხე შეუქმნა არა მარტო რეგიონის, არამედ მთლიანად ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას. ის, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს ცივილიზებული სამყაროს უმეტესი ნაწილისათვის, ნათლად გამოჩნდა 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობისას, რაც გამოიხატებოდა მსოფლიოს ათობით ქვეყნის დარაზმვაში რუსეთის წინააღმდეგ.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

2022 წლის მოვლენების ფონზე, როდესაც მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა და საერთაშორისო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ რუსეთი ჩადის ომის დანაშაულს და მის მიმართ დაწესებულია უპრეცედენტო სანქციები, როდესაც რუსეთი მიჩნეულია მოძალადე, არადემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომლისთვისაც საერთაშორისო სამართლის ნორმები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, როდესაც ნატოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს წევრ ქვეყნებს გამოაცხადონ რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ[1], ჩვენნაირი პატარა ქვეყნისათვის რუსულ ორბიტაზე ყოფნა დაღუპვის ტოლფასი იქნება.

ისტორიამ არაერთხელ გვასწავლა მწარე გაკვეთილი და დაგვანახა რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობის რეალური მოტივები, მაგრამ მაშინდელ მსოფლიოში საქართველო მარტოობისთვის იყო განწირული და დიდ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროებზე ჭიდილის პროცესში ისევ „ერთმორწმუნე“ რუსეთისკენ იხრებოდა.

---

**1 ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ გამოაცხადა - https://ubn.news/the-nato-parliamentary-assembly-has-declared-russia-a-terrorist-state/**

უნდა ითქვას, რომ რუსეთი ისტორიულად ყოველთვის არასტაბილური და არაპროგნოზირებადი იყო. თუ ჩვენ გადავხედავთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, დავრწმუნდებით, რომ მე-15 საუკუნიდან მოყოლებული საქართველო ცდილობდა დიპლომატიური ურთიერთობები დაემყარებინა რუსეთთან, რათა მიელო მისგან გარკვეული დახმარება მუსლიმი დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ ყოველ ჯერზე ადგილი ქონდა იმედგაცრუებას და რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ერთგულების ფიცის მოთხოვნას, ფუჭი დაპირებების სანაცვლოდ. ასე მაგალითად, ქართლის მეფე ვახტანგ VI შეეცადა შეეცვალა საქართველოში უკვე ფესვგადგმული, რუსეთის მიმართ უნდობლობის პოლიტიკა და საფრანგეთის მხრიდან დახმარებაზე უარის მიღების შემდეგ, დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა რუსეთთან. რუსეთი საფრანგეთისგან განსხვავებით დაპირდა ვახტანგს, რომ აღმოუჩენდა სამხედრო დახმარებას და მოუწოდა მას შეეგროვებინა ქართლის ლაშქარი სპარსეთში გასალაშქრებლად. პეტრე პირველთან მოლაპარაკებებში მონაწილეობას ღებულობდნენ ძმები პეტრე და მოსე ამბერსაძეები, მოსკოვის არჩილის ემიგრაციის წევრები[1]. პეტრე პირველმა საქართველოში თავის წარმომადგენლად ივანე ტოლსტოი გაგზავნა. 1722 წელს ვახტანგმა შეკრიბა 40 000 მეომარი და განჯაში ჩავიდა, სადაც გეგმის თანახმად უნდა შეერთებოდა რუსეთის არმიას სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივად საომრად. პეტრე პირველმა არ შეასრულა დანაპირები და ბედის ანაბარად მიატოვა ვახტანგი, ლაშქრობა არ შედგა. რუსეთის ღალატმა ქართლის სამეფო პირისპირ დატოვა გამძვინვარებული ირანთან. შაჰის ბრძანებით 1723 წელს ჩრდილოკავკასიელებისგან შემდგარმა ლაშქარმა აიღო და გადაწვა თბილისი, იმავე წელს ოსმალო დამპყრობლები შემოიჭრნენ ქართლში, აიღეს თბილისი და თორმეტი წლის განმავლობაში ჰქონდათ ქართლი ოკუპირებული. რუსეთის ნდობა ვახტანგს და მის შთამომავლებს მეფობის სამუდამოდ დაკარგვად დაუჯდათ.

1 ვ. ტატიშვილი „ქართველები მოსკოვში“, მე-2 შევს. და გადამუშავ. გამოცემა. თბ., 1959

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია გაჯერებულია მსგავსი და უარესი შემთხვევებით. ისტორია ინახავს რუსეთთან მიღწეული შეთანხმებების რუსეთის მხრიდან არაერთგზის დარღვევისა და ცალმხრივად გამოყენების ფაქტებს, იქნება ეს გეორგიევსკის ტრაქტატი თუ ელაზნაურის ტრაქტატი. მათ, ვისაც რუსეთი საქართველოს „ნათელი მომავლის" გარანტად მიაჩნია, ვურჩევდი გულდასმით გაეცნონ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიას დასაწყისიდან დღემდე.

1995 წელს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი ესტონეთიდან ჩამოსულ „ესკი ჯგუფთან" ინტერვიუში ამბობს, რომ „მთელი ისტორიის მანძილზე რუსეთი უმწეო ერებს ირჩევს გასანადგურებლად. რუსეთის ხელისუფლებას როგორც კი გაუჭირდებოდა მაშინვე ხელშეკრულებებს აფორმებდა, რომელსაც შემდეგ არასოდეს იცავდა"[1].

სწორედ ასე მოიქცა რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში 1920 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთი ეკონომიკური კრიზისის პარალელურად ომს აწარმოებდა პოლონეთთან, რომელშიც წითელი არმიის ნაწილები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. იმავდროულად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ სწრაფი და ეფექტური სამხედრო მობილიზაციის ფონზე, წითელი არმია საქართველოს ფრონტზეც ვერანაირ წინსვლას ვერ ახერხებდა. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და საქართველოს წარმომადგენელმა, დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის. ხელშეკრულებაში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ რუსეთი ყოველ პირობის გარეშე აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და თავის ნებით ხელს იღებდა ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომე-

**1 სლავური ერების გაერთიანებას, რუსიზმს უკრაინელები არასოდეს შეეგუებიან - დუდაევი რუსეთის გეგმებზე - https://batumelebi.netgazeti.ge/news/400166/**

ლიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს და მის მიწა-წყლის შესახებ. რუსეთი ხელს იღებდა საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე. ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საზღვრების საკითხი გადაწყვეტილი იყო საქართველოს სასარგებლოდ და რომ მთელი ბათუმის ოლქი შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში[1].

1921 წლის 25 თებერვალს კი თბილისის თავზე უკვე წითელი დროშა ფრიალებდა. ესაა საქართველო-რუსეთის ისტორიის კიდევ ერთი მონაკვეთი, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ იცავს რუსეთი შეთანხმებებს. 1920 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე რუსეთმა წარმატებით დაასრულა სომხეთის ოკუპაცია, დაძლია ბლოკადა, გადაწყვიტა მთელი რიგი სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხი და რა თქმა უნდა საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულება მას აღარც კი გახსენებია.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება რუსეთის „ჰუმანურ“ და „კეთილმეზობლურ“ განწყობებზე, თუ გავეცნობით რუსეთის დამოკიდებულებას სხვა კავკასიელი ერების მიმართ. რუსეთის მოღალატეობრივი, ორპირი და დამპყრობლური პოლიტიკა - ესაა ის „მოსავალი“ რასაც ყოველ ჯერზე იმკიდნენ მისი მეზობელი სახელმწიფოები.

რუსეთის პოლიტიკური კლასისათვის დამპყრობლური მისწრაფებები რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების თანხვედრი მოვლენაა. მოყოლებული ივანე I „კალიტა“-დან, რუსეთში ყველა მთავრის უპირველეს ამოცანას განეკუთვნებოდა ტერიტორიების გაფართოება. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით რუსეთის ისტორია უპირველესად ბუნებრივ-გეოგრაფიულად დაცული ტერიტორიების დაუფლების ისტორიაა, უფრო მეტიც, რუსეთისათვის იგი უსაფრთხოების უმთავრესი საშუალებაა. მაგრამ მისწრაფება უსაფრთხო საზღვრებისაკენ, ნიშნავს სხვა სახელმწიფოების დამორჩილებას, რაც იმპერიების სისტემის მახასიათებელია. ასე, რომ ტერიტორიების გაფა-

**1 7 მაისი, 1920 წ. - საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა - https://civil.ge/ka/archives/350635**

რთოებით ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა „წმინდა“ იმპერიალისტური ინტერესია[1].

რუსეთის ამგვარი პოლიტიკური კულტურის წარმოშობა აღწერილია 1946 წლის „გრძელი ტელეგრამა“-ში, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა მოსკოვში მაშინდელი აშშ-ის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ჯორჯ კენანმა: „მსოფლიო საკითხებზე კრემლის ნევროზული ხედვის საფუძველი არის ტრადიციული და ინსტინქტური რუსული დაუცველობის გრძნობა. თავდაპირველად, ეს იყო მშვიდობიანი, სოფლად მეურნე ხალხის უმწეობის შეგრძნება, რომლებიც ცდილობდა ეცხოვრა უზარმაზარ დაუცველ დაბლობზე, სასტიკი მომთაბარე ხალხების მეზობლად. რადგან რუსეთი შევიდა კონტაქტში ეკონომიკურად უფრო განვითარებულ დასავლეთთან, ამას დაემატა შიში უფრო კომპეტენტური, უფრო ძლიერი, უფრო მაღალორგანიზებული საზოგადოებების ამ მხარეში. მაგრამ დაუცველობის ეს უკანასკნელი ტიპი უფრო მეტად აწუხებდა რუს მმართველებს, ვიდრე რუს ხალხს; რადგან რუსეთის მმართველები მუდმივად გრძნობდნენ, რომ მათი მმართველობა იყო შედარებით არქაული ფორმით, მყიფე და ხელოვნურ ფსიქოლოგიურ საფუძველზე დამყარებული, ვერ უძლებდა შედარებას ან კონტაქტს დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებთან. ამ მიზეზით მათ ყოველთვის ეშინოდათ უცხოების შეღწევის, ეშინოდათ დასავლურ სამყაროსა და საკუთარ სამყაროს შორის პირდაპირი კონტაქტის, ეშინოდათ იმის, თუ რა მოხდებოდა, თუკი რუსები ისწავლიდნენ სიმართლეს გარესამყაროზე, ან თუ უცხოელები გაიგებდნენ სიმართლეს მათ სამყაროზე. და მათ ისწავლეს უსაფრთხოების ძიება, რაც გამოიხატება მომთმენ, მაგრამ სასიკვდილო ბრძოლაში, მეტოქე ძალის ტოტალურ განადგურებამდე, მასთან შეთანხმებასა და კომპრომისზე წასვლის დაუშვებლობაში“[2].

---

**1 ნათია კაჭარავა - საქართველოს საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები 327.001.3 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 1075, საქართველო, 2011 წ. გვ. 56-57**

**2 The Long Telegram by George Kennan, February 22, 1946 - https://teachingamericanhistory.org/document/the-long-telegram/**

ბატონი რევაზ მიშველაძე თავის ნაშრომში „საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო“ ნათლად აღწერს თუ რა „სიკეთე“ მოუტანა რუსეთმა საქართველოს მთელი მისი ისტორიის მანძილზე. სწორედ რუსეთის დამსახურებაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლა და მფარველობის მომლოდინე ქვეყნის რუსეთის გუბერნიად გამოცხადება; ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და სახელმწიფო ენად რუსულის დაწესება; გადამწყვეტ ბრძოლებში არაერთგზის მიტოვება და საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება. ეს არასრული ჩამონათვალია იმ დამოკიდებულებისა, რასაც რუსეთი იჩენდა და იჩენს საქართველოს მიმართ. „როგორც ვხედავთ, საქართველოში პარპაშის ორასზე მეტი წლის მანძილზე ჩვენ რუსული ხიშტისგან არავითარი სიკეთე არ გვახსოვს, ხოლო 1991-2008 წლების სადამსჯელო ექსპედიციებით და ქართველ სამშობლოს დამცველთა უმოწყალოდ დაღვრილი სისხლით რუსეთმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი ნამდვილი მეგობარი და შემწე კიდევ კარგა ხანს ვერ იქნება“[1].

სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება ტრადიციული რუსული პოლიტიკური კონცეფციები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში იღებენ სათავეს. ასე მაგალითად, მე-19 საუკუნეში ე. წ. „ზაპადნიკები“-სთვის იდეალს დასავლური სამყარო, დასავლური განვითარების მოდელი და კულტურა წარმოადგენდა[2]. მათ საწინააღმდეგოდ, „სლავიანოფილები“ ხაზს უსვამდნენ რუსი ერის და მისი ტრადიციული კულტურის უნიკალურობას. მათი მსოფლმხედველობა გაჯერებული იყო ქსენოფობიური ელემენტებით. მთავარი საფრთხე კი სწორედ რუსული კულტურის დასავლურ კულტურასთან ასიმილაცია იყო[3].

**1 რევაზ მიშველაძე, „საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო“, გამომც. „იურიდიული სამყარო“, თბ. 2018, გვ. 149**

**2 Классическое западничество: концепция цивилизационного развития России в Новое время - https://www.dissercat.com/content/klassicheskoe-zapadnichestvo-kontseptsiya-tsivilizatsionnogo-razvitiya-rossii-v-novoe-vremya**

**3 Философия славянофилов в современной российской историко-философской литературе - https://www.dissercat.com/content/filosofiya-slavyanofilov-v-sovremennoi-rossiiskoi-istoriko-filosofskoi-literature**

მოგვიანებით ჩამოყალიბებული კონცეფცია „ევრაზიონიზმი“ რომლის ძირითადი იდეური სულის ჩამდგმელი ალექსანდრე დუგინია. აღნიშნული კონცეფცია, როგორც ფილოსოფიურ-პოლიტიკური მიმართულება ხაზს უსვამს რუსულენოვანი ხალხების კულტურულ მემკვიდრეობას ევრაზიის სტეპების მომთაბარე იმპერიებთან. ევრაზიონისტები ისევე როგორც სლავიანოფილები გამოირჩევიან ანტიდასავლური ხედვებით. მათ უარყვეს სლავური კულტურულ-ისტორიული ტიპის არსებობა და თვლიან, რომ რუსულ კულტურასთან გაცილებით ახლოს იდგა თურანული (ურალ-ალტაი, *მონღოლური*) წარმოშობის ხალხის კულტურა, ვიდრე დასავლეთ სლავური ერების (ჩეხები, პოლონელები) კულტურა. „ევრაზიონისტები“ ეჭვ ქვეშ აყენებდნენ კიევის რუსეთის როლს და მნიშვნელობას თანამედროვე რუსეთის ჩამოყალიბებაში, ხოლო სსრკ-ს მონღოლური იმპერიის გეოპოლიტიკურ გაგრძელებად მიიჩნევდნენ. მისი ძალისხმევით „ევრაზიონიზმი“ გახდა თანამედროვე რუსეთის მთავარი იდეოლოგია საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით[1].

ბოლო პერიოდში სულ უფრო ინტენსიურად ვხვდებით ტერმინს „რუსიზმი“, რაც ევრაზიონიზმთან შედარებით კიდევ უფრო რადიკალური და ექსტრემისტული მიმართულებაა. „რუსიზმი“, იგივე „რაშიზმი“, ესაა ბოლო პერიოდში რუსეთის მმართველი რეჟიმის პოლიტიკური იდეოლოგიის არაოფიციალური სახელწოდება, რომელიც რუსეთის „განსაკუთრებული ცივილიზაციური მისიის“ ყალბ საფუძვლებს ეფუძნება. „რუსიზმი“, სიტყვების „რუსეთი“ და „ფაშიზმი“-ს გაერთიანების შედეგად მიღებული, ხელოვნურად ნაწარმოები სახელწოდებაა იდეოლოგიისა, რომელიც წარმოადგენს ტოტალიტარიზმისა და ფაშიზმის სიმბიოზს და ეფუძნება რუსეთის ფედერაციის ბარბაროსულ გეოპოლიტიკას, მიმართულს სხვა სახელმწიფოების

**1 ამირან ხევცურიანი, რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, 327.001.23, საქ. ტექ. უნ. თბილისი, 0175, საქართველო, თებერვალი 2019 წ. გვ. 36-38**

ტერიტორიების ოკუპაციისა და ანექსიისადმი[1]. ხშირ შემთხვევაში რუსეთის მხრიდან ამგვარ მოქმედებას სარჩულად „რუსული ტერიტორიების შეგროვება, გაერთიანება" უდევს.

ტერმინი „რუსიზმი" პირველად 1868 წელს ახსენა გერცენმა თავის ერთ-ერთ რომანში, რუსოფილობის ექსტრემისტული მიმართულების აღსანიშნავად. აღნიშნულმა ტერმინმა ფართო გავრცელება 2008 წელს, საქართველოს მიმართ რუსული აგრესიის დროს ჰპოვა არაოფიციალურ წრეებში. ამ ტერმინის გავრცელების განმეორებითი ტალღა კი 2014 წელი იყო და დღემდე აქტუალურად გამოიყენება.

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩკერიის ყოფილი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი „რუსიზმს" შემდეგნაირად აღწერს - „რუსიზმი არის მიზანთროპული (კაცთმოძულე) იდეოლოგიის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც დაფუძნებულია დიდ ძალთა შოვინიზმზე, სულიერების სრულ ნაკლებობასა და უზნეობაზე. იგი განსხვავდება ფაშიზმის, რასიზმის, ნაციონალიზმის ცნობილი ფორმებისგან თავისი განსაკუთრებული სისასტიკით როგორც ადამიანის, ისე ბუნების მიმართ. მოქმედების პრინციპია ყველაფრის და ყველას განადგურება, გადამწვარი მიწის ტაქტიკა. იგი გამოირჩევა მსოფლიო ბატონობის მანიის შიზოფრენიული ფორმით. ახასიათებს მონური ფსიქოლოგია, პარაზიტირებულია ცრუ ისტორიაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ჩაგრულ ხალხებზე. რუსიზმს ახასიათებს მუდმივი პოლიტიკური, იურიდიულ-სამართლებრივი და იდეოლოგიური ტერორიზმი"[2].

რუსიზმის საფუძველში, რომელიც უკვე სრულად ჩამოყალიბდა ოფიციალურ იდეოლოგიად, დევს სამართლის ძალის უარყოფა და ძალის უფლების მტკიცება, უპატივცემულობა მეზობლების სუვერენიტეტის მიმართ და თვითდამკვიდრება განუკითხაობისა და ძალადობის ხარჯზე. მთლიანობაში ეს თვისება ახასიათებს რუსეთის ყველა ხელისუფლებას და იგი ოქროს ურდოსგანაა მემკვიდრეობით მიღებული. რუსიზმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს რუსული მართლმადიდებ-

**1 Рашизм (идеология) - https://cutt.ly/02LmuDV**
**2 https://vk.com/wall-11019260_333858**

ლური ეკლესიის იდეოლოგია რუსების, როგორც „ღვთის რჩეულთა“ ერის შესახებ. რუსიზმის იდეოლოგია ეფუძნება დასავლური დემოკრატიისადმი სიძულვილსა და შურს. მის ცენტრს წარმოადგენს ნაციონალური ლიდერის კულტი, რომელსაც შესწევს ძალა დაუბრუნოს რუსეთს დიდება[1].

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებულ განცხადებებში ნათლად ჩანს „რუსიზმის“ დედა აზრი. „რად გვინდა ისეთი მსოფლიო, სადაც არ იქნება რუსეთი“, ასე განმარტა მან ბირთვული იარაღის გამოყენებით გამოწვეული გლობალური კატასტროფის შესაძლებლობა[2]. იგი საბჭოთა კავშირის დაშლას ტრაგედიად აფასებს და განმარტავს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა სხვა არაფერია თუ არა ისტორიული რუსეთის დაშლა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა[3].

ყოველივე ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთის მუდმივად მიისწრაფის „დაკარგული“ ტერიტორიების აღდგენისა და ახალი ტერიტორიების შემოერთებისაკენ, რაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

მოცემულ ეტაპზე „რუსიზმის“ და შესაბამისად რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს შემაკავებელ ძალად სწორედ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია გვევლინება. რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ობიექტურად, მოქმედებს ნატოს მიმართ სამხედრო და ეკონომიკური არასრულფასოვნების პოზიციიდან. ეს ართულებს რუსეთის მისწრაფების მიაღწიოს, გახდეს შეუცვლელი, მთავარი საერთაშორისო მოთამაშე, რომელთანაც უნდა ჰქონდეთ კონსულტაცია ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე. რუსეთის ხელმძღვანელობა იყე-

**1 Рашизм (идеология) -https://cutt.ly/M2Lmh5W**

**2 Путин: "Зачем нам такой мир, если не будет России"? - https://www.svoboda.org/a/29084688.html**

**3 Путин назвал распад СССР трагедией и «распадом исторической России» - https://www.rbc.ru/politics/12/12/2021/61b5e7b79a7947689a33f5fe**

ნებს ჯარს, როგორც ერთ-ერთს უამრავ ინსტრუმენტთა შორის, რათა ჩამოაყალიბოს თავისი „ახლო საზღვარგარეთული“ და გლობალური პოზიციები. ის ამას აკეთებს ისე, რომ არ გამოიწვიოს ნატოსთან სრულმასშტაბიანი, გახანგრძლივებული და კონვენციური კონფლიქტის პროვოცირება, რადგან თითქმის გარდაუვალი იქნებოდა რუსეთის მძიმე მარცხი, ალიანსის მნიშვნელოვანი რიცხობრივი და ეკონომიკური უპირატესობის გათვალისწინებით[1].

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის[2] თანახმად ერთის მხრივ „რუსეთის პრიორიტეტებში რჩება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებაში დახმარება, მათი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება, საიმედო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოციალურ-ეკონომიკური აღდგენა“, ხოლო მეორე მხრივ „რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებით იმ სფეროებში, რომლებშიც ქართული მხარე მზად არის ამისთვის, იმ პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, რომელიც განვითარდა ამიერკავკასიაში“.

რუსეთისათვის საქართველოს კავკასიის რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით ერთგვარი ფარია რუსეთისათვის. საქართველოში, რომელიც ნატოს წევრი თურქეთის მეზობელი ქვეყანაა, მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზები იყო განთავსებული. რუსეთის ჯარები და შეიარაღება ამ ბაზებზე განიხილებოდა, როგორც გადაუჭრელი პრობლემა. სამხედრო სტრატეგიის შესაბამისად, რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკის საკვანძო

---

**1 Igor Sutyagin with Justin Bronk - “Russia's New Ground Forces, Capabilities, Limitations and Implications for International Security”, First published 2017 - გვ 1-2**

**2 Концепция внешней политики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации В.В.Путиным 30 ноября 2016 г.) - https://www.mid.ru/ru/foreign_policy/official_documents/1538901/**

ქვეყანა, კავკასიასთან მიმართებაში, საქართველოა[1].

რუსეთის ასეთი მიდგომა საქართველოსთვის და ცივილიზებული სამყაროსათვის სიახლეს არ წარმოადგენს. ჩვენთვის ცხადია, რომ რუსეთის მიერ განცხადებული, ზემოაღნიშნული პოლიტიკა უფრო დიდ მიზნებს ემსახურება ვიდრე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და მათზე კონტროლის დამყარებაა. საქართველოს გაცხადებული კურსი ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის ინტერესებთან და უსაფრთხოების მისეულ გლობალურ ხედვებთან, რამეთუ ალიანსის გაფართოება, მისი სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მოახლოება და სამხედრო აქტივობები რუსეთის საზღვრის სიახლოვეს კრემლისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. გარდა სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორისა, რუსეთის პოლიტიკა აქცენტირებულია აგრეთვე ენერგორესურსების წყაროების და შესაბამისი სატრანზიტო გზების გაკონტროლებაზე. ამას თავის მხრივ განაპირობებს ის ფაქტი, რომ რუსეთის ეკონომიკა უმთავრესად ენერგორესურსების რეალიზაციაზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, მოსკოვისათვის ენერგორესურსები მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბერკეტია, მეტადრე ევროპასთან ურთიერთობისას დივიდენდების მიღების თვალსაზრისით. შესაბამისად, რუსეთის მიდგომა სამხრეთ დერეფნისადმი დიდ წილად განაპირობებს მისი საგარეო პოლიტიკის ფორმირებას საქართველოსთან მიმართებით.

გამომდინარე იქედან, რომ ბოლო პერიოდში ევროპისათვის პრიორიტეტული გახდა ნავთობისა და გაზის მიღება ცენტრალური აზიისა და კასპიის რეგიონის ქვეყნებიდან, საქართველოთი დაინტერესების ხარისხმა პარალელურად მოიმატა. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი, რომელიც რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით ევრაზიული, სავაჭრო-სატრანზიტო

**1 "Georgia in Russia,s Orbit and the South Ossetian Conflict Threatening Regional Stability in the South Caucasus Region, Giray Saynur Derman, Journal of Caspian Affairs, International peer-reviewed journal, published by Caspian strategy institute, I/1, (2015).**

კორიდორის ფუნქციონირებისათვის თბილისს ევროპის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად აქცევს, რუსეთის მიზანმიმართული აგრესიის ერთ-ერთი საფუძველია.

საქართველოსადმი რუსეთის ინტერესთა შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია ის საზღვაო-სანაპირო პოტენციალი, რომელიც საქართველოს შავ ზღვაზე გააჩნია.

ის, რომ რუსეთი საქართველოს ნომერ პირველი მტერია კარგად ჩანს საქართველოში დღემდე მიღებულ ყველა სტრატეგიულ დოკუმენტში, იქნება ეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი თუ უსაფრთხოების სფეროში არსებული სხვა სტრატეგიები. ამ დოკუმენტების გაცნობით, თუ გაცნობის გარეშეც აშკარაა, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც ჩვენია, ეროვნული უსაფრთხოების ამოცანებს შორის დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანი ფიზიკური გადარჩენაა.

„პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ბევრ პრობლემას შორის არის ერთი, რომელიც მისთვის არათუ უმნიშვნელოვანესი, არამედ საბედისწეროც კი შეიძლება აღმოჩნდეს. ვგულისხმობ ისეთ რეალობას, როგორიც პატარა, სუსტი და დიდი, ძლიერი ქვეყნების მეზობლობაა, რაც პირველს უსაფრთხოების პრობლემას უქმნის“[1].

## დასკვნა

ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტების თანახმად საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ასევე დემოკრატიის განმტკიცება და ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარებაა. აღნიშნულ ინტერესს დამუქრებული უმთავრესი საფრთხე და გამოწვევა კი რუსეთის ფედერაციაა.

სტრატეგიულ დოკუმენტებში აღნიშნული ინტერესებისა და

**1 ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, მეორე, განახლებული გამოცემა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2009 წ. გვ. 90**

სიკეთეების დაცვა დიდ წილადა დამოკიდებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მაღალ დონეზე, რაც „პატარა ქვეყნის“ შემთხვევაში სათანადო საერთაშორისო პარტნიორებისა და შესაბამის ალიანსში გაწევრიანების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებლად გვესახება. სწორედ ამიტომ, პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების და თავდაცვის უზრუნველყოფის წინაპირობას, რაც თავის მხრივ არის ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების საწინდარი.

თუკი მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი სუბიექტები, მიილტვიან შექმნან ალიანსი, რომელიც მათი ცივილიზაციური არჩევანის დაცვის, მათი თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტი იქნება, საქართველოს მიერ მკაფიო საგარეო ორიენტირის განუცხადებლობა დამღუპველი აღმოჩნდება.

პოლიტოლოგი, დიპლომატი და გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე რონდელის თანახმად „როგორი მოქნილიც არ უნდა იყოს პატარა ქვეყანის საგარეო პოლიტიკა და როგორი სისწრაფითაც არ უნდა რეაგირებდეს იგი პირობათა და მოვლენათა ცვლაზე, მან საკუთარი სტრატეგიული მიზანი მაინც უნდა განსაზღვროს და სტრატეგიული არჩევანი უნდა გააკეთოს. ეს კი საერთაშორისო სისტემის ზოგიერთი ქვეყნის მხარდაჭერას და სხვებთან დაპირისპირებას ნიშნავს, რაც, ბუნებრივია, უზარმაზარ რისკთან არის დაკავშირებული“[1]. ვფიქრობთ, საქართველო ვალდებულია მკაფიოდ გამოხატოს მისი საგარეო კურსი. ე. წ. დაბალანსებული პოლიტიკა და დიდი ქვეყნების ურთიერთსაპირისპირო ინტერესების შენს სამსახურში ჩაყენების სურვილი ილუზორულად გვეჩვენება, რომელიც შესაძლოა ოდესღაც მუშაობდა კიდეც.

---

**1 ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, მეორე, განახლებული გამოცემა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2009 წ. გვ. 85**

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ტატიშვილი „ქართველები მოსკოვში", მე-2 შევს. და გადამუშავ. გამოცემა. თბ., 1959 წ.

2. ნათია კაჭარავა - საქართველოს საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები 327.001.3 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 1075, საქართველო, 2011 წ.

3. რევაზ მიშველაძე, „საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო", გამომც. „იურიდიული სამყარო", თბ. 2018 წ.

4. ამირან ხევცურიანი, რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, 327.001.23, საქ. ტექ. უნ. თბილისი, 0175, საქართველო, თებერვალი 2019 წ.

5. 5. ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, მეორე, განახლებული გამოცემა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2009 წ.

6. Igor Sutyagin with Justin Bronk - "Russia's New Ground Forces, Capabilities, Limitations and Implications for International Security", First published 2017.

7. "Georgia in Russia's Orbit and the South Ossetian Conflict Threatening Regional Stability in the South Caucasus Region, Giray Saynur Derman, Journal of Caspian Affairs, International peer-reviewed journal, published by Caspian strategy institute, I/1, (2015).

8. ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ გამოაცხადა - https://ubn.news/the-nato-parliamentary-assembly-has-declared-russia-a-terrorist-state/

9. სლავური ერების გაერთიანებას, რუსიზმს უკრაინელები არასოდეს შეეგუებიან - დუდაევი რუსეთის გეგმებზე - https://batumelebi.netgazeti.ge/news/400166/

10. 7 მაისი, 1920 წ. - საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა - https://civil.ge/ka/archives/350635

11. The Long Telegram by George Kennan, February 22, 1946 - https://teachingamericanhistory.org/document/the-long-telegram/

12. Классическое западничество: концепция цивилизационного развития России в Новое время - https://www.dissercat.com/content/klassicheskoe-zapadnichestvo-kontseptsiya-tsivilizatsionnogo-razvitiya-rossii-v-novoe-vremya

13. Философия славянофилов в современной российской историко-философской литературе - https://www.dissercat.com/content/filosofiya-slavyanofilov-v-sovremennoi-rossiiskoi-istoriko-filosofskoi-literature

14. Рашизм (идеология) - https://allll.net/wiki/%D0%A0%D0%B0%D1%88%D0%B8%D0%B7%D0%BC_(%D0%B8%D0%B4%D0%B5%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%8F)

15. https://vk.com/wall-11019260_333858

16. Путин: «Зачем нам такой мир, если не будет России»? - https://www.svoboda.org/a/29084688.html

17. Путин назвал распад СССР трагедией и «распадом исторической России» - https://www.rbc.ru/politics/12/12/2021/61b5e7b79a7947689a33f5fe

18. Концепция внешней политики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации В.В.Путиным 30 ноября 2016 г.) - https://www.mid.ru/ru/foreign_policy/official_documents/1538901/

**REFERENCES:**

1. V. Tatishvili "Georgians in Moscow", 2nd updated and revised edition. Tb., 1959

2. Natia Katcharava - Political-legal aspects of foreign security of Georgia 327.001.3 Technical University of Georgia, Tbilisi, 1075, Georgia, 2011.

3. Revaz Mishveladze, "International Relations and Georgia", Publishing House "Legal World", Vol. 2018

4. Amiran Khevtsurian, Russia's Modern Foreign Policy in the South Caucasus, 327.001.23, Technical University of Georgia, Tbilisi, 0175, Georgia, February 2019.

5. Alexander Rondel, A Small Country in the International Sys-

tem, Second, Revised Edition, Georgian Strategy and International Relations Research Foundation, Tbilisi, 2009.

6. Igor Sutyagin with Justin Bronk - "Russia's New Ground Forces, Capabilities, Limitations and Implications for International Security", First published 2017.

7. "Georgia in Russia's Orbit and the South Ossetian Conflict Threatening Regional Stability in the South Caucasus Region, Giray Saynur Derman, Journal of Caspian Affairs, International peer-reviewed journal, published by Caspian strategy institute, I/1, (2015).

8. The NATO Parliamentary Assembly declared Russia a terrorist state - https://ubn.news/the-nato-parliamentary-assembly-has-declared-russia-a-terrorist-state/

9. Ukrainians will never get used to the unification of Slavic nations, Rashism - Dudayev on Russia's plans - https://batumelebi.net-gazeti.ge/news/400166/

10. May 7, 1920 - Soviet Russia recognized Georgia's independence - https://civil.ge/ka/archives/350635

11. The Long Telegram by George Kennan, February 22, 1946 - https://teachingamericanhistory.org/document/the-long-telegram/

12. Classical Westernism: the concept of civilizational development of Russia in modern times - https://www.dissercat.com/content/klassicheskoe-zapadnichestvo-kontseptsiya-tsivilizatsionnogo-razvitiya-rossii-v-novoe-vremya

13. The philosophy of the Slavophiles in modern Russian historical and philosophical literature - https://www.dissercat.com/content/filosofiya-slavyanofilov-v-sovremennoi-rossiiskoi-istoriko-filosofskoi-literature

14. Rashism (ideology) - https://allll.net/wiki/%D0%A0%D0%B0%D1%88%D0%B8%D0%B7%D0%BC_(%D0%B8%D0%B4%D0%B5%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%8F)

15. https://vk.com/wall-11019260_333858

16. Putin: "Why do we need such a world if there is no Russia"? - https://www.svoboda.org/a/29084688.html

17. Putin called the collapse of the USSR a tragedy and "the col-

lapse of historical Russia" - https://www.rbc.ru/politics/12/12/2021/61b5e7b79a7947689a33f5fe

18. The concept of the foreign policy of the Russian Federation (approved by the President of the Russian Federation V.V. Putin on November 30, 2016) - https://www.mid.ru/ru/foreign_policy/official_documents/1538901/

## GEORGIA'S MAIN EXTERNAL THREAT AND INSURANCE EXTERNAL ORIENTATIONS

**Jemal Gakhokidze, PhD**
Doctor of Law and Political Sciences,
Professor of Faculty of Law and International Relations
**Chairman of the Senate, Georgian Technical University**
senati@gtu.ge

**Nukri Gelashvili,**
PhD student of Faculty of Law and International Relations,
**Georgian Technical University**
nogelashvili@gmail.com

### RESUME

Since the beginning of mankind, concern for survival and therefore safety has been one of the main components of human life. History remembers states and empires that ceased to exist as a result of wars and conquests. The recent past shows that the main threat to Georgia is the unfriendly neighbor Russian Federation with imperialist intentions. This fact is clearly stated in the conceptual documents of our country.

The present paper discusses the important stages of the Russian-Georgian relations since the 15$^{th}$ century and the problems that these relations brought to Georgia. Russia's aggressive policy and aspirations to constantly expand its borders at the expense of con-

quering natural-geographically protected territories are described.

The author reviews the traditional concepts of Russian politics presented in the scientific literature, which originated in different periods. Special attention is paid to the more radical and extremist direction than "Eurasianism" to "Russism", the same "Rachism", which is the unofficial name of the political ideology of the ruling regime of Russia.

In the visions of modern ideologues of Russia lies the denial of law and the assertion of the priority of force, disrespect for the sovereignty of neighbors and self-assertion at the expense of disorder and violence. The center of the ideology of Russism is the cult of the national leader, who will have the power to restore glory to Russia. This glory lies in its restoration within the borders of "historical Russia", I.E. the Soviet Union, which is the biggest challenge for the sovereignty and territorial integrity of Georgia.

The Russian leadership uses the military as one of many tools to shape its "near abroad" and global positions. It has wide interests in the South Caucasus from the military, political, economic and energy point of view. But, the current political leadership of the Russian Federation, objectively, acts from the position of military and economic inferiority towards NATO. It is clear that at this stage, the North Atlantic Treaty Organization appears as one of the main restraining forces of "Russianism" and therefore of Russia's expansionist policy.

According to the author, where the powerful states determining the world order want to create an alliance that will guarantee the protection of their civilizational choices, the preservation of their identity and statehood, Georgia's failure to declare a clear foreign orientation will be disastrous. Accordingly, he believes that Georgia is obliged to clearly express its foreign policy. e. year Balanced politics and the desire to put the conflicting interests of large countries to their own service is an illusory approach that may have once worked.

